

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №4

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი
ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ვალდებულების შესრულება-შესრულებლობა

- აღიარებული ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების გადაცემა
- ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია
- ვალდებულების შესრულება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას
- თანხის დაკისრება
- იჯარის ხელშეკრულება
- კრედიტორული დავალიანების განსაზღვრა
- მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას
- საგარანტიო წერილი (ხელშეკრულება)
- საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება
- სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შესრულება
- ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

ვალდებულების შესრულება-შეუსრულებლობა

ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია; კრედიტორული დავალიანების განსაზღვრა

განჩინება

#ბს-903-865(კ-07)

14 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 იანვარს სს "აკადემიკოს პეტრე შოთაძის სახელობის თერჯოლის საავადმყოფოს" დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თერჯოლის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თერჯოლის რაიონის გამგეობის მიმართ დავალიანების - 40495,44 ლარის გადახდის თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ "ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 დეკემბრის #723 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 3 თებერვლის #33 ბრძანებულებისა და "ჯანმრთელობის დაცვის იმერეთის სამხარეო ფონდის ლიკვიდაციის შესახებ" იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2003 წლის 31 მარტის განკარგულების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ფონდის ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძველი დავალიანების დაფარვა დაევალა რაიონის ადგილობრივ გამგეობას. მოსარჩელის განმარტებით, იმ დროისათვის ფონდს გააჩნდა დავალიანება სს "აკადემიკოს პეტრე შოთაძის სახელობის თერჯოლის საავადმყოფოს" მიმართ 40495,44 ლარის ოდენობით, რაც აღიარებულია ფონდის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო ითხოვდა მოპასუხე თერჯოლის რაიონის გამგეობას მის სასარგებლოდ დაკისრებოდა დავალიანების - 40495,44 ლარის გადახდა.

მოპასუხე თერჯოლის რაიონის გამგეობამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით სს "აკადემიკოს პეტრე შოთაძის სახელობის თერჯოლის საავადმყოფოს" დირექტორის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე თერჯოლის რაიონის გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 40495,44 ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თერჯოლის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, თუ რამდენად სწორად იყო სათანადო მოპასუხედ მიჩნეული თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ვინაიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის (სოფელი, თემი, ქალაქი) სამართალმემკვიდრე“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის თერჯოლის რაიონის ყოფილი გამგეობის სამართალმემკვიდრე, რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტში ლიკვიდირებული იყო. ამავე კანონის 65¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილია მხოლოდ რაიონის გამგეობის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებაზე, რის გამოც მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიონის გამგეობის იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვა 2006 წლამდე პერიოდში. ამასთან, 2006 წლის მდგომარეობით, თერჯოლის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციაში რაიმე სახის დავალიანებები არ არის აღნიშნული. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 65¹-ე მუხლის მე-5 პუნქტი სპეციალურად ითვალისწინებს წინა წლებში წარმოქმნილი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დავალიანების დაფარვის წესს, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნეს მთავრობის მიერ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განჩინებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის 1998 წლის 1 აპრილისა და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის იმერეთის მხარეში 1998 წლის 28 მარტს დამტკიცებული "იმერეთის 1998 წლის სამედიცინო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ჯანდაცვის სამხარეო ფონდსა და სს "აკადემიკოს პეტრე შოთაძის სახელობის თერჯოლის საავადმყოფოს" შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ფონდმა აიღო ვალდებულება, განსაზღვრული სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები შეეხებოდა როგორც ამბულატორიული, ისე სტაციონალური სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდას დამტკიცებული ტარიფების ფარგლებში.

ჯანდაცვის სამხარეო ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სს "აკადემიკოს პეტრე შოთაძის სახელობის თერჯოლის საავადმყოფოს" წარმოეშვა მოთხოვნის უფლება სამედიცინო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაზე.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2003 წლის 31 მარტის #33 განკარგულების თანახმად, განხორციელდა ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ფონდის ლიკვიდაცია.

აღნიშნული განკარგულებით, ფონდის სალიკვიდაციო კომისიას დაევალა დებიტორ-კრედიტორების სრულყოფილი აღრიცხვა შედარების აქტების საფუძველზე, მხარეში შემავალი რაიონების საფინანსო დაწესებულებებთან, პროგრამების მომსახურე სამედიცინო დაწესებულებებთან და სხვა დებიტორ-კრედიტორებთან.

იმავე განკარგულების თანახმად, სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ხელმძღვანელებს დაევალა სამედიცინო დაწესებულებებთან წარმოქმნილი დავალიანებების აღრიცხვა, შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტში მათი გათვალისწინება და ეტაპობრივად დაფარვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თერჯოლის საავადმყოფოს და იმერეთის სამხარეო ჯანდაცვის ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახდა მხარეთა ურთიერთვალდებულების წარმოშობის საფუძველი, საავადმყოფოს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა - ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო მომსახურება გაეწია მოსახლეობას - იმ პროგრამის ფარგლებში, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

საავადმყოფოს მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი დადასტურებულია ჯანდაცვის ფონდის სალიკვიდაციო კომისიის მიერ, რომელმაც ასევე აღიარა ფონდის მიერ ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება და მიუთითა დავალიანების თანხაზე.

ფონდის ლიკვიდაციის გამო დარჩენილი ვალდებულების შესრულება, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის იმერეთის მხარეში 2003 წლის 31 მარტის #33ა განკარგულებით, დაევალა თერჯოლის რაიონის გამგეობას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ წარმოადგენს თერჯოლის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს, ვინაიდან, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65¹ მუხლის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. იმავე მუხლის მე-4 ნაწილით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 დეკემბრის #244 დადგენილების "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა რესტრუქტურისა და მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის წესის "დ" პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილი სხვა დანარჩენი დავალიანებები (გარდა ამ დადგენილების პირველი პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებულისა) და მმართველობის ორგანოების 2006 წლის შეუსრულებელი ვალდებულებები გაეთვალისწინებინათ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის 2007 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას და უზრუნველყოთ მათი ეტაპობრივი დაფარვა.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განმარტებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, როგორც თერჯოლის რაიონის გამგეობის სამართალმემ-

კვიდრე, ვალდებული იყო, შეესრულებინა თერჯოლის რაიონის საავადმყოფოს მიმართ მის მიერ აღიარებული ვალდებულება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ თერჯოლის რაიონულ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს საფუძვლიანად არ შეუსწავლიათ კრედიტორული დავალიანების წარმოშობის და მისი სინამდვილეში არსებობის ფაქტი, არ გამოუკვლევიათ, თუ რა სახის და მოცულობის მომსახურება გაუწია შპს "თერჯოლის რაიონულმა პოლიკლინიკამ" მუნიციპალური პროგრამებიდან, ასევე, ექვემდებარებოდა თუ არა თანხა ანაზღაურებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან და თუ ექვემდებარებოდა, რა ოდენობით. სასამართლო ცალმხრივად დაეყრდნო მხოლოდ სამხარეო ადმინისტრაციის მიმართვებს და იმ ურთიერთშედარების აქტს, რომელიც შედგენილია 2002 წლის 25 ივლისს ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ფონდსა და შპს "თერჯოლის რაიონულ პოლიკლინიკას შორის", რომელშიც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, რაიონის გამგეობა ჩართული არ ყოფილა, ხოლო დავალიანება, რაიონის გამგეობის გვერდის ავლით, მისი წარმომავლობის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იქნა ცალმხრივად აღიარებული და განსაზღვრული.

კასატორის განმარტებით, დავალიანების უტყუარი მტკიცებულებებიც რომც არსებობდეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნული დავალიანების გადახდა არ უნდა დაკისრებოდა, ვინაიდან, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის თერჯოლის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე. არასწორად განიმარტა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლი, რომელიც ნათლად უთითებს, რომ "მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე", რაც იმას ნიშნავს, რომ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (რომელიც გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე) შესაბამისად, თვითმმართველობა ხორციელდება რაიონში შემავალ სოფელში, დაბაში, თემსა და ქალაქში, შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით. კასატორის მოსაზრებით, სამართალმემკვიდრეობის არასწორი განმარტების შედეგად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა აგრეთვე "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლიც, რომლის მე-4 და მე-5 პუნქტები პირდაპირ მიუთითებს, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს, რაც გულისხმობს, რომ ორგანულმა კანონმა თვითმმართველ ერთეულებს, ანუ მუნიციპალიტეტს გადასცა ყოფილი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მხოლოდ 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები. ამასთან, მე-5 პუნქტი სპეციალურად ითვალისწინებს და ავალებს საქართველოს მთავრობას, დადგენილებით განსაზღვროს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული, ყოფილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილი დავალიანების რესტრუქტურირებისა და ლიკვიდირებული მმართველობის ორგანოების მიერ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესი. აღნიშნული წესი, ორგანული კანონის 65¹ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ჯერ კიდევ 2006 წლის 22 დეკემბრის #244 დადგენილებით, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა რესტრუქტურირებისა და მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის წესის" შესაბამისად განისაზღვრა და დაზუსტდა თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული ხასიათის მოვალეობები რაიონის ყოფილი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებთან დაკავშირებით, კერძოდ: წესის პირველი მუხლის "ა" და "ბ" პუნქტების შესაბამისად, თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განიხილონ და დააზუსტონ "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონების, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დავალიანებები; "დ" პუნქტის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს დაევალოთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილი დავალიანებები და მმართველობის ორგანოების მხოლოდ 2006 წლის შეუსრულებელი ვალდებულებები გაითვალისწინონ შესაბამის თვითმმართველი ერთეულის 2007 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას და უზრუნველყონ მათი ეტაპობრივი დაფარვა, ხოლო "ე" პუნქტის მიხედვით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ

2006 წლამდე წარმოქმნილ დავალიანებათა შესახებ მონაცემები სათანადო დოკუმენტაციით 2007 წლის 1 აპრილამდე განსახილველად წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, ამ მონაცემების დაზუსტების შემდეგ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის შესახებ კონკრეტულ წინადადებებს წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა მოკლებული იყო შესაძლებლობას, ზემოაღნიშნული სადავო დავალიანების არებობის შესახებ, დოკუმენტალურად ეცნობებინა ფინანსთა სამინისტროსათვის, რაიონის ლიკვიდირებული გამგეობის საფინანსო დოკუმენტაციაში აღნიშნული კრედიტორული დავალიანების არარსებობის გამო, ხოლო აღნიშნული დავალიანების სასამართლო წესით დადასტურების შემთხვევაშიც დავალიანების დაფარვის საკითხის გადაწყვეტა, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის კომპენტენციას წარმოადგენს და არა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქციო საზოგადოება "თერჯოლის საავადმყოფო" დაფუძნდა სახაზინო საწარმოს ბაზაზე, სახელმწიფოს ასპროცენტისანი წილობრივი მონაწილეობით და დარეგისტრირდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში 1999 წლის 27 დეკემბერს.

სს "თერჯოლის საავადმყოფოსა" და ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ფონდს შორის "იმერეთის 1998 წლის სამხარეო ჯანდაცვითი პროგრამის" ფარგლებში დაიდო ხელშეკრულებები: იმერეთის მხარის მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო დახმარებისა და "უმწეოთა" დამატებითი სამედიცინო დახმარების 2001 წლის სამხარეო პროგრამით გათვალისწინებული პროფილური სამედიცინო დახმარების გაწევისა და შესაბამისი საფასურის დაფარვისა და შესაბამისი პროფილური სამედიცინო დახმარების გაწევის თაობაზე.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების 2.3.1 პუნქტის შესაბამისად, ფონდმა იკისრა ვალდებულება მოეხდინა პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების ორგანიზება და დაფინანსება, დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ნორმატივების და ტარიფების მიხედვით ფონდში სათანადო თანხების აკუმულირების შემთხვევაში, კვარტალში არაუმეტეს 7500 ლარისა, ხოლო იმავე ხელშეკრულებების 2.2.1 მუხლების თანახმად, სს "თერჯოლის საავადმყოფო" უფლებამოსილი იყო მიეღო შესრულებული სამუშაოს საფასური დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში ფაქტიური ხარჯის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 03 თებერვლის #33 ბრძანებულების "ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის სრულყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 09 დეკემბრის #723 ბრძანებულების ძალადაკარგულად ჩათვისის თაობაზე" და "ჯანმრთელობის დაცვის იმერეთის სამხარეო ფონდის ლიკვიდაციის შესახებ" იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის 2003 წლის 31 მარტის #33 განკარგულების საფუძველზე, ჯანმრთელობის დაცვის იმერეთის სამხარეო ფონდში განხორციელდა სალიკვიდაციო სამუშაოები. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულების 3.3 პუნქტით, დებიტორულ-კრედიტორული ვალდებულებების სრულყოფილი აღრიცხვა-შედარების მიზნით შესაბამის სამსახურებს დაევალა შედარების გაკეთება ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ფონდთან, თანდართული დანართების მიხედვით, რის საფუძველზეც კრედიტორთა ნუსხაში მე-10 ნომრად აღინიშნა სს "პეტრე შოთაძის სახ. თერჯოლის რაიონული საავადმყოფო" - 40495, 44 ლარით.

საკასაციო სასამართლო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციის ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და ადასტურებს, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის,

შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამდენად, უდავოა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის სამართლებრივი რეგულაციებიც ჩადებულია სამოქალაქო კოდექსში.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. იმავე კოდექსის 361.2 მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელშემკვრელ მხარეს აკისრებს საპასუხო შესრულების ვალდებულებას. მაგრამ, იმავდროულად საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს ვალდებულების ფარგლების განსაზღვრას. კერძოდ, იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, თუ რა მოცულობის მომსახურება იქნა სს "პეტრე შოთაძის სახ. თერჯოლის რაიონული საავადმყოფოს" მიერ გაწეული და აღნიშნულის საწვავლოდ რა ოდენობის თანხა ექვემდებარება ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი იმერეთის სამხარეო ფონდის 2001 წლის 26 თებერვლის წერილი და საფინანსო განყოფილების ცნობა არ იძლევა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან თანხის ოდენობის ნაწილში სათანადო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნული გარემოების გამოკვლევისას გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს დამატებითი მტკიცებულებები და დაადგინოს, საბუღალტრო დოკუმენტაციის შესაბამისად რა ოდენობის დავალიანება ირიცხება თერჯოლის რაიონის გამგეობის ბალანსზე.

აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ გამოყენებულ მტკიცებულებებზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო მხრიდან დამატებითი გამოკვლევის საგნად უნდა იქცეს ის გარემოება, თუ რა პერიოდს და რომელ სახელშეკრულებო ვალდებულებებს მოიცავს საზოგადოების მოთხოვნა, რაც სასამართლოს მისცემს მხარეთა შორის ერთხელ უკვე მორიგებით დასრულებული მოთხოვნის გამორიცხვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია კრედიტორული დავალიანების ზუსტი განსაზღვრა და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას შპს "თერჯოლის რაიონული პოლიკლინიკის" მიმართ მისი ვალდებულებების გამორიცხვის თაობაზე და კასატორის ყურადღებას მიაქცევს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა რესტრუქტურისაციისა და მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 დეკემბრის #244 დადგენილების შინაარსს. საგულისხმოა, რომ მითითებული დადგენილება არ იძლევა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ვალდებულებებისაგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს. კერძოდ, მითითებული დადგენილების პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა რესტრუქტურისაციისა და მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალა, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონების, იმ ქალაქების, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სალიკვიდაციო კომისიებიდან გადმოცემული, დადგენილი წესით განსაზღვრული 2006 წლის შეუსრულებელი ვალდებულებებისა და წინა წლების ვადაგადაცილებული დავალიანებების საკითხის განხილვა.

მითითებული პუნქტის ბოლო წინადადების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ მოცემული ნორმა არ იძლევა თერჯოლის გამგეობის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს. უფრო მეტიც, ამავე დადგენილების პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილ დავალიანებათა შესახებ მონაცემები სათანადო დოკუმენტაციით 2007 წლის 1 აპრილამდე განსახილველად წარუდგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს შემდეგი გარემოებების დადგენა-გამოკვლევას, რა ოდენობის კრედიტორული დავალიანება ერიცხებოდა თერჯოლის

რაიონის გამგეობას სააქციო საზოგადოების მიმართ, იყო თუ არა ეს დავალიანება სათანადო წესით აღრიცხული და დოკუმენტურად დადასტურებული, დადებით შემთხვევაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ იქნა თუ არა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებების დამატებით გამოკვლევას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, რა მიზნითაც საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1 მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 04 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღიარებული ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების გადაცემა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-861-823(კ-07) 6 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ქმედებების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 21 ოქტომბერს ვ. ბ-შვილმა, შ. ნ-ძემ, გ. ბ-ძემ, მ. ჯ-იამ, ფ. ა-ელმა, მ. კ-შვილმა, ნ. ტ-შვილმა, ე. ტ-ძემ, დ. კ-ვამ, ზ. ბ-ძემ, ი. ი-ვამ, ლ. ბ-ძემ, მ. გ-ურმა, ო. ე-ძემ და გ. წ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში მოქმედი სამართალი იყო ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი მონაწილე ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოსაც) ავალდებულებდა გამოევიდნათ, აღერიცხათ უბინაო და ბინით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები და მიეღოთ საკანონმდებლო ზომები საცხოვრის უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მიერ უბინაოთათვის და ბინით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის ქონების გადაცემა კანონიერი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ მათ არ გააჩნდათ ამ ქონებაში გადასახდელი ფული. მოსარჩელებს ბინის ასაშენებელი თანხა გადახდილი ჰქონდათ მთლიანად და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების მიმართ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალად, რომლის დასაფარავად საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულება, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის 27 დეკემბრის #1-3/915 ბრძანება და "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების კომპენსაციის სახით გადაცემას ყოფილი

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებზე. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილების შესაბამისად, 2002 წლის 30 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საკონსტრუქტორო ბიუროს დაუთავრებელი კარკასული შენობა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული აკადემიის თანამშრომლებზე გასანაწილებლად, მათ მიმართ სახელმწიფო ვალის დაფარვის მიზნით, რომლის გასაყიდი ფასი განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 23 ოქტომბრის #01/01-01/224 ბრძანებით. 2004 წლის 4 თებერვალს საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრების მიერ ვიზირებული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი კანონით გათვალისწინებულ თანდართულ მასალებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ გადაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას, რომელიც შესაბამის კომისიაში განხილვის შემდეგ, უნდა წარედგინათ საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად, მაგრამ საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გამო, შესაბამისი დოკუმენტაციის პაკეტი 2004 წლის 27 აპრილს გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს #232/8 წერილით, რომლითაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ეკონომიკის მინისტრს სთხოვა ხსენებული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

მოსარჩელეთა მტკიცებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2004 წლის 14 ივლისს კონტროლზე აყვანილი #256/28 წერილით ხელმეორედ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრებს იმის თაობაზე, რომ დაეჩქარებინათ საკითხის წარდგენა საქართველოს მთავრობის სხდომაზე. აღნიშნულის შემდეგ, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან არა ერთხელ გაიგზავნა წერილები იმავე მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, რომელიც აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე შესაბამისი მასალები წარდგენილი იქნებოდა ახლო მომავალში, მაგრამ ზემოხსენებული კარკასული შენობის კოოპერატიულ ბინათმშენებლებზე გადაცემის საკითხი გაურკვეველი მიზეზით კვლავ ფერხდებოდა იმავე სამინისტროს მიერ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამაც მიმართეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე რეაგირების დაჩქარების თხოვნით, თუმცა, უშედეგოდ. მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, 2005 წლის მარტში ხსენებული საკითხი განიხილეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებში, რომლებმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართეს თხოვნით შეესრულებინათ "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის #256/28 დავალება ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობის კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებზე გადაცემის თაობაზე, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროები ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის გაჭიანურების მიზეზად მიუთითებდნენ "სახელმწიფო საბინაო ვალის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #10-8 დადგენილებაზე, მაშინ, როდესაც ხსენებული დადგენილება ყოფილი კოოპერატივების დაზარალებული წევრებისათვის კომპენსაციის გაცემის შეწყვეტას არ ითვალისწინებდა, ხოლო "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულება ითვალისწინებდა კოოპერატივის წევრებზე ბინის სანაცვლოდ ფულადი ან ქონებრივი კომპენსაციის გაცემას. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უმიზეზოდ გააჭიანურა შესაბამისი კანონის მოთხოვნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 21 აპრილის #232/8 და 2004 წლის 14 ივლისის #256/28 წერილობითი დავალებების შესრულება ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კარკასული შენობის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ წევრებზე კომპენსაციის სახით გადაცემის შესახებ, რითაც დაირღვა კანონი და შეილახა მოსარჩელეთა უფლებები. მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხის შესწავლა დაავალა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელმაც შესაბამისი მასალების სათანადოდ შესწავლის შემდეგ გააკეთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის პირდაპირი მიყიდვის ფორმით კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დაზარალებულ მეცნიერ-თანამშრომელთათვის გადაცემის პროცესის გაჭიანურება წარმოადგენდა კანონის მოთხოვნათა და აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევას.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათ საქართველოს მთავრობის სახელზე წარადგინეს ადმინისტრაციული საჩივარი, რაც გახდა ზემოაღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობის 2005 წლის 6

ივლისის სხდომაზე განხილვის საფუძველი. საქართველოს მთავრობის ხსენებული სხდომის საოქმო ჩანაწერის მიხედვით, ინფორმაცია მიღებულ იქნა რა ცნობად, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს დაევალით საქართველოს მთავრობის მომდევნო სხდომაზე წარედგინათ პროექტი იმავე საკითხის მოგვარების თაობაზე. მიუხედავად ამ დავალებისა, აღნიშნულ სამინისტროებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი საქართველოს მთავრობისთვის არ წარუდგენიათ, რითაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიც ადასტურებდა, რომ ხსენებული საკითხის გაჭიანურებით ირღვეოდა კანონი და ითხოვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი დავალების შესრულება. არ შესრულდა ასევე საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილება, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობას დავალებული ჰქონდა "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის სხდომის #30 ოქმის შესრულების მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლება-მოვალეობისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მშენებარე კარკასის პირდაპირი განკარგვის წესით მათთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას დავალებოდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის დროული მომზადება, მისი განხილვა და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა.

საქართველოს მთავრობამ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სარჩელი, აღნიშნა, რომ იგი იყო უსაფუძვლო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაგებლის ავტორის მტკიცებით, მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმით, რომ ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობითა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2001 წლის 4 ივნისის #89 დადგენილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 30 იანვარს მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი კარკასული შენობა, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ იმავე აკადემიის თანამშრომელთა მიმართ სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა და შესაბამის პირობებს ადგენდა საქართველოს პრეზიდენტი. იმავე დებულების მე-2 მუხლი განსაზღვრავდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ორგანიზების საკითხებს და მიუთითებდა, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარადგენდა ხსენებული დებულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განიხილავდა შემოსულ განცხადებებს ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც წინადადებას წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენდა პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. აღნიშნული ნათლად მეტყველებდა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება იყო.

შესაგებლის ავტორის მტკიცებით, ზემოაღნიშნული დებულება ასევე განსაზღვრავდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ორგანიზების საკითხებს და არ მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებების წარდგენამდე მისი მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობაზე და არც საქართველოს მთავრობას აკისრებდა ასეთი წინადადებების წარდგენის ვალდებულებას. რაც შეეხებოდა მოსარჩელების მიერ მითითებულ, საქართველოს მთავრობის

რეგლამენტის მე-14 მუხლს, მასში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად დადგენილი წესით შეიძლება წარდგენოდა საკითხი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. არც აღნიშნული ნორმა აკისრებდა საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების განხილვის ვალდებულებას, რამდენადაც ხსენებული ნორმა განსაზღვრავდა მათი განხილვის შესაძლებლობას და არა მის აუცილებლობას ან ვალდებულებას.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას დავალებოდა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა მას არ ავალდებულებდა, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, ამასთან, სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დაადგენდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მანამდე დადგენილი წესისგან სრულიად განსხვავებულ წესს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირებად ჩაეზნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს მთავრობას დავალა მოსარჩელეთათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე, იმავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი სარჩელი შეიძლება აღძრულიყო ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი იყო დასაშვები, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინათმშენებლობის მიმართ არსებული ვალი სახელმწიფოს მიერ აღიარებული იყო სახელმწიფოს შიდა ვალად, რაც ასევე დადასტურებული იყო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო საშინაო ვალის დასაფარავად, მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბალანსზე რიცხული ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული კორპუსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის შესაბამისად კი, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 23 ოქტომბრის #01/01-01/224 ბრძანებით დადგინდა აღნიშნული ქონების საწყისი გასაყიდი ფასი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას ეთხოვა სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ მშენებარე კორპუსის მიმღებთა შესახებ ინფორმაციის წარდგენა. საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 4 თებერვლის #04-02/14 მიმართვა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიისადმი, რომლითაც წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი „ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსის და მასზე დამაგრებული 7300 კვ.მ მიწის ფართის #645, #656, #648, #652 და #641 საბინაო-

სამშენებლო კოოპერატივების წევრებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ", თანდართული განმარტებითი ბარათით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი მოამზადა და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი იყო, რომ საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, შესაბამის პირთა თანხმობისას, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტისთვის წარუდგინა წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (წილის, აქციების, შენობა-ნაგებობების და სხვა) პირდაპირი ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩათვლებოდა გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. მართალია, აღნიშნული წინადადებები მომზადებული და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარუდგენილ იქნა, მაგრამ განხორციელებული საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების თანახმად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის კომპეტენცია, მათ შორის, სამინისტროების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო საშინაო ვალის მართვა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმ გარემოებაზე, რომ, რადგან სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი, რაც მისი დისკრეციული უფლებამოსილება იყო, არც ერთი ნორმატიული აქტით არ იყო დადგენილი საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების მიწოდებამდე მისი მთავრობის სხდომაზე განხილვის ვალდებულება და არც საქართველოს მთავრობას ეკისრებოდა ამგვარი წინადადებების წარდგენის ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მაგრამ, ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლება წარუდგენოდა საკითხები, რაც საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, მათ შორის, საკითხები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის აქტების პროექტებს, სახელმწიფო ქონების მართვის განხორციელებას და სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის მართვის უზრუნველყოფას. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებელი იყო განხილულიყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე, რადგან აღნიშნული სწორედ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს განეკუთვნებოდა, ხოლო ხსენებული რეგლამენტის 39-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ თუ სამართლებრივი აქტის პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მიღებას, ამ შემთხვევაში აღნიშნულ დოკუმენტს უნდა დართოდა საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტიც. საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც 2005 წლის 9 სექტემბრის #16/421 წერილით გაეგზავნა შესათანხმებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაც იმ დრომდე არ იყო შეთანხმებული და ჭიანჭურდებოდა გაურკვეველი მიზეზით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ევალებოდა საქართველოს პრეზიდენტისთვის სათანადო წინადადებების წარდგენა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა ასევე სახელმწიფო საშინაო ვალს, რომლის აღრიცხვა, მართვა და მომსახურება, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებით“ გათვალისწინებული ამავე სამინისტროს ფუნქცია იყო, აუცილებელი იყო აღნიშნული საკითხი შეთანხმებული ყოფილიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. ამასთან, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხებოდა, აგრეთვე, სხვა სამინისტროს და მათ შორის ვერ ხერხდებოდა თანხმობის მიღწევა, საკითხი განიხილებოდა საქართველოს მთავრობის სხდომაზე და მის შესახებ

გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს მთავრობა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს და მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იქნა მომზადებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ და გაგზავნილი შესათანხმებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, მისი განხილვა იმ დრომდე ჭიანჭურდებოდა, ამიტომ, ხსენებული საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე. რაც შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის #30 და 2006 წლის 8 თებერვლის #5 სხდომების ოქმებით საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს დაევალოთ გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარდგენა, ხოლო ხსენებული დავალება არ სრულდებოდა, აღნიშნულის კონტროლი ასევე მოპასუხის პრეროგატივა იყო, რადგან საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 30-ე მუხლის თანახმად, ოქმის სახით გაფორმებული დავალება სავალდებულო იყო შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებისა და თანამდებობის პირთათვის, ხოლო დავალების შესრულების ვადა მითითებული იყო იმავე რეგლამენტის 31-ე მუხლში, რაც მთლიანად უგულვებელყოფილი იყო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ისე მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალოთ „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარედგინა საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები, რაც იმ დრომდე არ იყო შესრულებული, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არ უნდა ყოფილიყო კანონსაწინააღმდეგო, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე საქართველოს მთავრობის უმოქმედობით ირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა, რაც ეწინააღმდეგებოდა სამართლის ზოგად პრინციპებსაც - სამართალურთიერთობის სტაბილურობის, კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, აღნიშნულით კი მოსარჩელებს ადგებოდათ პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი და ილაზებოდა კანონით დაცული მათი უფლებები, რომლებიც სწორედ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და არა ერთი კანონქვემდებარე აქტით იყო დაცული.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების შესრულებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა განეხორციელებინა ეს მოქმედება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და უნდა გაუქმებულიყო. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის დასაბუთებული პოზიცია და მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებული იყო სახელმწიფო საბინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებლად უნდა განხილულიყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლს. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული იყო, რომ საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლება წარდგენოდა საკითხები, რაც საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. ამდენად, ხსენებული ნორმა ითვალისწინებდა მხოლოდ შესაძლებლობას, საქართველოს მთავრობას განეხილა საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, ანუ მას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, რის გამოც სასამართლოს მოსაზრება, რომელმაც აუცილებლად მიიჩნია ზემოაღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვა, იყო უსაფუძვლო. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის პროცედურა სრულად იყო მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, საქართვე-

ლოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. ამდენად, სასამართლო საქმეში არსებული მასალებისა და ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ, მიუთითა რა მოცემული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე აუცილებელ, სავალდებულო განხილვაზე, გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კანონსაწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად, დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი.

აპელანტის მტკიცებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე არასწორად იყო მითითებული, რომ, თითქოს საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არა ერთხელ იქნა მომზადებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც გაგზავნილი იყო შესათანხმებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და მისი განხილვა ჭიანჭურდებოდა, ამიტომ, საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხებოდა, აგრეთვე, სხვა სამინისტროს და მათ შორის ვერ ხერხდებოდა თანხმობის მიღწევა, საკითხი განხილვებოდა საქართველოს მთავრობის სხდომაზე და ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს მთავრობა. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ამ ნორმის გამოყენების აუცილებელ პირობად მიიჩნია სამინისტროთა შორის თანხმობის მიუღწევლობა, რასაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ადგილი არ ჰქონია. საქმეში არ იყო წარმოდგენილი არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწუნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი ან უარი განაცხადა მის შეთანხმებაზე. ამდენად, ამ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს შორის სარჩელის საგნის, ანუ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე შეუთანხმებლობა. შესაბამისად, არასწორი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა, აღნიშნული მოტივით საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე ი. ი-ვას უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნენ გ. და ნ. ს-ძეები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაევალა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა, მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლო გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და საქართველოს მთავრობას დაავალა ისეთი რამ, რაც კანონმდებლობით მას სავალდებულოდ შესასრულებლად არ ეკისრებოდა, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობას ჰქონდა შესაძლებლობა და არა ვალდებულება, მთავრობის სხდომაზე განეხილა და გადაეწყვიტა საქართველოს პრეზიდენტისთვის სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენის საკითხი. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ დაავალა რა საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისი პროექტის მომზადება და წარდგენა, კანონსაწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად, დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება იყო აშკარად მცდარი, რადგან საქართველოს მთავრობის დავალდებულება, მოემზადებინა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, არ მომდინარეობდა სასამართლოსგან, რომელიც არ გასცდენია თავისი კომპეტენციის ფარგლებს, არამედ გამომდინარეობდა საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის შესაბამისი დადგენილებიდან, რომელშიც სიტყვასიტყვით იყო მითითებული, რომ საქართველოს მთავრობას დავალდებოდა, „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნა-

თა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაწვრილებით და საფუძვლიანად იყო დასაბუთებული, თუ რატომ უნდა დავალებოდა საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება კონკრეტულ მოსარჩელეებთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრებები ვერ იქნა გაბათილებული აპელანტის მიერ. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, თუმცა საქალაქო სასამართლოს არ უნდა დაევალებინა საქართველოს მთავრობისათვის მოემზადებინა საქართველოს პრეზიდენტისთვის წარსადგენად ისეთი შინაარსის განკარგულების პროექტი, რომლითაც აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მოსარჩელებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით უშუალოდ უნდა გადაეცათ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსი. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოხსენებული დადგენილებით საქართველოს მთავრობას ზოგადად დაევა, რომ მას საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ამდენად, საქართველოს მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, თვითონ განესაზღვრა, სახელმწიფო გამგებლობაში არსებული თუ რომელი შენობა-ნაგებობები ან მიწის ნაკვეთები გადაეცა მოსარჩელებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ ამ ნაწილში არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის (გაუქმების), საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობას დავალებოდა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება და მისთვის წარდგენა, სრულიად საფუძვლიანი იყო და იგი პირდაპირ გამომდინარეობდა საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან. უფრო მეტიც, ხსენებულ დადგენილებაში ნათლად იყო მითითებული, რომ საქართველოს მთავრობას დროულად უნდა მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ხსენებული დადგენილების მიღებიდან გასული იყო თითქმის 2 წელი, მაგრამ საქართველოს მთავრობამ არათუ დროულად, არამედ საერთოდ არ შეასრულა ამ დადგენილების დანაწესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას ზუსტად უნდა განსაზღვროდა ვადა, რათა მას აღესრულებინა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მითითებული დადგენილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლო ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითადად, დაეყრდნო საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოხსენებულ დადგენილებას და მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და იგი პირდაპირ გამომდინარეობდა საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებიდან, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებულ დადგენილებაში მითითებული დავალება უნდა შესრულებულიყო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე. „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი კი, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2006 წლის 1 იანვრიდან. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, აგრეთვე, ისიც, რომ საქართველოს პარლამენტის აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული საკანონმდებლო აქტები, რომელთა მოთხოვნათა შესრულების მიზნითაც იქნა გამოცემული ხსენებული დადგენილება, სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის იურიდიულად ძალადაკარგულ აქტებს წარმოადგენდა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4, მე-5 პუნქტები და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული აქტების ხსენებული ნორმები მიღებული იყო 2001 წლიდან 2005 წლამდე ვადით. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილება იურიდიული ძალის არმქონეა, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის დადგენილებიდან გამომდინარე, რომლითაც საქართველოს მთავრობას ევალებოდა საქართველოს პრეზიდენტისთვის წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები, დაადგინა, რომ სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ან მიწის ნაკვეთების აღნიშნულ პირებზე გადაცემა იყო საქართველოს მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლომ, გარდა იმისა, რომ იურიდიული ძალის არმქონე დადგენილებიდან გამომდინარე, განსაზღვრა ხსენებული დისკრეციული უფლებამოსილება, არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. ამდენად, სახელმწიფო ქონების მოსარჩევეებისთვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რამდენადაც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

კასატორის მტკიცებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაწვრილებით და საფუძვლიანად იყო დასაბუთებული, თუ რატომ უნდა დავალებოდა საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება კონკრეტულ მოსარჩევეებთან დაკავშირებით და მცდარად მიიჩნია მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ, დაავალა რა საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა, ფაქტობრივად, კანონსაწინააღმდეგოდ დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი. საქართველოს მთავრობის მოსაზრება გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებულია სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებელია განხილულ იქნეს საქართველოს მთავრობის სხდომაზე. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განსაზღვრა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობა და სავალდე-

ბულოობა და არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლება წარედგინოს საკითხები, რომლებიც საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის მხოლოდ შესაძლებლობას და იგი საქართველოს მთავრობას არ აკისრებს მათი განხილვის ვალდებულებას, ანუ მას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არის უსაფუძვლო.

კასატორის მტკიცებით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცედურა სრულად არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგენს განსაზღვრულ დოკუმენტებს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იხილავს შემოსულ განცხადებას ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც სათანადო წინადადებებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენს პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. ამ საკითხის მომწესრიგებელი აღნიშნული ნორმების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ სრულიად ახალი პროცედურა განსაზღვრა და მიუთითა, რომ აუცილებელი იყო ასეთი საკითხები განეხილა საქართველოს მთავრობას, რაც არ შეესაბამება სამართლის არც ერთ ნორმას.

კასატორის მოსაზრებით, საკასაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეფასება და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 28 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 24 იანვარს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისადმი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს (ამჟამად ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო) 2000 წლის 31 აგვისტოს წერილის მიხედვით, ქ. თბილისის მერიას განცხადებით მიმართეს 645-ე კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში გაწევრიანებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებმა, რომლებმაც დასვეს საკითხი მათ მიერ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეტანილი თანხების სანაცვლოდ, გადასცემოდათ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს მშენებარე შენობა საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსადმი (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 2002 წლის 30 იანვრის წერილით ითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი, კარკასული შენობა, მიმდებარე 0,5 ჰა მიწის ნაკვეთით შეტანილიყო საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემი ობიექტების წუსხაში მიზნობრივად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა მიმართ არსებული სახელმწიფო ვალის დასაფარავად. საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული კორპუსი, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ იმავე აკადემიის თანამშრომელთა მიმართ სახელმწიფო საშინაო ვალის დასაფარავად. 2003 წლის 4 თებერვალს საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრების მიერ ვიზირებული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი დანართის სახით თანდართულ მასალებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) გადაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2004 წლის 14 ივლისის კონტროლზე აყვანილი #256/28 წერილით საქართველოს მთავრობის კანცელარიის კონტროლის დეპარტამენტის უფროსის წერილის საფუძველზე, მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრებს იმის თაობაზე, რომ დაეჩქარებინათ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის საკომპენსაციო თანხების ნაცვლად, პირდაპირი მიყიდვის წესით ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციული კორპუსისა და მასზე დამაგრებული 7300 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხის წარდგენა საქართველოს მთავრობის სხდომაზე. საქართველოს მთავრობის კანცელარიისადმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 2 ნოემბრის წერილის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის #256/28 დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსის და მასზე დამაგრებული მიწის ფართის დადგენილი წესით კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ მოქალაქეებზე გადაცემის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ახლო პერიოდში წარდგენილი იქნებოდა შესაბამისი წინადადებები საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს მთავრობის კანცელარიისადმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 29 ნოემბრის წერილის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მიმდინარეობდა კომპლექსური რეფორმა, რომლის დასრულებისთანავე მის მიერ გატარდებოდა ღონისძიებები საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენისათვის. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებმა, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართეს თხოვნით ამ საკითხზე უმოკლეს დროში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და დავალიანების დაფარვის პრაქტიკული განხორციელების თაობაზე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2005 წლის 27 აპრილისა და 2005 წლის 3 მაისის წერილებით მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე დაუმთავრებელი შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დაზარალებულ მეცნიერ-თანამშრომელთათვის გადაცემის პროცესის გაჭიანურება წარმოადგენდა აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევას. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის #30 ოქმით ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად და საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს დაევალიათ საქართველოს მთავრობის შემდეგ სხდომაზე წარედგინათ პროექტი იმავე საკითხის მოგვარების თაობაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2005 წლის 9 სექტემბრის წერილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი თანდართულ განმარტებით ბარათთან ერთად. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში მიუთითა, რომ მოსარჩელეთათვის ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი კარკასული შენობის, სახელმწიფო ვალის დასაფარავად, გადაცემის საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 2005 წლის 6 ივლისს საქართველოს მთავრობის სხდომაზე. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 8 თებერვლის #5 სხდომის ოქმით ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალიათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, საქართველოს მთავ-

რობის შემდეგ სხდომაზე წარედგინა გადაწყვეტილების პროექტი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებაზე, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობას დაევალა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ ამ პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში გარკვეული კორექტივების შეტანის შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო კომპენსაციით დაუკმაყოფილებელ კოოპერატივის წევრთა პირობების გაუარესება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ იგი სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს მთავრობისთვის საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადებისა და მისთვის წარედგინის დავალების შესახებ, სრულიად საფუძვლიანია და იგი პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან, რადგან ხსენებულ დადგენილებაში ნათლად და სიტყვასიტყვით იყო მითითებული, რომ საქართველოს მთავრობას დავალებოდა, „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებულ დადგენილებაში მითითებული დავალება უნდა შესრულებულიყო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე, ხოლო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2006 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს პარლამენტის აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული საკანონმდებლო აქტები კი, რომელთა მოთხოვნათა შესრულების მიზნითაც იქნა გამოცემული ხსენებული დადგენილება, სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის იურიდიულად ძალადაკარგულ აქტებს წარმოადგენდა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ და შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული აქტების ხსენებული ნორმები მიღებული იყო 2001 წლიდან 2005 წლამდე ვადით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხსენებული საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება არ ათავისუფლებს საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებით მისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი და ამდენად, სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისთვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რამდენადაც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორი სადავოდ ხდის იმას, რაც, ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის სადავო, კერძოდ, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისთვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მოსარჩელეთათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა, შეიძლება ითქვას, ორი ნაწილისაგან შედგება, კერძოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადებისაგან, საქართველოს პრეზიდენტისათვის მისი წარდგენისაგან და სახელმწიფო ქონების შესაბამისი პირებისათვის გადაცემისაგან, რომელთა განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებს წარმოადგენენ, შესაბამისად, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პრეზიდენტი. ამდენად, უდავოა, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისთვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, რომლის განსახორციელებლად აუცილებელი იყო საქართველოს მთავრობის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება.

ზემოაღნიშნულის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას, თუნდაც საქართველოს პრეზიდენტს უნდა დარჩენოდა დისკრეციული უფლებამოსილება, რომ თვითონ გადაეწყვიტა, თუ რომელი ობიექტი უნდა გადასცემოდათ მოსარჩელებს და ისინი თანახმა იყვნენ სხვა ობიექტის მიღებაზეც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად დადგენილი წესით შეიძლება წარედგინოს საკითხი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორის, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად – საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის მხოლოდ შესაძლებლობას და იგი საქართველოს მთავრობას არ აკისრებს მათი განხილვის ვალდებულებას, ანუ მას არა აქვს სავალდებულო ხასიათი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი დავას არ უნდა იწვევდეს, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია არა საქართველოს მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის შესაძლებლობაზე ან ვალდებულებაზე, არამედ არაამომწურავად არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა წრე ამავე ქვეპუნქტში ჩამოთვლილი საკითხებით, რომლებიც შემოფარგლულია საქართველოს მთავრობის კომპეტენციით – ანუ ხაზგასმულია იმაზე თუ რა საკითხები შეიძლება წარედგინოს საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად, რასაც ადასტურებს საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმად, მთავრობის სხდომაზე განიხილება ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად, განეკუთვნება მთავრობის კომპეტენციას. მეორეც, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული საკითხების ჩამონათვალში შედის ხსენებული პუნქტის „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებული საკითხები, შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის განხორციელება და სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების მართვის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარზე საკასაციო წარმოდგენილ შესაგებელში მოსარჩელეთა წარმომადგენლები თ. გ-მე და ლ. ლ-მე მიუთითებენ, რომ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისათვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია, რასაც ადასტურებს თვით სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ საქართველოს მთავრობას დაავალა არა სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისათვის გადაცემა, არამედ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დავალებებით დასტურდება, რომ სარჩელში წარმოდგენილი საკითხი – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობის მოსარჩელეთათვის გადაცემის შესახებ და მისი პრეზიდენტისთვის წარდგენა საქართველოს მთავრობის განსახილ-

ველი საკითხია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის სამინისტროებს მოსთხოვდნენ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის არა საქართველოს მთავრობის სხდომაზე, არამედ პირდაპირ საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამის თაობაზე მოპასუხის მოსაზრების უსაფუძვლობას.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცედურა სრულად არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგენს განსაზღვრულ დოკუმენტებს, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იხილავს შემოსულ განცხადებას ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც სათანადო წინადადებებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენს პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. კასატორი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის მომწესრიგებელი აღნიშნული ნორმების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ სრულიად ახალი პროცედურა განსაზღვრა და მიუთითა, რომ აუცილებელი იყო ასეთი საკითხები განეხილა საქართველოს მთავრობას, რაც არ შეესაბამება სამართლის არც ერთ ნორმას.

საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების მიღებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს მთავრობის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, გამოცემულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის #1-1/1415 ბრძანება (ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე), რომლითაც დამტკიცდა „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულება. ხსენებული ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანება „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, ანუ ამჟამად აღარ მოქმედებს ზემოაღნიშნული დებულება, რომელზეც მიუთითებს კასატორი საქართველოს მთავრობა და იყენებს საკასაციო საჩივრის დასაბუთებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის #1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-6 პუნქტში გარკვევით არის მითითებული, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ხოლო საკითხს ამზადებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება მთლიანად ააგო საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებაზე და ძირითადად, გამოიყენა ხსენებული დადგენილება, რაზეც კასატორიც მიუთითებს საკასაციო საჩივარში. ამასთან, მართალია, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მართებულად მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, თვითონ განესაზღვრა, სახელმწიფო გამგებლობაში არსებული თუ რომელი შენობა-ნაგებობები ან მიწის ნაკვეთები გადაეცა მოსარჩელებისთვის, მაგრამ იმავედროულად, საქართველოს პარლამენტის ხსენებული დადგენილების ზუსტი შესაბამისობით, იმავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაავალა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოსარჩელებისათვის მათზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. მიზნობრივად განაწილებულ სახელმწიფო ქონებაზე ხაზგასმამ კი გამოიწვია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვაგვარი გაგება მხარეების მხრიდან, ანუ მიზნობრიობაზე მითითებამ წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ადასტურებს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ამის შესახებ მხარეთა განმარტებებიც, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის სხდომაზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოდის, მოსარჩელებს მიზნობრივად უნდა გადაეცეთ კონკრეტული შენობა, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კარკასული შენობა. საკასაციო სასამართლოს იმავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა კი მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-

ტილებში მოსარჩელები გულისხმობენ, როგორც ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ქონებას, რაც პირველ რიგში არის მათთვის სასურველი, ასევე ნებისმიერ ფორმატში შეიძლება იქნეს განხილული სხვა გონივრული და მისაღები ვარიანტი ქონების გადაცემის შესახებ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ რომელი სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) თაობაზე უნდა მოამზადოს და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი შესაბამისი ქონების მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის გადაცემის მიზნით (ალიარებული ვალის სანაცვლოდ), ანუ თვითონ უნდა შეაფასოს, საქართველოს პრეზიდენტის მის მიერ მოსამზადებელ განკარგულების პროექტში მოსარჩელეთა მიერ სარჩელში მითითებული, თუ სხვა ქონება უნდა იქნეს შეტანილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის მატერიალური შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზებაში მისთვის დაბრკოლებების შექმნა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად კონკრეტული ქმედებების განხორციელება - საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის დროულად მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა სწორედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ საქართველოს მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილების მიღებიდან გასული იყო თითქმის 2 წელი, მაგრამ საქართველოს მთავრობამ არა თუ დროულად, არამედ საერთოდ არ შეასრულა ამ დადგენილების დანაწესები, რის გამოც საქართველოს მთავრობას ზუსტად უნდა განსაზღვროდა ვადა, რათა მას აღესრულებინა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მითითებული დადგენილება. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს მთავრობას ამისათვის განუსაზღვრა ერთი თვის ვადა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ერთთვიანი ვადა არ არის გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც საქართველოს მთავრობა შეძლებდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადებისა და საქართველოს პრეზიდენტისთვის მისი წარდგენის თაობაზე დავალების შესრულებას, მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს მთავრობას დაევალოს დროულად, გონივრულ ვადაში განხორციელოს საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით მისთვის დავალებული ქმედებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო მოცემულ საქმეზე, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში "მიზნობრივად" განაწილებულ სახელმწიფო ქონებაზე მითითებისა და საქართველოს მთავრობისათვის ერთი თვის ვადის არასწორად მიცემის გამო, აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება შეცვლას სარეზოლუციო ნაწილში დასახელებული ორი ელემენტის კუთხით, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია "მიზნობრიობაზე" მითითება მისი დივერგენტული გაგების გამორიცხვის უზრუნველყოფისთვის, ასევე - კასატორი საქართველოს მთავრობის შეზღუდვა ერთთვიანი ვადით მისთვის დავალებული ქმედებების განხორციელებაში, ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული როდი ნიშნავს კასატორი საქართველოს მთავრობის მიერ მისთვის დავალებული ქმედებების განხორციელების გაჭიანურე-

ბას, არამედ გულისხმობს ხსენებული ქმედებების იმ ვადაში განხორციელებას, რაც ჩვეულებრივ, გონივრული გაგებით საჭიროა მათი რეალიზებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების - ვ. ბ-შვილის, შ. ნ-ძის, გ. ბ-ძის, მ. ჯ-იას, ფ. ა-ელის, მ. კ-შვილის, ნ. ტ-შვილის, ე. ტ-ძის, დ. კ-ვას, ზ. ბ-ძის, გ. და ნ. ს-ძეების (ი. ი-ვას უფლებამონაცვლეები), ლ. ბ-ძის, მ. გ-ურის, ო. ე-ძის, გ. წ-ეთლის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაევალება, დროულად მოამზადოს და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების - ვ. ბ-შვილის, შ. ნ-ძის, გ. ბ-ძის, მ. ჯ-იას, ფ. ა-ელის, მ. კ-შვილის, ნ. ტ-შვილის, ე. ტ-ძის, დ. კ-ვას, ზ. ბ-ძის, გ. და ნ. ს-ძეების (ი. ი-ვას უფლებამონაცვლეები), ლ. ბ-ძის, მ. გ-ურის, ო. ე-ძის, გ. წ-ეთლის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; დაევალოს მოპასუხე საქართველოს მთავრობას, დროულად მოამზადოს და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-885-847(კ-07) 1 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: შესრულების სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

3. ც-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა შესრულებული სამუშაოს გასამრჯელოს, მორალური ზიანისა და თვალის ოპერაციისათვის საჭირო თანხის მოპასუხისთვის დაკისრება, შემდეგი საფუძველით:

საქმის გარემოებები:

2004 წლის 23 თებერვალს მოსარჩელეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრში გაუფორმეს შრომითი ხელშეკრულება - შტატგარეშე მოსამსახურედ მიღების შესახებ. მოსარჩელეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომელს, სახელფასო განაკვეთი არ გააჩნდა და მას შრომითი გასამრჯელო უნდა მიეღო შესრულებული სამუშაოს ოდენობის მიხედვით. 2004 წლის 24 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით მოსარჩელე მივლინებული იყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში სატარიფო პოლიტიკის ამსახველი საქმიანობის კომპლექსური რევიზიის ჩასატარებლად. ამასთან, ექსპერტიზისა და სპეციალურ გა-

მოკვლევათა ცენტრის დირექტორის 2004 წლის 15 მარტის #27 ბრძანებით, ამავე წლის 15 მარტიდან 5 მაისამდე პ. ც-შვილი ასევე მივლინებული იყო შპს "ჯორჯიან-ელიტ-ტრანს-ში" საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩასატარებლად. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ რევიზიები ჩატარდა კეთილსინდისიერად. მიუხედავად აღნიშნული სამუშაოს შესრულებისა, ცენტრის ხელმძღვანელობას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არ მიუცია.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

2004 წლის 10 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ცენტრის დირექციას, რათა მიეღო შესრულებული სამუშაოს მიხედვით შესაბამისი ანაზღაურება, მაგრამ 2004 წლის 14 ივლისს ცენტრის დირექციისგან ეთქვა უარი იმ საფუძლით, რომ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104.2 მუხლის თანახმად, ექსპერტს და სპეციალისტს უფლება აქვთ, მიიღონ გასამრჯელო თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მოვალეობა სრულდება სამსახურებრივი დავალების წესით". 2004 წლის 3 დეკემბერს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რაზეც 2005 წლის 20 თებერვალს მიიღო პასუხი, სადაც აღნიშნული იყო, რომ "ცენტრსა და პ. ც-შვილს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, ცენტრი იღებდა ვალდებულებას, აენაზღაურებინა პ. ც-შვილისათვის შრომითი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს ოდენობის მიხედვით, საექსპერტო საქმიანობის დამკვეთის მიერ სათანადო ანაზღაურების გადახდის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამქირავებელი (ცენტრი) ვალდებულებას არ იღებდა, დამქირავებლისათვის (რომელიც წარმოადგენდა შტატგარეშე თანამშრომელს და სახელფასო განაკვეთი არ გააჩნდა), მიღებული დავალების მის მიერ შესრულების მიუხედავად, გადაეხადა შესაბამისი ანაზღაურება, ანუ ხელშეკრულება სავალდებულო წესით არ ითვალისწინებდა პ. ც-შვილისათვის შრომის ანაზღაურებას.

მოსარჩელის განმარტებით, ცენტრის ხელმძღვანელობას ტრანსპორტის პროკურატურიდან იმ შემთხვევაში უნდა მიეღო დაკვეთა, თუ მათ შორის გაფორმდებოდა ორმხრივი ხელშეკრულება და პირობებიც გათვალისწინებული იქნებოდა, რაც არ განხორციელებულა. დღევანდელი მდგომარეობით ტრანსპორტის პროკურატურა გაუქმებულია, მაგრამ იგი შედიოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის დაქვემდებარებაში. ამდენად, ცენტრი ვალდებული იყო, სამუშაოს ღირებულება მოეთხოვა გენერალური პროკურატურისგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს დაკისრებოდა მისი შრომის ანაზღაურების - 725 ლარის გადახდა. ამასთან, მოსარჩელემ ნერვიულობის საფუძველზე მიიღო თვალის კატარაქტა, გახდა საოპერაციო, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 800 ლარს, ხოლო მორალური ზიანისთვის მოითხოვა 1,000 ლარი, სულ - 2,525 ლარი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები მითითებული არ არის.

საქალაქო სასამართლოში მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანება - 3200 ლარის, მორალური ზიანის ანაზღაურება - 300 ლარის, თვალის ოპერაციისათვის 800 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით პ. ც-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 23 თებერვლის #16 ბრძანება და მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულების 2.3 მუხლის მიხედვით, ცენტრი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა პ. ც-შვილისთვის შრომითი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს ოდენობის მიხედვით (ცენტრის დირექტორის მიერ 2002 წლის 5 სექტემბრის #15 ბრძანების საფუძველზე). საექსპერტო საქმიანობის დამკვეთის მიერ სათანადო საქმიანობის ანაზღაურების გადახდის შემთხვევაში. მოპასუხის ახსნა-განმარტებით, საექსპერტო საქმიანობის დამკვეთს ცენტრის ანგარიშზე თანხა არ ჩაურიცხავს და მოსარჩელეს აღნიშნული ფაქტი სადავოდ არ გაუხდია.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მოსარჩელისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება უნდა მომხდარიყო დამკვეთის მიერ თანხის ჩარიცხვის შემდეგ, რაც დღემდე არ არის ჩარიცხული მოპასუხის ანგარიშზე, ამიტომ ამ უკანასკნელს არ წარმოშობია ვალდებულება პ. ც-შვილისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ხელფასის ანაზღაურების შესახებ არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1 მუხლი და განმარტა, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო, დაესაბუთებინა თავისი სარჩელი და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე მოპასუხეც ვალდებული იყო, დაესაბუთებინა თავისი შესაგებელი და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ ვერ წარ-

მოადგინა ვერანაირი მტკიცებულება მორალური ზიანის ანაზღაურებისა და თვალის ოპერაციისათვის საჭირო თანხის გადახდასთან დაკავშირებით, რის გამოც, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნები არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ც-შვილმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილი იყო პროცესუალური დარღვევებით, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სრულად იქნა შესრულებული ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დავალებები.

საქალაქო სასამართლომ პრაქტიკულად გაიზიარა ცენტრის პოზიცია და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შესრულებული სამუშაოსათვის მოსარჩელის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო დამკვეთის მიერ თანხის ჩარიცხვის შემდეგ და აღნიშნული თანხა დღემდე არ ჩარიცხულა მოპასუხის ანგარიშზე, ამ უკანასკნელს არ წარმოშობია ვალდებულება მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე. აღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლოა, ვინაიდან როგორც იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრისათვის, ისე დამკვეთისათვის ცნობილი იყო, რომ რთული და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, რომელიც ჩატარდა მოსარჩელის მიერ, ვერ განხორციელდებოდა უსასყიდლოდ. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 2.3 მუხლი გულისხმობდა, რომ ცენტრს აპელანტისათვის უნდა აენაზღაურებინა დამკვეთის მიერ ცენტრისათვის თანხის გადარიცხვის შემთხვევაში. ამავე დროს ცენტრი ვალდებული იყო, ეცნობებინა პროკურატურისათვის შესრულებული სამუშაოს საზღაურის ოდენობა, რაც განსაზღვრული იყო "ხელშეკრულება-ორდერის" შესაბამისად. მოპასუხემ არ აცნობა პროკურატურას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე, რის გამოც პროკურატურამ არ გადარიცხა თანხა ცენტრის ანგარიშზე. შესაბამისად, ცენტრმა არ შეასრულა მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება და არ აანაზღაურა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურა საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1. მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განჩინებით პ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 23 თებერვლის #16 ბრძანება და მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, პ. ც-შვილისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება უნდა მომხდარიყო დამკვეთის მიერ, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ თანხის ჩარიცხვის შემდეგ. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას საქართველოს გენერალური პროკურატურის #გ11.06.07 წერილის საფუძველზე დადგინდა ის გარემოება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრისათვის 2004 წლის თებერვალ-მარტში მომსახურების საფასური არ ანაზღაურებულა, ვინაიდან ამ პერიოდში სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურატურის, მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი იყო და არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. ც-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ასევე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმის მასალებს და საქმეში არსებულ მტკიცებუ-

ლებებს. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მის მიერ პროკურატურიდან გამოთხოვილ ცნობას, რომლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის სპეციალურ გამოკვლევა-თა ცენტრიდან 2004 წლის თებერვალ-მარტში მომსახურების საფასური არ ანაზღაურებულა. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურება, ცალკეული შემთხვევების გარდა, ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა იმ ფაქტის შესახებ, რომ პროკურატურის აღნიშნულ წერილში მოყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და საქმეში მოიპოვება არა ერთი მტკიცებულება, რომელიც საწინააღმდეგოს ადასტურებს, კერძოდ, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც პროკურატურას დაევალა სახელფასო თანხის იუსტიციის სამინისტროს ანგარიშზე დარიცხვა, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა პ. ც-შვილს უნდა გადასცემოდა ხელფასის სახით. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დაქირავებულის შრომა ანაზღაურებას ექვემდებარება. გაურკვეველია, მოხდა თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის დამკვეთის მიერ თანხის გადარიცხვა. ამასთან, გაურკვეველია, კანონის რომელი ნორმის საფუძველზე იყო უფლებამოსილი ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, გენერალური პროკურატურისათვის უსასყიდლოდ შეესრულებინა დაკვეთები. სააპელაციო სასამართლომ კი არც ერთ ზემოაღნიშნულ გარემოებას შეფასება არ მისცა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით პ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე (პროცესუალური კასაცია).

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის სასამართლოს სხდომაზე კასატორ პ. ც-შვილის წარმომადგენელმა ი. რ-შვილმა სარჩელზე ნაწილობრივ უარი თქვა, კერძოდ, მორალური ზიანის 300 ლარის ანაზღაურებისა და თვალის ოპერაციისათვის 800 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს საოქმო განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 272 "გ" მუხლის საფუძველზე შეწყდა საქმის წარმოება, პ. ც-შვილის წარმომადგენლის მიერ სარჩელის ამ ნაწილზე უარის თქმის გამო, ხოლო სარჩელის დანარჩენ 3200 ლარის ანაზღაურების ნაწილში კასატორ პ. ც-შვილის წარმომადგენელმა ი. რ-შვილმა მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" წარმომადგენელმა არ ცნო პ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

მესამე პირის - საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა არ ცნო პ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც პ. ც-შვილის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს; სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" პ. ც-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 3200 ლარის გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. "ე" მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა არც ერთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, რის გამოც განჩინება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ესაა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელ-

შეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹.1. მუხლის შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2. მუხლით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

დოქტრინის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების ერთმანეთისაგან გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი ანუ ნების გამოვლენის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა, რამდენადაც თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაა ორგანიზაციული. მათი მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, საჯარო სამართლებრივი ინტერესის განხორციელება. ხელშეკრულებათა გამიჯვნის დროს აქცენტი უნდა გამახვილდეს ხელშეკრულებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობისას ვისი ინტერესები დგას წინა პლანზე: ერთეულების კერძო ინტერესები თუ საჯარო ინტერესები (ინტერესთა თეორია).

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადებული მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებები შედის ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებულ საჯაროსამართლებრივ სფეროში, რომლის საგანიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით მოწესრიგდება და რომელიც ადმინისტრაციულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" პ. ც-შვილთან შრომითი ხელშეკრულების დადებისას ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, რამდენადაც მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო საჯარო უფლებამოსილების - სისხლის სამართლის საქმეზე საექსპერტო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ანუ ხელშეკრულების საგანი საექსპერტო საქმიანობის შესრულება მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური და ობიექტური მოკვლევის ჩატარებას, რაც პროკურატურის საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საჯარო ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პ. ც-შვილის მიერ აღძრული ადმინისტრაციული სარჩელი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს ვალდებულების - შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებას, ამასთან, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პ. ც-შვილის საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 23 თებერვლის #16 ბრძანება და მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულების 2.3 მუხლის მიხედვით, ცენტრი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა პ. ც-შვილისთვის შრომითი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს ოდენობის მიხედვით (ცენტრის დორექტორის მიერ 2002 წლის 5 სექტემბრის #15 ბრძანების საფუძველზე), საექსპერტო საქმიანობის დამკვეთის მიერ სათანადო საქმიანობის ანაზღაურების გადახდის შემთხვევაში. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას საქართველოს გენერალური პროკურატურის #გ11.06.07 წერილის საფუძველზე დადგინდა ის გარემოება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრისათვის 2004 წლის თებერვალ-მარტში მომსახურების საფასური არ ანაზღაურებულა, ვინაიდან ამ პერიოდში სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურატურის, მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ, ვინაიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 2.3. მუხლის თანახმად, არ მომხდარა ცენტრის ანგარიშზე 2004 წლის თებერვალ-მარტში პ. ც-შვილის, როგორც ექსპერტის, მომსახურების საფასურის გადარიცხვა, სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსის 3. "ბ" მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თანაბარი მუშაობის პირობებში მუშაკს უფლება აქვს ჰქონდეს თანაბარი ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმისა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე - საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია იღებს უზრუნველყოფს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც ხელშეკრულებით (კონტრაქტით) არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე - მუშაკი ვალდებულია იღებს შესრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს.

შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად კი მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ვალდებულია უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთლსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, ხოლო მისი არაჯეროვანი შესრულება იწვევს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლით დადგენილია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია მოვალის პასუხისმგებლობა მაშინაც კი, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ცენტრისათვის გაწეული სამუშაოს საფასურის არ გადარიცხვა არ შეიძლება გახდეს პ. ც-შვილისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილია შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლება. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების კონტრაქტის - სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" დამკვეთის - პროკურატურისაგან თანხის გადარიცხვა მოსარჩელის მიერ გაწეული სამუშაოს ანაზღაურების მიზნით არც მოუთხოვია, მეტიც, ფაქტობრივად მოიხსნა პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ ხელშეკრულების 2.3. მუხლში განსაზღვრული დათქმის (დამკვეთის მიერ სათანადო ანაზღაურების გადახდის შემთხვევაში) გამო, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით, "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-7 და "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 23-ე მუხლით უზრუნველყოფილ და აღიარებულ უფლებას შრომის სამართლიანი ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მესამე პირის საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრებას, რომ რაიმე დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება პროკუ-

რატურიდან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის დაკვეთა საქსპერტო საქმიანობის შესრულებაზე არ მოიპოვება, შესაბამისად არ დასტურდება მათ მიერ სამუშაოს შეკვეთის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის მასალების თანახმად, პ. ც-შვილი სისხლის სამართლის საქმეზე საქსპერტო საქმიანობის შესასრულებლად დაშვებულ იქნა. როგორც ექსპერტმა მან შეასრულა სამუშაო, ხოლო ამგვარ უფლებამოსილებას ის ვერ განახორციელებდა დამკვეთისაგან შესაბამისი ნების არარსებობის პირობებში. ასევე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, რომ ტრანსპორტის პროკურატურას არ ევალუბოდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ვინაიდან აღნიშნული გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პ. ც-შვილს არ შეიძლება დაეკისროს მტკიცების ტვირთი შემდეგზე, რომ მას უნდა გადაემოწმებინა "სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა" და დამკვეთს - საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურას შორის არსებობდა თუ არა წერილობითი შეთანხმება, კანონით, კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ექვემდებარებოდა თუ არა პროკურატურის სასარგებლოდ ჩატარებული საქსპერტო სამუშაო ინდივიდუალურად, ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურებას, ამგვარი გადამოწმების ვალდებულება მას არ გააჩნდა, აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას (ისევე, როგორც სხვა საქმიანობის სამართლებრივი ფორმების განხორციელებისას) მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი, რაც დაცულ უნდა იქნას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

საქმის მასალებით დასტურდება და არც მოპასუხე უარყოფს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ პ. ც-შვილმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად, კერძოდ, საქმეში არსებული ელშეკრულების ორდერების თანახმად, პ. ც-შვილმა ტრანსპორტის პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე შეასრულა საქსპერტო საქმიანობა 1400 ლარისა და 1800 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით "სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" წარმომადგენლის საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოთქმულ პრეტენზიას თანხის ოდენობის არასარწმუნოების თაობაზე საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სსსკ-ის 407.1. მუხლის საფუძველზე, რადგან ეს ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება გახდეს საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, რაკი აღნიშნული სადავო არ გამხდარა არცერთ სასამართლო ინსტანციაში. ამდენად, პ. ც-შვილის მიერ ნაკისრი შრომითი ვალდებულება შესრულდა სამოქალაქო კოდექსის 361.1. მუხლის მოთხოვნათა დაცვით - ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას, ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურის მიერ არ გადაირიცხა შესრულებული სამუშაოს ღირებულება ცენტრის ანგარიშზე, არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის მოთხოვნის - შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების - დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი წინაპირობები, რომლითაც პ. ც-შვილის სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 389-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. პ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. პ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაეკისროს 3200 ლარის გადახდა პ. ც-შვილის სასარგებლოდ;
5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

განჩინება

#ბს-1115-1066(კ-07) 15 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2005 წლის 18 ივლისს შპს "ბათუმის ნავთობბაზამ" სარჩელი აღძრა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების - ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრება მოითხოვა.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელემ 2003 წლის მაისს-დეკემბრის პერიოდში აჭარის ა/რ შს სამმართველოს 18000 ლიტრი ბენზინი მიჰყიდა 20480 ლარად მინდობილობებისა და მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ თანხა მოპასუხემ არ გადაიხდა.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველი:

მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა მოპასუხისათვის 20480 ლარის გადახდის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ქ. ბათუმის მერია.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა არ ცნო შპს "ნავთობბაზის" სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ქ. ბათუმის მერიას დაეკისრა 12723 ლარის გადახდა შპს "ბათუმის ნავთობბაზის" სასარგებლოდ, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

2003 წლის 1 აპრილს ქ. ბათუმის მერიამ მიიღო #62 განკარგულება, რომლითაც დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის შს სამმართველოს თხოვნა და ქალაქში მართლწესრიგის სისტემატური ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, შპს "ნავთობბაზის" დირექციას ეთხოვა ყოველთვიურად 2000 ლიტრი საწვავის გამოყოფა. ქ. ბათუმის მერიას უნდა აენაზღაურებინა გაწეული დანახარჯი ბუღალტერიის მეშვეობით წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე. ამასთან, საფინანსო განყოფილებას დაევალა აღნიშნული თანხის 2003 წლის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინება.

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი და განმარტა, რომ ქ. ბათუმის მერიამ სადავო თანხის ნაწილი გადაიხდა. ამასთან საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიას უნდა დაკისრებოდა საწვავის ღირებულებიდან დარჩენილი გადაუხდელი თანხის - 12 723 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. ბათუმის მერიას დაეკისრა 12723 ლარის გადახდა, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ამასთან გადაწყვეტილება გამოტანილია სსსკ-ის 393.2 და 394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად,

უცვლელად დარჩა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "ბათუმის ნავთობბაზის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2003 წლის 1 აპრილს ქ. ბათუმის მერიის #62 განკარგულებით, დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის შს სამმართველოს თხოვნა და ქალაქში მართლწესრიგის სისტემატური ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, შპს "ნავთობბაზის" დირექციას ეთხოვა ყოველთვიურად 2000 ლიტრი საწვავის გამოყოფა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 477.1. მუხლი და განმარტა, რომ გამყიდველის მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქონების გადაცემით, ქონების გადაცემასთან კანონმდებელი სავალდებულო პირობად მიიჩნევს მყიდველისათვის გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული, ყველა საჭირო დოკუმენტების წარდგენას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული პირობა ასევე შეთანხმებული იყო მხარეთა შორის, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის 2003 წლის 1 აპრილის #62 განკარგულება ანაზღაურების სავალდებულო პირობად ითვალისწინებს გაყიდულ საქონელზე ანგარიშ-ფაქტურის წარდგენას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ბათუმის ნავთობბაზამ," რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, მიღებულია საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე არ უარყოფდა საწვავის მიღების ფაქტს. შესაბამისად, მხარეთა მიერ ქ. ბათუმის მერიის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია. ამდენად, ქ. ბათუმის მერია ვალდებულია, მიუხედავად ანგარიშ-ფაქტურების წარუდგენლობისა, აანაზღაუროს სადავო თანხა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სახეზეა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგება, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საწვავი მიწოდებულია, მაგრამ თანხა არ არის გადახდილი, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 361-ე მუხლების საფუძველზე სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" პუნქტის საფუძველზე შპს "ბათუმის ნავთობბაზის" საკასაციო საჩივარი მიიჩნეულ იქნა დასაშვებად (პროცესუალური კასაცია).

მოწინააღმდეგე მხარეებს შპს "ნავთობბაზის" საკასაციო საჩივართან დაკავშირებით მოსაზრებები და შეპასუხება არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველად ნობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს "ბათუმის ნავთობბაზის" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ

გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს "ბათუმის ნავთობბაზის" მიერ სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არ შეაფასა საქმეში არსებული მთელი რიგი მტკიცებულებები, კერძოდ, ტვირთის მიწოდების ცნობები, მოწმეთა ჩვენებები, მინდობილობები, რომლითაც დასტურდება, აჭარის ა/რ შს სამინისტროს ბათუმის მთავარი სამმართველოს მიერ შპს "ბათუმის ნავთობბაზიდან" საწვავის მიღების ფაქტი. აღნიშნულ გარემოებას არც მოპასუხე მხარე უარყოფს, თუმცა სასამართლოს დასკვნით, საწვავის ღირებულება მხოლოდ საქონლის ანგარიშ-ფაქტურების წარდგენისას ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 350.1 "ა" მუხლის თანახმად, სახეზეა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის 2003 წლის 1 აპრილს #62 განკარგულებით, დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის შს სამმართველოს თხოვნა და ქალაქში მართლწესრიგის სისტემატური ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, შპს "ნავთობბაზის" დირექციას ეთხოვა ყოველთვიურად 2000 ლიტრი საწვავის გამოყოფა. ამასთან, ქ. ბათუმის მერიამ იკისრა ვალდებულება ბათუმის შს სამმართველოსათვის მიწოდებული საწვავის თანხის გადახდის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ შეასრულა ზემდგომი სასამართლოს მითითება ფაქტობრივი გარემოებების მოპოვებისა და გამოკვლევის თაობაზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს კონკრეტული მითითებებით. სააპელაციო სასამართლოს დავალა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა, რაც სრულიად იგნორირებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებათა მოპოვებისა და შეფასების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

ამასთან, ერთის მხრივ სააპელაციო სასამართლომ მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება დაუკავშირა ანგარიშ-ფაქტურების წარდგენას, თუმცა ამასთანავე შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ ანგარიშ-ფაქტურებს. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ საქმეს დაერთო შპს "ბათუმის ნავთობბაზის" მიერ მტკიცებულებების სახით წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურები, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება. შესაბამისად გაურკვეველია, თუ რომელი მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე იქნა მიღებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 2 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ბათუმის საგადასახადო ინსპექციიდან გამოითხოვა შპს "ბათუმის ნავთობბაზის" მიერ 2003 წლის აპრილიდან 2003 წლის დეკემბრის ჩათვლით შედგენილი და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურები, რომელზეც ბათუმის საგადასახადო ინსპექციიდან მიიღო პასუხი, თუმცა აღნიშნული მტკიცებულება სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ ქ. ბათუმის შს სამმართველო არ უარყოფს საწვავის მიღების ფაქტს, რაც დასტურდება საქმეში არსებული მინდობილობებითა და მოწმეთა ჩვენებებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გან-

ხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქმის გარემოებათა ობიექტური გამოიკვლევის, შედეგად ასევე უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 361.1. მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შპს "ბათუმის ნავთობბაზის" მიერ საწვავის მიწოდების ფაქტი სადავო არ არის, შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს თუ არა საფუძველს, რომ მესამე პირს წარმოემვა ხელშეკრულების კონტრაქტისგან - ქ ბათუმის მერიისაგან მიწოდებული საწვავის ღირებულის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთლსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, ხოლო მისი არაჯეროვანი შესრულება იწვევს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო კოდექსის 477.1. მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად წარმოდგენს სადავო სამართალურთიერთობაში ანგარიშ-ფაქტურების წარუდგენლობა მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს, კერძოდ, ანგარიშ-ფაქტურებს გააჩნია თუ არა სსსკ-ის 102.3. მუხლის თანახმად, განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების ძალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ბათუმის ნავთობბაზის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება განჩინება

#ბს-680-588-კ-04 17 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 8 მარტს სს "ინტელექტბანკმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გარდაბნის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლის 6 აგვისტოს სს "ინტელექტბანკსა" და სახაზინო საწარმო "გარდაბანს" შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება 194825 ლარზე ერთი წლის ვადით, წლიური 24%-იანი დარიცხვით. აღნიშნული თანხები გამოყო "ტასისმა", ხოლო სახაზინო საწარმო "გარდაბანს" უნდა ეწარმოებინა ხორბალი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. 1996 წლის 8 ივლისს გარდაბნის რაიონის გამგეობამ #678 წერილით მიმართა სს "ინტელექტბანკს" და 194825 ლარის კრედიტზე თავდებად დაუდგა სახაზინო საწარმო "გარდაბანს". აღნიშნული თავდებობით იმავე გამგეობამ იკისრა, რომ ხსენებული კრედიტის არდაფარვის შეთხვევაში, დასახელებული გამგეობა თავად დაფარავდა მას 1997 წლის დეკემბერში, რაც არ გაუკეთებია. კრედიტის თანხა - 194825 ლარი სახაზინო საწარმო "გარდაბანს" მხოლოდ ნაწილობრივ დაფარა, ხოლო მისმა დარჩენილმა დავალიანებამ შეადგინა 127620 ლარი, რის გამოც აღნიშნული თანხა (127620 ლარი), როგორც "ტასისის" დავალიანება, მთლიანად დაფარა მოსარჩელემ. აღნიშნულის შემდეგ სს "ინტელექტბანკმა" სახაზინო საწარმო "გარდაბანს" გაუგრძელა კრედიტის დაფარვის ვადა, მაგრამ მან მაინც არ დაფარა დარჩენილი დავალიანება.

სასარჩელო განცხადებაში მითითებული იყო, რომ ზემოაღნიშნულის გამო, მოსარჩელემ მიმართა გარდაბნის რაიონის სასამართლოს და მოითხოვა დავალიანების თანხის - 127620 ლარისა და ამ თანხაზე დარიცხული პროცენტის, სულ - 184317 ლარის სახაზინო საწარმო "გარდაბანისათვის" დაკისრება. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სახაზინო საწარმო "გარდაბანს" სს "ინტელექტბანკის" სასარგებლოდ დაეკისრა 184317 ლარისა და მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 4608 ლარის გადახდა. აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმისათვის ჰქონდა პრეიუდიციული მნიშვნელობა. გადახდევინება უნდა მომხდარიყო დაგირავებული ქონების მიხედვით, მაგრამ დაგირავებული ქონება აღმოჩნდა გაფლანგული და აღმასრულებელმა იგი ვერ მოიძია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე და 898-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვა გარდაბნის რაიონის გამგეობისთვის, როგორც თავდებისთვის, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სახაზინო საწარმო "გარდაბანისათვის" დაკისრებული თანხის - 188925 ლარის, აგრეთვე, იურიდიული მომსახურებისათვის აღნიშნული თანხის 4%-ის - 7557 ლარის დაკისრება.

გარდაბნის რაიონის გამგეობამ შესაგებელი წარადგინა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო თავდებად და მას არ უნდა დაკისრებოდა სახაზინო საწარმო "გარდაბანის" პასუხისმგებლობა სს "ინტელექტბანკის" წინაშე აღნიშნული საწარმოს ვალდებულების ნაწილის შესრულებისათვის, რადგან ბუნებაში არ არსებობდა სათანადო წერილობითი ფორმის თავდებობის ხელშეკრულება, რაც კანონით სავალდებულო მოთხოვნა იყო თავდებობისათვის. გარდაბნის რაიონის გამგეობის 1996 წლის 18 ივლისის #678 წერილს არ მოჰყოლია თავდებობის ხელშეკრულების შედგენა, რის გამოც ხსენებული გამგეობა არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო თავდებად ორი იურიდიული პირის სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, გარდაბნის რაიონის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილი 2000 წლის 30 ოქტომბრის აქტიდან ირკვეოდა, რომ 1996 წლის 6 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხი, დარიცხულ პროცენტებთან ერთად, მთლიანად იქნა დაფარული სახაზინო საწარმო "გარდაბანის" მიერ 1997 წლის დეკემბრისათვის - ნაწილი თანხის გადახდის გზით, ნაწილი კი კვლავ იმავე მხარეებს შორის 1997 წლის 15 დეკემბერს დადებული ახალი საკრედიტო ხელშეკრულებით 127620 ლარზე. ხსენებული ახალი კრედიტი გაიცა სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ქონების დაგირავებით და არა გარდაბნის რაიონის გამგეობის თავდებობით, რის გამოც გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სახაზინო საწარმო "გარდაბანს" სს "ინტელექტბანკის" სასარგებლოდ 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების - 188925 ლარის გადახდა დაეკისრა, გარდაბნის რაიონის გამგეობას კი არანაირი შეხება არ ჰქონია 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებით იმავე საწარმოსთვის 127620 ლარის კრედიტის გაცემასთან. ამდენად, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებას არ შეიძლებოდა მინიჭებოდა პრეიუდიციული მნიშვნელობა სს "ინტელექტბანკის" ამ სასარჩელო განცხადებისათვის.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სს "ინტელექტბანკის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "ინტელექტბანკმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 20 მარტის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება კ.ჯ-შვილი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 10 ივლისის განჩინებით სს "ინტელექტბანკის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 10 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "ინტელექტბანკმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 26 თებერვლის განჩინებით სს "ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ იმსჯელა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია გარდაბნის რაიონის გამგეობის 1996 წლის წერილი შესაბამებოდა თუ არა იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ, იყო თუ არა "თავდებობისა" და "ხელშეკრულების" ნორმები დაცული. ნიშანდობლივი იყო, რომ საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა თავდების წერილობით განცხადებასა და თვით თავდებობის დოკუმენტს (ხელშეკრულებას) ცალცალკე არ განიხილავდა. საქართველოს ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობდა მეორე პირის - კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობას ამ პირის ვალდებულების შესრულებისათვის, ხოლო ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა, როცა მისი ყველა არსებითი პუნქტის თაობაზე მხარეებს შორის მიღწეული იყო შეთანხმება იმ ფორმით, რაც კანონით იყო დადგენილი (156-ე მუხლი). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ემსჯელა გარდაბნის რაიონის გამგეობის ხსენებული წერილის თავდებობად მიჩნევის საკითხზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სს "ინტელექტბანკის" სააპელაციო საჩივრის მეორე საფუძველზე - "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის იმ დროს მოქმედი მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და სახაზინო საწარმო "გარდაბანის" წესდების 1.4 მუხლის თაობაზე. ზემოთ მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებების დადების დროს მოქმედებდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, სახაზინო საწარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ თავიანთი განცალკევებული ქონებით, ხოლო, თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს საწარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ (სუბსიდიური პასუხისმგებლობა). საგულისხმო იყო ისიც, რომ საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ცნობით, სახაზინო საწარმო "გარდაბანი" ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყო.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ შეაფასება არ მისცა იმ გარემოებასაც, თუ როგორ მოხდა სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ბალანსიდან მთელი ქონების გადასვლა შპს "კონტრაქტ-აგროს" ბალანსზე, როგორ გახდა იგი მისი სამართალმემკვიდრე, ან ჰქონდა თუ არა გარდაბნის ქონების მართვის რაიონულ სამმართველოს უფლებამოსილება, იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება დაედო შპს "კონტრაქტ-აგროსთან", მაშინ, როცა სახაზინო საწარმო გამგეობის (მუნიციპალურ) საკუთრებას წარმოადგენდა. იმავე გამგეობის განმარტებით, ამ საწარმოს ქონება სს "ინტელექტბანკის" საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იყო დაგირავებული. ანალოგიურად, არ იყო გამოკვლეული, თუ როგორ გამოცხადდა აუქციონი სახაზინო

საწარმო "გარდაბანის" ქონებაზე იმავე რაიონის ქონების მართვის სამმართველოს მიერ და შესაბამისად, 1999 წლის 23 მარტის აუქციონში გამარჯვებულ მოქალაქე კ. ჯ-შვილსა და გარდაბნის რაიონის ქონების მართვის სამმართველოს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმება "ყოფილ სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" საკუთრებაზე", ასევე, არსად იყო მსჯელობა იმის თაობაზე, ე.წ. "ყოფილი" სახაზინო საწარმო 1999 წლისათვის რა სახით არსებობდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ლიკვიდაციის საკითხზე "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის დებულებების მოხმობა, კერძოდ, ხსენებული კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (1999 წლის 28 მაისის ცვლილებების გათვალისწინებით) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად, დაევალოთ, 1999 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოთ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შპს-ებად ან სს-ებად გარდაქმნა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, რაც თავისთავად, ამ სახაზინო საწარმოთა კრედიტორების დაკმაყოფილების გარანტია იყო კაპიტალური საწარმოების კაპიტალიდან და რაც გარდაბნის რაიონის გამგეობამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ განახორციელა. ამდენად, 1999 წლის 1 სექტემბრიდან ყველა ის სახაზინო საწარმო, რომელიც არ იქნა გარდაქმნილი (რეორგანიზებული) კანონით დადგენილი წესით, გამოცხადდა ლიკვიდირებულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საოლქო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სახაზინო საწარმო "გარდაბანის" კანონისმიერი ლიკვიდაციის საკითხზე და შესაბამისად, არ დადგენილა არც მისი უფლებამონაცვლე, რომელზეც მისი უფლებამოვალეობები გადავიდოდა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ, მართალია, შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებით იმავე სახაზინო საწარმოს ქონება შპს "კონტრაქტ-აგროს" გადაეცა და იგი მის უფლებამონაცვლედ გამოცხადდა, ხოლო მოგვიანებით - 1999 წელს ხსენებული ყოფილი სახაზინო საწარმო მოქალაქე კ. ჯ-შვილის საკუთრებაში გადავიდა, რომელმაც თავის თავზე აიღო მისი ვალდებულებები, მაგრამ ნიშანდობლივი იყო, რომ სამეწარმეო რეესტრში ცვლილებები შეტანილი არ ყოფილა და სახაზინო საწარმო "გარდაბანი", ფაქტობრივად, იმ დროისთვისაც სახაზინო საწარმოდ იყო რეგისტრირებული და არ მომხდარა მისი რეორგანიზაცია შპს "კონტრაქტ-აგროდ", ან მისი ლიკვიდაცია დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, თუმცა კანონის თანახმად იგი ლიკვიდირებული იყო. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საოლქო სასამართლოს ხელმეორედ უნდა გამოეკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი შეფასება უნდა მიეცა მათთვის.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მარტის განჩინებით სს "ინტელექტბანკის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის 1996 წლის 18 ივლისის წერილი სს "ინტელექტბანკისადმი", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას ქვეყნის სურსათით მომარაგების საქმეში მარცვლეულის, კერძოდ, ხორბლის წარმოების შემდგომ გაზრდას, იღებდა ვალდებულებას, იმავე ბანკის მიერ აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა "გარდაბანისათვის" 500 ჰექტარზე ხორბლის წარმოებისათვის გამოყოფილი სესხის - 194825 ლარის გაუნაღდელობის შემთხვევაში, დაეფარა 1997 წლის დეკემბრისათვის გამოყოფილი სესხი დარიცხული პროცენტების გათვალისწინებით. 1996 წლის 6 აგვისტოს სს "ინტელექტბანკის" დირექტორსა და აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" დირექტორს შორის დადებულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც სს "ინტელექტბანკმა" მსესხებელზე გასცა 197825 ლარის ოდენობით სესხი ერთი წლის ვადით - 1997 წლის 1 აგვისტომდე თვეში 2%-ით. ამ ხელშეკრულების 1.3 მუხლის თანახმად, მსესხებლის მიერ მიღებული სესხი უზრუნველყოფილი იყო მის მიერ გირაოდ დატოვებული ფასეულობებით, ხოლო 1.5 მუხლის მიხედვით, სს "ინტელექტბანკი" სესხის უზრუნველყოფის სახით, იღებდა მატერიალურ ფასეულობას სახაზინო საწარმო - აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" ქონების ძირითადი საშუალებებით. 1997 წლის 15 დეკემბერს სს "ინტელექტბანკსა" და აგროფირმა "გარდაბანის" დირექტორს შორის დადებულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულებები, რომლებითაც სს "ინტელექტბანკმა" აგროფირმა "გარდაბანს" სესხად მისცა 120000 ლარი და 7620 ლარი, შესაბამისად, 10 თვით და 1 თვით, 2%-იანი და 5%-იანი სარგებლით. ხსენებული კრედიტი გაცემულ იქნა ძირითადი საშუალებების გირაოს საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო 2000 წლის 30 ოქტომბრის აქტი, რომლის თანახმადაც, გარდაბნის რაიონის საკრებულოს 2000 წლის 17 აგვისტოს

დადგენილების საფუძველზე, ამავე საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ და წევრმა შეამოწმეს აგროსამრეწველო ფირმა "გარდაბანზე" სს "ინტელექტბანკიდან" გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები. დადგინდა, რომ ფირმა "გარდაბანმა" სესხი და პროცენტები დაფარა: 1997 წლის 6 მარტს - 33000 ლარი, 20 აგვისტოს - 75000 ლარი, 12 სექტემბერს - 50000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა დაფარულ იქნა სს "ინტელექტბანკის" მიერ 1997 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებით გაცემული ახალი სესხით - 127620 ლარით, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ძირითადი საშუალებების გიროთი. 1999 წლის 13 სექტემბერს სს "ინტელექტბანკმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სახაზინო საწარმო - აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" მიმართ თანხის გადახდევინების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მოპასუხემ სს "ინტელექტბანკიდან" 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე აიღო სესხი 120000 და 7620 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ვალი არ გადაიხადა, მოითხოვა 184317 ლარის გადახდევინება. იმავე განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი 1996 წლის 6 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებისა და გარდაბნის რაიონის გამგების შესაბამისი წერილის შესახებ. ხსენებული სარჩელი დაკმაყოფილდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სს "ინტელექტბანკის" მიერ კი მოცემული საქმეზე წარმოდგენილი სარჩელის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, კერძოდ, 2001 წლის 15 ივნისს იქნა წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი იძულებით აღსრულებისათვის და მან სასამართლოს წარმოუდგინა 2001 წლის 16 ივნისის თარიღით შედგენილი ოქმი ფირმა "გარდაბანის" მოძრავი ქონების არარსებობისა და უძრავი ქონების მთლიანად განადგურების შესახებ, რითაც უზულებელყოფილი იყო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საპედაგოგო სასამართლომ აღნიშნა, რომ აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" წესდების 6.6 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელებულიყო სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატებოდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, აღნიშნული გარემოებები კი იმთავითვე იყო ცნობილი სს "ინტელექტბანკისათვის". 1997 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოს უფროსსა და შპს "კონტრაქტ-აგროს" დირექტორს შორის დადებულ იქნა #130 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს "კონტრაქტ-აგრომ" იჯარის უფლებით მიიღო სახაზინო საწარმო - აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის ღირებულება შეადგენდა 121832 აშშ დოლარს. აღნიშნული ქონება 1997 წლის 5 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით ჩაჰბარდა შპს "კონტრაქტ-აგროს" დირექტორ შ. ა-შვილს. იმ მოტივით, რომ მოიჯარე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს და არ იხდიდა გადასახადებს დადგენილ ვადებში, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოს 1998 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით შპს "კონტრაქტ-აგროსთან" დადებული ხელშეკრულება გაუქმდა და ქონება დაუბრუნდა სახელმწიფო ქონების მართვის გარდაბნის სამმართველოს. 1998 წლის 20 ნოემბრის აუდიტორული დასკვნისა და 1998 წლის 26 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, შპს "კონტრაქტ-აგროს" მიერ მიღებულ და დაბრუნებულ ქონებას შორის სხვაობამ შეადგინა 12523 ლარი, რაც გადახდილი უნდა ყოფილიყო შპს "კონტრაქტ-აგროს" მიერ სახელმწიფო ქონების მართვის გარდაბნის სამმართველოს სასარგებლოდ. 1999 წლის 23 მარტს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოსა და კ. ჯ-შვილს შორის დადებულ იქნა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კ. ჯ-შვილს საკუთრებაში გადაეცა ყოფილი სახაზინო საწარმო - აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანი" და იმავე დღეს მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. ამ ხელშეკრულების თანახმად, კ. ჯ-შვილი წარმოადგენდა ყოფილი სახაზინო საწარმო - აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" სამართალმემკვიდრეს და იგი ვალდებული იყო, არსებული წესით დაეფარა ყოფილ სახაზინო საწარმო - აგარაულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანზე" და შემდგომში შპს "კონტრაქტ-აგროზე" აღნიშნული სახაზინო საწარმოდან გადაცემული კრედიტორული დავალიანებები. დასტურდებოდა, რომ კ. ჯ-შვილი იყო შუმან ა-შვილის სიძე და მისთვის იმთავითვე უნდა ყოფილიყო ცნობილი აგროფირმა "გარდაბანის" ვალების შესახებ.

საპედაგოგო სასამართლომ მიუთითა, რომ დადასტურებული იყო, რომ სამეწარმეო რეესტრში სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ლიკვიდაციის რეგისტრაცია მოხდენილი არ იყო, მაგრამ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (1999 წლის 28 მაისის ცვლილებების გათვალისწინებით) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს დაევალოთ, 1999 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყვით მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შპს-ებად ან სს-ებად გარდაქმნა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ამდენად, 1999 წლის 1 სექტემბრიდან ყველა სახაზინო საწარმო, რომელიც

არ იქნა გარდაქმნილი (რეორგანიზებული) კანონით დადგენილი წესით, გამოცხადდა ლიკვიდირებულიად, მაგრამ დადასტურებული იყო, რომ 1999 წლის 1 სექტემბრამდე სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ქონება გაყიდულ იქნა პირზე, რომელმაც იკისრა ვალდებულებები სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ვალეზე. გარდაბანის რაიონის გამგეობის 1996 წლის 18 ივლისის წერილის შინაარსით დასტურდებოდა, რომ იგი იყო ცალმხრივი ნების გამოძახატველი დოკუმენტი, კერძოდ, შეთავაზებული წინადადება, რის შედეგადაც მხარეთა შორის რაიმე მოქმედება ხელშეკრულების დადების შესახებ არ განხორციელებულა და არ ასახულა 1996 წლის 6 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომლის თანახმადაც, სესხის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" ქონება იქნა მიჩნეული და არა ხსენებული წერილი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" წესდების 1.4 მუხლის შესაბამისად, საწარმო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდა მთელი თავისი გამოცალკევებული ქონებით. თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს საწარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები დაკმაყოფილებოდა გამგეობის მიერ, ანუ გამგეობის ქონებრივი პასუხისმგებლობა დგებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს. სს "ინტელექტბანკის" მიერ კი არავითარი ღონისძიება არ გატარებულა სახაზინო საწარმო "გარდაბანიდან" მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. 1997 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებები დადებულ იქნა 10 და ერთი თვის ვადით. ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლის შესაბამისად, გამსესხებელს უფლება ჰქონდა, დაუყოვნებლივ მოეთხოვა ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდებოდა, რითაც საფრთხე შეექმნებოდა სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობდა, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე და 286-ე მუხლების თანახმად, მოძრავი ნივთი, ასევე, უძრავი ნივთი, შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე ყოფილიყო გამოყენებული, რომ კრედიტორს მისცემოდა უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიეღო თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. ამავე კოდექსის 289-ე მუხლი იპოთეკის წარმოშობისთვის ითხოვდა საჯარო რეესტრში მის რეგისტრაციას. სს "ინტელექტბანკის" მიერ აღნიშნული ნორმის მოთხოვნა შესრულებული არ ყოფილა და იპოთეკის რეგისტრაცია არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების ერთობლივი ანალიზიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია, რომ სს "ინტელექტბანკის" მიერ 1996 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულებით სახაზინო საწარმო "გარდაბანზე" გაცემულ იქნა რა სესხი 194825 ლარის ოდენობით, გარდაბანის რაიონის გამგეობის 1996 წლის 18 ივლისის წერილი არ შეიძლება განხილულიყო იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდებობის ხელშეკრულებად, ვინაიდან იგი წარმოადგენდა მხოლოდ წინადადებას, შეთავაზებას, ოფერტს, რასაც შემდგომში უნდა მოჰყოლოდა ხელშეკრულების დადება. ამავე კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულება ითვლებოდა დადებულად, როდესაც მისი ყველა არსებითი პუნქტის თაობაზე მხარეთა შორის მიღწეული იქნებოდა შეთანხმება იმ ფორმით, რაც დაწესებული იყო ამ შემთხვევისათვის. ხსენებული კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება წერილობით უნდა დადებულიყო, მისი დადება შეიძლება, როგორც მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით, ისე, ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილებით, რომლებიც ხელმოწერილი იქნებოდა გამგზავნი მხარეების მიერ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. ამასთან, სს "ინტელექტბანკის" მიერ არ იქნა რა ჩათვლილი აღნიშნული წერილი თავდებობად, სესხის უზრუნველყოფა მოხდა მხოლოდ სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ძირითადი საშუალებების გირავნობის ხელშეკრულებით და არა აღნიშნული წერილით. დასტურდებოდა, რომ 1996 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულებით მიღებული სესხი დაფარულ იქნა სახაზინო საწარმო "გარდაბანის" მიერ გადახდილი თანხებით და 1997 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებებით მიღებული ახალი სესხით. ამ ხელშეკრულებებით აღებული სესხი ასევე უზრუნველყოფილ იქნა სესხის მიმღების ძირითადი საშუალებების გირაოთი. სახაზინო საწარმო "გარდაბანის" წესდების 1.4 მუხლის შესაბამისად, სს "ინტელექტბანკმა" არ მიიღო არავითარი ზომები მოთხოვნის ხსენებული საწარმოს ქონებიდან დასაკმაყოფილებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდაბანის რაიონის გამგეობას არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სს "ინტელექტბანკის" მოთხოვნებზე არც 1996 წლის 18 ივლისის წერილიდან და არც სახაზინო საწარმო "გარდაბანის" წესდების 1.4 მუხლიდან გამომდინარე, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული სარჩელი. პირველი ინსტანციის

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი და საქმის გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო არსებითად სწორი და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მარტის განჩინება საკასაციო წესით იმავე საფუძველებით გაასაჩივრა სს "ინტელექტბანკმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი. აქედან გამომდინარე, ხსენებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

კასატორის განმარტებით, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ სახაზინო საწარმო "გარდაბანს" სს "ინტელექტბანკის" წინაშე გააჩნია დავალიანება 188925 ლარის ოდენობით. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული დავალიანების გადახდა მოვალის მიერ არ მომხდარა. სასამართლომ არ მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, დადგენილია სახაზინო საწარმო "გარდაბანის" დავალიანების არსებობა ამავე ბანკის წინაშე. სწორედ ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დავალიანების გადახდას ითხოვს სს "ინტელექტბანკი" გარდაბნის რაიონის გამგეობისაგან და მიუთითებს აღნიშნული გამგეობის კანონისმიერ პასუხისმგებლობაზე. დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა ვალდებულია, გადაიხადოს ამ ბანკის წინაშე დავალიანება, ვინაიდან სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ქონება აღარ არსებობს.

მოცემული საქმის საკასაციო წესით განხილვისას ამავე საქმეში მესამე პირად მონაწილე კ. ჯ-შვილის წარმომადგენელმა მ. ბ-ანმა საკასაციო სასამართლოს წარმოდგინა მისი მარწმუნებლის - კ. ჯ-შვილის გარდაცვალების მოწმობა, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ კ. ჯ-შვილი გარდაიცვალა 2004 წლის 9 ნოემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სს "ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარზე შეჩერდა წარმოება მესამე პირის - კ. ჯ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2008 წლის 13 მაისს სს "ინტელექტბანკის" ლიკვიდატორმა მ. ტ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ კ. ჯ-შვილის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა მისი მეუღლე - ქ. ა-შვილი. განმცხადებელმა წარმოადგინა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვითაც აწ გარდაცვლილი კ. ჯ-შვილის კანონისმიერი მემკვიდრეა მისი მეუღლე - ქ. ა-შვილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განჩინებებით კ. ჯ-შვილის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ქ. ა-შვილი; სს "ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება და აღნიშნული საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე შეგაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ვინაიდან კასატორს არ წამოუყენებია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილია გარდაბნის რაიონის გამგეობის (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 1996 წლის 18 ივლისის #678 წერილი სს "ინტელექტბანკისადმი", რომელშიც აღნიშნულია, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას ქვეყნის სურსათით მომარაგების საქმეში მარცვლეულის, კერძოდ, ხორბლის წარმოების შემდგომ გაზრდას, იღებდა ვალდებულებას იმავე ბანკის მიერ აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა "გარდაბანისათვის" 500 ჰექტარზე ხორბლის წარმოებისათვის გამოყოფილი სესხის - 194825 ლარის გაუნაღდებლობის შემთხვევაში, დაეფარა 1997 წლის დეკემბრისათვის გამოყოფილი სესხი დარიცხული პროცენტების გათვალისწინებით. 1996 წლის 6 აგვისტოს სს "ინტელექტბანკის" დირექტორსა და აგროსამრეწველო-სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" დირექტორს შორის დადებულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც სს "ინ-

ტელექტბანკმა" მსესხებელზე გასცა 194825 ლარის ოდენობით სესხი ერთი წლის ვადით - 1997 წლის 1 აგვისტომდე თვეში 2%-ით. 1997 წლის 15 დეკემბერს სს "ინტელექტბანკსა" და აგროფირმა "გარდაბანის" დირექტორს შორის დადებულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულებები (2 ხელშეკრულება), რომლებითაც სს "ინტელექტბანკმა" აგროფირმა "გარდაბანს" სესხად მისცა 120000 ლარი და 7620 ლარი, შესაბამისად, 10 თვით და 1 თვით, 2%-იანი და 5%-იანი სარგებლით. 1999 წლის 13 სექტემბერს სს "ინტელექტბანკმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" მიმართ თანხის - 184317 ლარის გადახდევინების შესახებ, იმ მოტივით, რომ მოპასუხემ სს "ინტელექტბანკიდან" 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე აიღო სესხი 120000 და 7620 ლარის ოდენობით, ხოლო მოპასუხემ ვალი არ გადაიხადა. ხსენებული სარჩელი დაკმაყოფილდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით. 1997 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოს უფროსსა და შპს "კონტრაქტ-აგროს" დირექტორს შორის დადებულ იქნა #130 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს "კონტრაქტ-აგრომ" იჯარის უფლებით მიიღო სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის ღირებულება შეადგენდა 121832 აშშ დოლარს. აღნიშნული ქონება 1997 წლის 5 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით ჩაჰბარდა შპს "კონტრაქტ-აგროს" დირექტორს. იმ მოტივით, რომ მოიჯარე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს და არ იხდიდა გადასახადებს დადგენილ ვადებში, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოს 1998 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით შპს "კონტრაქტ-აგროსთან" დადებული ხელშეკრულება გაუქმდა და ქონება დაუბრუნდა სახელმწიფო ქონების მართვის გარდაბნის სამმართველოს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) პასუხისმგებელია სს "ინტელექტბანკის" წინაშე სახაზინო საწარმო "გარდაბანის" მიერ კრედიტის თანხის არდაფარვის გამო წარმოშობილი დავალიანებისათვის. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ, ვინაიდან ცალსახად არის დადგენილი სახაზინო საწარმო "გარდაბანის" დავალიანების არსებობა სს "ინტელექტბანკის" წინაშე, ამიტომ ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული დავალიანების გადახდა უნდა დაეკისროს გარდაბნის რაიონის გამგეობას (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2000 წლის 30 ოქტომბრის აქტის თანახმად, გარდაბნის რაიონის საკრებულოს 2000 წლის 17 აგვისტოს #46 დადგენილების საფუძველზე, ამჟამად საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ და წევრმა შეამოწმეს აგროსამრეწველო ფირმა "გარდაბანზე" სს "ინტელექტბანკიდან" გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და დადგინდა, რომ ფირმა "გარდაბანმა" სესხი და პროცენტები დაფარა 1997 წლის 6 მარტს - 33000 ლარი, 30 აგვისტოს - 75000 ლარი, 12 სექტემბერს - 50000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა დაფარულ იქნა სს "ინტელექტბანკის" მიერ 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებით გაცემული ახალი სესხით - 127620 ლარით. ამდენად, აღნიშნული აქტით დასტურდება აგროსამრეწველო ფირმა "გარდაბანის" მიერ სს "ინტელექტბანკიდან" 1996 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულებით აღებული სესხის - 194825 ლარის დაფარვა, კერძოდ, აგროსამრეწველო ფირმა "გარდაბანმა" აღნიშნული ბანკისადმი დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით, 1997 წლის 15 დეკემბერს კვლავ აიღო ახალი კრედიტი იმავე ბანკიდან ახალი საკრედიტო ხელშეკრულებებით - 120000 და 7620 ლარის ოდენობით და დაფარა სს "ინტელექტბანკისადმი" არსებული ის დავალიანება, რომელიც წარმოშობილი იყო 1996 წლის 6 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულებიდან. რაც შეეხება 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებს, ამ ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავალიანებასთან შეხება არ ჰქონია გარდაბნის რაიონის გამგეობას (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა). გარდაბნის რაიონის გამგეობის (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 1996 წლის 18 ივლისის #678 წერილში სს "ინტელექტბანკისადმი" მითითებულია, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობა (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) სესხის - 194825 ლარის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, 1997 წლის დეკემბრისათვის დაფარავდა გამოყოფილი ხსენებული სესხის თანხას დარიცხული პროცენტების გათვალისწინებით. ხსენებული წერილი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ წინადადებად, რომელსაც არ მოჰყოლია თავდებობის ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით დადება. გარდა ამისა, აღნიშნული წერილი არ შეეხება 1997 წლის 15 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებებს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობის (ამჟამად გარდაბნის მუნიციპა-

ლიტეტის გამგეობა) 1996 წლის 18 ივლისის #678 წერილი არ შეიძლება განხილულ იქნეს იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდებობის ხელშეკრულებად.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წლის 23 მარტს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გარდაბნის სამმართველოსა და კ. ჯ-შვილს (უფლებამონაცვლე - ქ. ა-შვილი) შორის დადებულ იქნა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კ. ჯ-შვილს (უფლებამონაცვლე - ქ. ა-შვილი) საკუთრებაში გადაეცა ყოფილი სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანი" მასზე რიცხული ქონებით და იმავე დღეს მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. ხსენებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, კ. ჯ-შვილი (უფლებამონაცვლე - ქ. ა-შვილი) წარმოადგენდა ყოფილი სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანის" სამართალმემკვიდრეს და იგი ვალდებული იყო, არსებული წესით დაეფარა ყოფილ სახაზინო საწარმო - აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო ფირმა "გარდაბანზე" და შემდგომში შპს "კონტრაქტ-აგროზე" აღნიშნული სახაზინო საწარმოდან გადაცემული კრედიტორული დავალიანებები.

ამდენად, დადგენილია, რომ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის (სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია) პირველი პუნქტის შესაბამისად (1999 წლის 28 მაისის ცვლილებების გათვალისწინებით) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს დაევალით, 1999 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად, უზრუნველყოთ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად ან სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა (სახელმწიფოს ასპროცენტიაწიანი წილობრივი მონაწილეობით), მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, 1999 წლის 1 სექტემბრიდან ყველა სახაზინო საწარმო, რომელიც არ იქნა გარდაქმნილი (რეორგანიზებული) კანონით დადგენილი წესით, გამოცხადდა ლიკვიდირებულად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წლის 1 სექტემბრამდე, კერძოდ, 1999 წლის 23 მარტს სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ქონება გაიყიდა აწ გარდაცვლილ კ. ჯ-შვილზე (უფლებამონაცვლე - ქ. ა-შვილი), რომელმაც იკისრა ვალდებულებები სახაზინო საწარმო "გარდაბანის" ვალეზე, როგორც ხსენებული საწარმოს სამართალმემკვიდრემ, რის გამოც სახაზინო საწარმო "გარდაბანის" დავალიანების ანაზღაურება ვერ დაეკისრება გარდაბნის რაიონის გამგეობას (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის (ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები) პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება და სახეზე არ არის გარდაბნის რაიონის გამგეობის (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ვალდებულება, აუნაზღაუროს სს "ინტელექტანკს" ამავე ბანკის სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი დავალიანება, რის გამოც სს "ინტელექტანკის" სარჩელი გარდაბნის რაიონის გამგეობის (ამჟამად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მიმართ, არის უსაფუძვლო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მართებულად გამოიყენა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, დასაბუთებული და შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს "ინტელექტბანკის" (ლიკვიდატორი - მ. ტ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 მარტის განჩინება;
3. სს "ინტელექტბანკს" დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 4500 ლარის ოდენობით;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგარანტიო წერილი

განჩინება

#ბს-562-540(კ-08) 2 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 15 მარტს მ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. გ-შვილის სარჩელი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, უზრუნველყო მ. გ-შვილის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ამ მიზნით გამოეყო მისთვის 1160 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. იმ პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების ჯანდაცვის სფეროში ფუნქციონირებდა უწყებრივი გადანაწილების გათვალისწინებით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში სათანადო მოპასუხედ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ჩაება. 2003 წლის 4 აპრილს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მოსარჩელის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გაიცა #364/03/V საგარანტიო წერილი 1478,53 ლარზე სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" წარსადგენად, რადგან აღნიშნულმა ცენტრმა სახელმწიფო სტანდარტზე მითითებით, იმ პერიოდისათვის სამედიცინო მომსახურების ღირებულება ასე განსაზღვრა. მოსარჩელემ აღნიშნული საგარანტიო წერილი დაუყოვნებლივ წარადგინა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში". თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის განჩინებით კი დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იმ პერიოდში, ობიექტური მიზეზების გამო, მისთვის ოპერაციის გაკეთება ვერ მოხერხდა. 2004 წლის შემოდგომაზე მოსარჩელემ მიმართა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს", თუმცა სამედიცინო დაწესებულებამ უარი განაცხადა 2003 წელს გაცემული საგარანტიო ფურცლით მომსახურებაზე, იმ მოტივით, რომ ამგვარი დაფინანსება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფუნქციებში აღარ შედიოდა და ოპერაციის ღირებულებაც გაზრდილი იყო. 2005 წლის 10 ივნისს მ. გ-შვილი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, იძულებული გახდა საკუთარი ხარჯებით გაეკეთებინა ოპერაცია.

მოსარჩელის განმარტებით, ის გარემოება, რომ ობიექტური მიზეზების გამო, მისთვის ოპერაციის გაკეთება იმავე წელს ვერ მოხერხდა, არ ნიშნავდა იმას, რომ მოპასუხე საერთოდ გათავისუფლდა აღნიშნული ვალდებულებისაგან. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მოსარჩელის მიერ ოპერაციის

სათვის გაღებული თანხა - 2136 ლარი. აღნიშნული მოთხოვნით მოსარჩელემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს მის სასარგებლოდ ქირურგიული ოპერაციისთვის გაღებული თანხის - 2136 ლარის ანაზღაურება დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 მაისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის სხდომაზე მ. გ-შვილმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და საბოლოოდ მოითხოვა მის მიერ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის გაღებული თანხის - 976 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მ. გ-შვილის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის გაღებული თანხის - 976 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. გ-შვილის სარჩელი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, უზრუნველყო მ. გ-შვილისათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ამ მიზნით გამოეყო მისთვის 1160 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. იმ პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების ჯანდაცვის სფეროში ფუნქციონირებდა უწყებრივი განაწილების გათვალისწინებით, თბილისის საოქმო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 თებერვლის საოქმო განჩინებით, საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. თბილისის საოქმო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა უარი განაცხადა წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე იმ საფუძველზე, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ 2003 წლის 4 აპრილს გაცემული #364/03/V საგარანტიო წერილით (თავდებობა) განხორციელდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ დავალებული ქმედება და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ 2005 წლის 10 ივნისს გაიკეთა ოპერაცია, თუმცა არა ზემოხსენებული საგარანტიო წერილის საფუძველზე, არამედ სამკურნალო დაწესებულებამ მოსარჩელეს ოპერაცია გაუკეთა მის მიერ გადახდილი თანხის - 2176 ლარის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან არსებობდა კანონიერ ძალაში შესული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ. გ-შვილის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის 1160 ლარის გამოყოფის შესახებ, საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ამ მიზნით მოსარჩელისათვის 916 ლარის გამოყოფა, ვინაიდან მოსარჩელემ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ოპერაცია გაიკეთა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილის გაცემიდან 2 წლის შემდეგ - 2005 წლის 10 ივნისს. იმ პერიოდისათვის აღნიშნული თანხის ოპერაციის გასაკეთებლად სამედიცინო მომსახურება ღირდა არა 1160 ლარი, არამედ - 2176 ლარი. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა იმ განსხვავების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა სამედიცინო მომსახურების გაძვირების გამო.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა განსაზღვრავდა მხოლოდ მოთხოვნის მოცულობას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული, მოცემული გადაწყვეტილებისათვის ჰქონდა პრეიუდიციული ძალა, ხოლო კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტები წარმოადგენდა პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებს, რომელთაც დადასტურება არ სჭირდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა მიუთითა, რომ იგი არ იყო სათანადო მოპასუხე - არ

ევალებოდა ქირურგიული ოპერაციების ხარჯების ანაზღაურება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

მ. გ-შვილმა შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც მოცემულ საქმეზე სათანადო მოპასუხის დადგენა და მისთვის ქირურგიული ოპერაციის მთლიანი თანხის - 2136 ლარის მის სასარგებლოდ დაკისრება მოითხოვა და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში იგი უარს იტყოდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მ. გ-შვილის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელი იყო, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდებოდა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორს ან მის უფლებამონაცვლე პირს სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეეტანა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, უზრუნველყო მ. გ-შვილის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ამ მიზნით გამოეყო მისთვის 1160 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა და მის ნაცვლად საქმეში სათანადო მოპასუხედ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ჩაება, რომელმაც სასამართლო სხდომაზე უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე და იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. გ-შვილს სადავოდ არ გაუხდია და კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 თებერვლისა და 2003 წლის 5 მაისის განჩინებები. ამდენად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოპასუხედ დასახელებული - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტის მომენტისათვის აღარ წარმოადგენდა აღნიშნულ დავაში მოპასუხეს და იმ მომენტისათვის სათანადო მოპასუხე იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომელმაც, თავის მხრივ, უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე. ამდენად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახეზე იყო უფლებამონაცვლეობა. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი იყო სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ და კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გადაწყვეტილებით მოვალის - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლე - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შემდეგ - სა-

ქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიმართ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას გააჩნდა პრეიდიუციული ძალა მოცემული გადაწყვეტილებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილით (თავდებობა), სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 2003 წლის პროგრამით უმწეო კატეგორიის მოქალაქეთათვის დამატებითი სამედიცინო დახმარების ორგანიზების მიზნით, მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს" ეთხოვა, მ. გ-შვილისათვის გაეწია სამედიცინო მომსახურება 1478,53 ლარის ფარგლებში, ასევე ეცნობა, რომ სამედიცინო მომსახურების საფასური ანაზღაურდებოდა მკურნალობის ჩატარების შემდეგ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში თანდართული ნიმუშით წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე. ამასთან, აღინიშნა, რომ საგარანტიო წერილი (თავდებობა) წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის ერთჯერადი ხელშეკრულების (შეთანხმებისა და ურთიერთვალდებულების) ფორმას. აღნიშნული საგარანტიო წერილის დაწესებულებაში წარდგენის ვადა კი შეადგენდა 3 კვირას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში აპელანტის მიერ წარდგენილი, სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" 2008 წლის 6 თებერვლის #12/1 წერილით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეცნობა, რომ მ. გ-შვილის განცხადებაში მითითებული საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილი ვერც ფორმალურად და ვერც ფიზიკურად სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" საქმისწარმოების განყოფილების კანცელარიასა და არასამედიცინო სარქივო სექტორში მოძიებული ვერ იქნა, რის თაობაზეც ეცნობა მ. გ-შვილს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. გ-შვილმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში (სამი კვირა - 2003 წლის 25 აპრილის ჩათვლით) შეიტანა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილი (თავდებობა). ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ 2005 წელს შეცვლილი (გადიდებული) ტარიფით მოსარჩელისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა წარმოადგენდა მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგს. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მ. გ-შვილისათვის ქირურგიული ოპერაციისათვის გადებული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, მოკლებული იყო ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექვემდებარებოდა გაუქმებას. იმავე კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო, არ გადაეგზავნა საქმე უკან და თვითონ გადაეწყვიტა იგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება მ. გ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა პრეიდიუციული ძალა, ვინაიდან თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოპასუხედ დასახელებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სააპელაციო წარმოების შეწყვეტის მომენტისათვის აღარ წარმოადგენდა მოპასუხეს, არამედ იმ პერიოდისათვის სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. კასატორის მტკიცებით, მოცემულ შემთხვე-

ვამი სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო დაედგინა, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო ჩაება საქმეში სათანადო მოპასუხედ.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოწმის სახით კლინიკის შესაბამისი თანამშრომლის დაკითხვის მოთხოვნით აღძრული მისი შუამდგომლობა, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ფაქტი, რომელიც მოწმეს უნდა დაედასტურებინა, არ დასტურდებოდა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მას საერთოდ არ წარუდგენია სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 23 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 17 ივლისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 2 ოქტომბერს მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. გ-შვილის სარჩელი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, უზრუნველყო მ. გ-შვილის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ამ მიზნით გამოეყო მისთვის 1160 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ხოლო იმ პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების ჯანდაცვის სფეროში ფუნქციონირებელი გადაწვევის გათვალისწინებით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 თებერვლის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა და ამ სამინისტროს ნაცვლად, საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის განჩინებით კი დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ სხდომაზე აპელანტმა უარი განაცხადა სააპელაციო საჩივარზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელდა მისთვის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დავალბებული ქმედება - 2003 წლის 4 აპრილს გაცემულ იქნა #364/03/V საგარანტიო წერილი (თავდებობა). საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ 2003 წლის 4 აპრილს გაცემულ იქნა #364/03/V საგარანტიო წერილი (თავდებობა) და სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 2003 წლის პროგრამით უმწეო კატეგორიის მოქალაქეთათვის დამატებითი სამედიცინო დახმარების ორგანიზების მიზნით, მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს" ეთხოვა, მ. გ-შვილისათვის გაეწია სამედიცინო მომსახურება 1478,53 ლარის ფარგლებში, ასევე ეცნობა, რომ სამედიცინო მომსახურების საფასური ანაზღაურდებოდა მკურნალობის ჩატარების შემდეგ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სა-

ხელმწიფო ფონდში თანდართული ნიმუშით წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ამასთანავე, აღნიშნა, რომ საგარანტიო წერილი (თავდებობა) წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის ერთჯერადი ხელშეკრულების (შეთანხმებისა და ურთიერთვალდებულების) ფორმას, აღნიშნული საგარანტიო წერილის დაწესებულებაში წარდგენის ვადა კი შეადგენდა 3 კვირას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ქვითრებზე, რომლებითაც მ. გ-შვილმა გარკვეული თანხები გადაიხადა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" მკურნალობისათვის. მ. გ-შვილის 2006 წლის 25 იანვრის განცხადების საპასუხოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 20 თებერვლის #01-11/10/1156 წერილით მ. გ-შვილს ეცნობა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის განჩინების შესაბამისად, მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა 2136 ლარის ანაზღაურების შესახებ, არ დასტურდებოდა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის განჩინებით მ. გ-შვილს განემარტა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო. მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 10 ივნისს გაიკეთა ოპერაცია, თუმცა არა ზემოხსენებული საგარანტიო წერილის, არამედ მის მიერ გადახდილი თანხის - 2176 ლარის საფუძველზე.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოწმის სახით კლინიკის შესაბამისი თანამშრომლის დაკითხვის მოთხოვნით აღძრული მისი შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ მას საერთოდ არ წარუდგენია სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 30 მაისის სხდომაზე მ. გ-შვილმა მიუთითა, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლისაგან სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მიიღო საგარანტიო წერილი და მაშინვე წაიღო იგი კლინიკაში. მ. გ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2007 წლის 23 ივლისს წარადგინა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ ხსენებული წერილი დაუყოვნებლივ წარადგინა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში", მაგრამ ამ ცენტრის კუთვნილ შენობაში იმ პერიოდში მიმდინარეობდა რემონტი, ხოლო კანცელარიის უფროსი იყო ე. თ-ძე, რომელმაც ყველანაირად დააბრკოლა მისი საგარანტიო წერილის მიღება, მ. გ-შვილი კი მეორე დღესვე ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" გადაცემა "პოსტ სკრიპტუმის" გადამღებ ჯგუფთან ერთად მივიდა მითითებულ ცენტრში და ე. თ-ძის თანდასწრებით გადასცა საგარანტიო წერილი კლინიკის დირექტორს. ამდენად, კლინიკის კანცელარიის უფროსი ე. თ-ძე საგარანტიო წერილის კლინიკაში წარდგენის უშუალო მოწმე იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. გ-შვილმა მოითხოვა სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" კანცელარიის უფროსის - ე. თ-ძის საქმეზე მოწმედ დაკითხვა. მ. გ-შვილმა აღნიშნული მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2007 წლის 6 ნოემბერს წარდგენილი განცხადებითაც, ასევე - თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 18 იანვარს წარდგენილ შუამდგომლობაში მიუთითა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საგარანტიო წერილის კლინიკაში წარდგენის ფაქტის დადგენას. სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" დირექტორმა 2008 წლის 6 თებერვლის წერილით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აცნობა, რომ მ. გ-შვილის საგარანტიო წერილი ამავე ცენტრში მოძიებული ვერ იქნა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მ. გ-შვილის არაერთი შუამდგომლობისა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიძახა და არ დაკითხა მოწმის სახით ე. თ-ძე, მაშინ, როდესაც მოცემული დავის მართებულად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენას, რეალურად (3 კვირის ვადაში) წარადგინა თუ არა მ. გ-შვილმა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2003 წლის 4 აპრილის #364/03/V საგარანტიო წერილი სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში".

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვე-

პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მისთვის საქმის დაბრუნების შემდეგ, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მოწმედ დაკითხოს ე. თ-ძე, არსებითად იმსჯელოს, როგორც სააპელაციო საჩივრის, ისე სარჩელის საფუძვლიანობაზე და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, კასატორი ამტკიცებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო დაედგინა, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო ჩაება საქმეში სათანადო მოპასუხედ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ საკითხზეც უნდა იმსჯელოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგარანტიო ხელშეკრულება

განჩინება

#ბს-287-280(კ-08) 15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საგარანტიო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. თ-შვილმა 23.02.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის და მესამე პირის – ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული გამგეობის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის მის მიერ ჩაბარებული ბინის ანალოგიური ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებით მისთვის გადაცემის დაკისრება მოითხოვა ქ. თბილისის იდენტურ რაიონში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 20.08.91წ. ერთი მხრივ, კოოპერატივ "ჰიდრომშენებლის" თავ-მჯდომარე მ. ზ-შვილს, ფირმა "ორბის" პრეზიდენტ თ. ზ-შვილსა და გ. ო-შვილს შორის დაიდო #9 საგარანტიო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეები: კოოპერატივი "ჰიდრომშენებელი" და ფირმა "ორბი" მოქმედებდნენ ქ. თბილისის პრეფექტის 30.05.91წ. #80 ბრძანების საფუძველზე, დამატებით საგარანტიო ხელშეკრულების შედგენის საკითხი შეთანხმებული იყო ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან. აღნიშნული ხელშეკრულებით, გ. ო-შვილმა აიღო ვალდებულება, ჩაებარებინა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, გლდანის VI მიკრორაიონის #14 კორპუსში მდებარე ოროთახიანი ბინა (31,15 კვ.მ.). საგარანტიო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მის მიერ ჩაბარებულ იქნა აღნიშნული ბინა. მიუხედავად მის მიერ ვალდებულების შესრულებისა, ხელშეკრულების მეორე მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და საკუთრების უფლებით არ გადასცა 5-ოთახიანი ბინა განსხვავებულ ფართობზე სათანადო ღირებულების გადახდით.

გ. ო-შვილმა 10.02.06წ. დააზუსტა სარჩელი და მოპასუხისათვის 20.08.91წ. საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დაკისრება - ქ. თბილისის იდენტურ რაიონში საკუთრების უფლებით 5 ოთახიანი ბინის გადაცემა მოითხოვა.

გ. ო-შვილმა 27.03.06. დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც 20.08.91წ. #9 საგარანტიო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოპასუხე ქ. თბილისის მერიისათვის მის სასარგებლოდ, მისი ბინის საბაზრო ღირებულების 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.06წ. გადაწყვეტილებით გ. ო-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 20.08.91წ. #9 საგარანტიო ხელშეკრულება და ქ. თბილისის მერიას გ. ო-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.01.08წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.06წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ თავად ქ. თბილისის მერია სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ პრეფექტის აღნიშნულ საქმეში ჩართვა, იმ დროს არსებული საბინაო კანონმდებლობის თანახმად, იყო აუცილებელი, რადგან ბინის ორდერების გაცემის უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ პრეფექტს. ამდენად, ჩაბარებული ბინის ნაცვლად (ეს ბინა კი გ. ო-შვილმა ადგილობრივ მმართველობას ჩააბარა) ახალი ბინა მოსარჩელეს უნდა მიეღო ქ. თბილისის მერიისაგან და არა უშუალოდ კოოპერატივ "ჰიდრომშენებლისაგან" ან ფირმა "ორბისაგან". ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა აბსოლუტურად ანალოგიურ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას (სუს 31.10.03წ. #ბს-156-329-კ-03 გადაწყვეტილება). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, უსაფუძვლოა ასევე აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ო-შვილის სარჩელი ხანდაზმული იყო, როგორც 1964წ. სამოქალაქო კოდექსით, ასევე სადღესოდ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით კი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა დელიქტურ სარჩელებზე წარმოადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლიც სამწლიან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. აპელანტმა ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა წარმოდგენილი სარჩელის ხანდაზმულობა. 20.08.91წ. საგარანტიო ხელშეკრულებაში და არც ქ. თბილისის პრეფექტის 30.05.91წ. #80 ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რა ვადაში უნდა მისცემოდა გ. ო-შვილს სანაცვლო ბინა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი ირკვეოდა, რომ 25.01.05წ. ქ. თბილისის მერიამ უარი განუცხადა გ. ო-შვილს ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით დაიწყო არა უადრეს 2005 წლის 26

იანვრისა, სარჩელი კი სასამართლოში 23.02.05წ. იქნა აღძრული. ამრიგად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გ. ო-შვილის სარჩელი ხანდაზმული არ იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის მოტივები არ იქნა გაზიარებული და საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.01.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა უსაფუძვლობისა და ხანაზმულობის ვადის გასვლის გამო.

კასატორმა მიუთითა, რომ სს "ჰიდრომშენების" დირექტორი იყო ენერგეტიკისა და ენერგეტიკული ნაგებობის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რომლის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია აღარ ფუნქციონირებს. ქ. თბილისის მერია არ უნდა ჩაითვალოს ლიკვიდირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართალმემკვიდრედ. რაიმე საბუთი იმის თაობაზე, რომ მერიამ მოსარჩელის წინაშე აიღო ვალდებულება, არ არსებობს. პრეფექტის ბრძანებით მხოლოდ დაკმაყოფილდა მშენებლის მოთხოვნა და გამოეყო მიწის ნაკვეთი საბინაო კომპლექსის ასაშენებლად. პრეფექტურას კი ევალებოდა ორდერების გაცემა. სასამართლომ გამოიყენა სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 75-ე მუხლი - სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები, რომლითაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება 3 წლის ვადით. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს. მოსარჩელეს 1991 წლის შემდეგ არ მიუმართავს ადგილობრივი ორგანოსათვის და არ მოუთხოვია ვალდებულების შესრულება. მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წლიდან, როდესაც აუცილებელი იყო კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელახალი რეგისტრაცია, ვინაიდან ზემოაღნიშნულ იურიდიულ პირებს არ გაუვლიათ რეგისტრაცია. ამდენად, მოსარჩელე გ. ო-შვილს გაშვებული აქვს, როგორც 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის, ასევე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.03.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე 18.04.08წ. მოსაზრება წარმოადგინა გ. ო-შვილმა, რომელმაც საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა სასკ-ის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 16.07.08წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.01.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ. თბილისის პრეფექტის 30.05.91წ. #80 ბრძანებით კოოპერატივ "ჰიდრომშენებელსა" და ფირმა "ორბს" საბინაო კომპლექსის ასაშენებლად იმ პირობით გადაეცათ ... ქ. #40/2 და ... ქ. #47-ში მდებარე ხანძრის შედეგად დამწვარი სახლები მიმდინარე ტერიტორიით, რომ უზრუნველყოფდნენ ამ სახლში მცხოვრებთა დაკმაყოფილებას საცხოვრებელი ბინებით. ხსენებული ბრძანების მე-3 პუნქტით, კოოპერატივ "ჰიდრომშენებელს", ფირმა "ორბს" და ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს ნება დაერთოდ დაზარალებული ოჯახების ბინებით დაკმაყოფილების მიზნით გაეცათ საგარანტიო ხელშეკრულებები და არსებული წესის მიხედვით ჩაებარებიათ მოქალაქეთა ბინები. 20.08.91წ. დაიდო #9 საგარანტიო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კოოპერატივმა "ჰიდრომშენებელმა" და ფირმა "ორბმა" იკისრეს ვალდებულება, რომ მოსარჩელე გ. ო-შვილს მისცემდნენ ... ქ. #40-ში მდებარე სახლში ხუთოთახიან ბინას, ხოლო გ. ო-შვილი ვალდებული იყო, ჩაებარებინა მასზე რიცხული ქ. თბილისში, ... VI მ/რ-ში #14 კორპუსში მდებარე #41 ოროთახიანი ბინა, რომელშიც შესახლდებოდა ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქე ფ.

დ-ანი. #9 საგარანტიო ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისის პრეფექტის 30.05.91წ. #80 ბრძანების საფუძველზე, ხელშეკრულებას კოოპერატივ "ჰიდრომშენებლის", ფირმა "ორბის" წარმომადგენლებთან და გ. ო-შვილთან ერთად ხელს აწერს, აგრეთვე, ჩუღურეთის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე, ხელშეკრულების ტექსტი შეთანხმებული იყო აგრეთვე ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან, რის დასტურადაც ხელშეკრულებას ხელს აწერდა საკრებულოს წარმომადგენელი. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, გ. ო-შვილმა იკისრა ვალდებულება, ჩაებარებინა მასზე რიცხული ბინა, საცხოვრებელი 31,15 კვ.მ-ით, თავისი ყველა სათავსოთი, ბინაში უნდა შესახლებულიყო ... ქ. #40-ში მცხოვრები ფ. დ-ანი, აღნიშნულის სანაცვლოდ, სახლის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე, გ. ო-შვილს უნდა მისცემოდა ხუთოთახიანი ბინა. კასატორმა გ. ო-შვილმა შეასრულა #9 საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ჩააბარა მასზე რიცხული, ... VI მ/რ, კორპ. 14, ბინა #41. ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის 17.09.91წ. #385 განკარგულების საფუძველზე, ჩუღურეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მიერ ფ. დ-ანის სახელზე გაიცა #009707 ორდერი ბინაში შესასახლებლად, ხოლო 30.09.93წ. ფ. დ-ანმა მოახდინა ბინის პრივატიზება. ამდენად, გ. ო-შვილის მიერ საცხოვრებელი ბინის ჩაბარებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიეცა შესაძლებლობა შეესრულებინა ხანძრის შედეგად განადგურებული სახლის მობინადრის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების იმჟამად მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება (საბინაო კოდექსის 47-ე მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს გამგეობამ 17.09.91წ. განიხილა კოოპერატივ "ჰიდრომშენებლის" და ფირმა "ორბის" ხელმძღვანელობის მიმართვა საცხოვრებელი ბინების ჩამბარებელ მობინადრეებზე საგარანტიო ხელშეკრულების გაცემის და ჩაბარებულ ბინებში ... ქ. #40-ში ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლიდან მობინადრეთა შესახლების შესახებ. ჩუღურეთის რაიონის პრეფექტურის საბინაო საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის 06.09.91წ. წინადადების საფუძველზე რაიონის საკრებულოს გამგეობის 17.09.91წ. #385 განკარგულებით მოქ. გ. ო-შვილის 6-სულიან ოჯახზე გაიცა ხუთოთახიანი ბინის საგარანტიო, ხოლო მის ბინაში შესახლებულ იქნა მოქ. ფ. დ-ანის სამ სულიანი ოჯახი. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ გარანტიის გაცემისა და გ. ო-შვილის მიერ ბინის ჩაბარების დროისათვის მოქმედი საბინაო კოდექსი არ ითვალისწინებდა ბინიდან მოქალაქეთა გამოსახლებას სხვა ბინის მიუცემლად, გარდა დამქირავებლის მიერ სისტემატურად სადგომის დაზიანებისა, არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა, ფართის თვითნებურად დაკავებისა, ბინის ორდერის ბათილად ცნობისა, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 20.08.91წ. #9 ხელშეკრულების გარანტი კოოპერატივი "ჰიდრომშენებელი" და ფირმა "ორბი" სადღეისოდ არ ფუნქციონირებენ და ვერც მათი უფლებამონაცვლე არის დადგენილი. გარანტიის გაცემის მომენტისათვის, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, გარანტიად მიიჩნევა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის ნაწილის შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მოვალე ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო პასუხს აგებს მისი კრედიტორის ორგანიზაციის წინაშე. იმის გათვალისწინებით, რომ გარანტია გაიცა 30.05.91წ. #80 ბრძანების საფუძველზე, ხოლო "საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ" კანონის თანახმად, თბილისის მმართველობის ორგანოს სადღეისოდ წარმოადგენს მერია, ხოლო გამგეობა მისი ტერიტორიული ორგანოა, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ რომ გ. ო-შვილის მიერ ჩაბარებული ბინის 20 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება უნდა მოხდეს ქ. თბილისის მერიის მიერ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა გ. ო-შვილის მოთხოვნა 20.08.91წ. #9 ხელშეკრულებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ სხვა ბინის გამოყოფის თაობაზე, რადგან #9 საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ... ქ. #40-ში საცხოვრებელი სახლი დღემდე არ აშენებულა და შესაბამისად, არც გ. ო-შვილი დაკმაყოფილებულა ბინით. საქმეზე დადგენილია, რომ გ. ო-შვილმა ბინა ჩააბარა ადგილობრივ მმართველობას და არა კოოპერატივ "ჰიდრომშენებელს" ან ფირმა "ორბს", რის გამოც ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ ბინა უნდა მიეღო ქ. თბილისის მერიისაგან და არა კოოპერატივ "ჰიდრომშენებლისაგან" ან ფირმა "ორბისაგან".

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების დროდ მითითებულია სახლის ექსპლუატაციაში შესვლის დრო. ამასთანავე, სახლი არ აშენებულა და ექსპლუატაციაში არ შესულა. ვალდებულების შესრულების რაიმე სხვა ვადაზე ხელშეკრულებაში დათქმა არ არის. გ. ო-შვილმა 05.11.04წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას, ადმინისტრაციული ორგანოს 26.01.05წ. გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ სხვა ბინის გამოყოფაზე, ხოლო სარჩელით სასამართლოს გ. ო-შვილმა 23.02.05წ. მიმართა. სა-

მოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირი შეიტყობდა ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის თაობაზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ ვალდებულების შესრულებაზე უარი 26.01.05წ. განაცხადა. საგარანტიო ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. იმავე წესს ადგენს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი. საგარანტიო ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ გ. ო-შვილს უნდა გადასცემოდა ბინა სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ამდენად, ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო საცხოვრებელი სახლის აშენებასა და ექსპლუატაციაში შესვლაზე, რომელიც დღემდე აშენებული არ არის. ამდენად, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გაცდენის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.11.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შესრულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-354-341(კ-08)

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ა-შვილმა 2002 წლის 31 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1971 წლიდან 1992 წლის აგვისტომდე ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქ. #4-ში მდებარე ბარაკში, რომელიც ირიცხებოდა ბებუის - თ. კ-ურის სახელზე. 1992 წელს დაქორწინდა. ... ქ. #4-ში მდებარე ბარაკი იყო კეთილმოწყობილი, ამიტომ კოოპერატიული ბინის მშენებლობის აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით 1992 წლის 5 აგვისტოს ამოეწერა ზემოაღნიშნული მისამართიდან და ჩაეწერა ქ. გორში ... გზ. #17/24-ში მდებარე, მეუღლის მშობლების საცხოვრებელ ბინაში. ფაქტობრივად კი ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქ. #4-ში მდებარე ბარაკში.

1997 წლის მაისში გორში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა ... ქუჩაზე მდებარე ბარაკები და საცხოვრებლად ყვარგისი გახადა. ამის გამო, ზ. ა-შვილი იძულებული გახდა საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გორის მერიამ და შემდგომში გორის რაიონის გამგეობამ აღნიშნულ ქუჩაზე ბარაკებში მცხოვრებთ გამოუყო საცხოვრებელი ბინები და აგრეთვე გასცა კომპენსაციები. მას კი უარს ეუბნებოდნენ იმ მოტივით, რომ იგი ჩაწერილი არ იყო ... #4 ბარაკში.

1998 წლის 26 აგვისტოს გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დაბადებიდან 1992 წლის 5 აგვისტომდე ზ. ა-შვილი ჩაწერით ცხოვრობდა გორში, ... #4 ბარაკში, ხოლო 5 აგვისტოდან იქ ცხოვრობდა ჩაწერის გარეშე ფაქტიურად.

მოსარჩელემ რამოდენიმეჯერ მიმართა ადგილობრივ ორგანოებს დახმარებისათვის, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ უსაფუძვლოდ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, მიჯაჭვულია ინვალიდის სავარძელს და მისთვის არ არსებობს "ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, ამიტომ, როგორც დაზარალებული ითხოვს 6500 ამერიკული დოლარის კომენსაციას ბინის შესაძენად.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; გორის რაიონის გამგეობას დაევალა ზ. ა-შვილის სასარგებლოდ 6500 ამერიკული დოლარის ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადახდა სოცხოვრებელი ბინის შესაძენად.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წლის მაისის თვეში გორში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა ... ქუჩაზე მდებარე ბარაკები და საცხოვრებლად უვარგისი გახადა, მათ შორის, #4 ბარაკი, რომელშიც ფაქტობრივად ცხოვრობდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, მოსარჩელე ზ. ა-შვილი. ის ფაქტი, რომ ზ. ა-შვილი ფაქტობრივად ცხოვრობდა აღნიშნულ ბარაკში დასტურდება გორის სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რითაც დადგინდა, რომ დაბადებიდან 1992 წლის 5 აგვისტომდე ზ. ა-შვილი ჩაწერით ცხოვრობდა ქ. გორი, ... #4 ბარაკში, ხოლო 5 აგვისტოდან იქ ცხოვრობდა ჩაწერის გარეშე ფაქტიურად. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 ივნისის #3ბ/607-04 გადაწყვეტილებით ზ. ა-შვილი აღიარებულ იქნა ქ. გორში 1997 წელს სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულ პირად. ასევე დადგენილია, რომ გორის რაიონის გამგეობასთან შექმნილი კომისიის მიერ შედგენილ იქნა წყალდიდობით დაზარალებულ პირთა სია, რომელთა ზარალის ასანაზღაურებლად (ბინების მშენებლობისა, თუ ფულადი კომპენსაციისათვის) საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 ივლისის #349 და 1998 წლის 7 მაისის #198 განკარგულებით ცენტრალური და ადგილობრივი იქნა სხვადასხვა თანხები. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო დადგენილად თვლის, რომ სტიქიის დროს მოსარჩელე ზ. ა-შვილი ფაქტობრივად ცხოვრობდა ქ. გორში, ... #4 ბარაკში და მისთვის ადგილობრივ ორგანოებს არანაირი დახმარება არ გაუწევიათ.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებს მოპასუხე მხარის განმარტებას, რომ მოსარჩელის ოჯახი დაკმაყოფილებული იქნა საცხოვრებელი ფართით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის საოქმო განჩინებით გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას. საწინააღმდეგო შინაარსის არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ძირითადი არგუმენტი, თითქოს ა-შვილი არ ცხოვრობდა ... ქუჩაზე მდებარე #4 ბარაკში, იურიდიულ მნიშვნელობას მოკლებულია, რადგან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადასტურებულად არის მიჩნეული, როგორც დასახელებულ ბინაში მოსარჩელის ცხოვრების ფაქტი, ასევე მისი, როგორც სტიქიით დაზარალებულის სტატუსი. ორივე მათგანი კი საკმარისი საფუძველია მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. კასატორმა განმარტა, რომ 1997 წლის მაისში გორში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა და საცხოვრებლად უვარგისი გახადა ... ქუჩაზე მდებარე

ბარაკები, მათ შორის, #4 ბარაკი, რომელშიც გაქტობრივად (ჩაუწერავად) ცხოვრობდა პირველი ჯგუფის ინვალიდი ზ. ა-შვილი, რომლის ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი დადასტურებულია გორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. ასევე, გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია ის ფაქტი, რომ ზ. ა-შვილი 1992 წლის 5 აგვისტომდე ჩაწერით ცხოვრობდა ქალაქ გორში, ... ბარაკ #4-ში, ხოლო 1992 წლის 5 აგვისტოდან ჩაუწერავად. ამდენად დასტურდება რომ ზ. ა-შვილი ოჯახში სარგებლობდა იმ უფლებით, რომელიც ოჯახში ჩაწერილი წევრისა და პირის მიმართ ვრცელდებოდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ 1998 წლის 25 თებერვალს გორის მერიის კოლეგიის #39/2 დადგენილებით 1997 წლის წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ და დაზიანებულ ოჯახებს, კერძოდ ... #4 ბარაკში მცხოვრებ ოჯახს ჭალის დასახლებაში გორის რაიონის საგზაო სამმართველოს საუწყებო სახლიდან გამოეყო ოროთახიანი ბინა, რომელშიც ცხოვრობენ მოპასუხის დედა, მამინაცვალი და ორი ძმა. ამდენად, ქ. გორის მერიის მიერ აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოქალაქეებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება შესრულებულია და აქედან გამომდინარე, კასატორს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება არაკანონიერად მიაჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ა-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება; გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 3250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი გარემოებების გამო:

დადგენილია, რომ ზ. ა-შვილი 1971 წლიდან 1992 წლის აგვისტომდე ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქ. #4-ში მდებარე ბარაკში, რომელიც ირიცხებოდა ბებიის - თ. კ-ურის სახელზე. იგი 1992 წელს დაქორწინდა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით 1992 წლის 5 აგვისტოს ამოეწერა ზემოაღნიშნული მისამართიდან და ჩაეწერა ქ. გორში, ... #17/24-ში მდებარე მეუღლის მშობლების საცხოვრებელ ბინაში; ფაქტიურად კი ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქ. #4-ში მდებარე ბარაკში. ზ. ა-შვილი ფაქტიურად რომ ცხოვრობდა აღნიშნულ ბარაკში დასტურდება გორის სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რითაც დადგინდა, რომ დაბადებიდან 1992 წლის 5 აგვისტომდე ზ. ა-შვილი ჩაწერით ცხოვრობდა ქ. გორში, ... #4 ბარაკში, ხოლო 5 აგვისტოდან იქ ცხოვრობდა ჩაწერის გარეშე ფაქტიურად. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის #38/607-04 გადაწყვეტილებით ზ. ა-შვილი აღიარებული იქნა ქ. გორში 1997 წელს სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულ პირად. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ გორის რაიონის გამგეობასთან შექმნილი კომისიის მიერ შედგენილ იქნა წყალდიდობით დაზარალებულ პირთა სია, რომელთა ზარალის ასანაზღაურებლად (ბინების მშენებლობისა, თუ ფულადი კომპენსაციისათვის) საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 ივლისის #349 და 1998 წლის 7 მაისის #198 განკარგულებით ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა სხვადასხვა თანხები. საკასაციო პალატა თვლის, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა დადგენილად, რომ სტიქიის დროს, 1997 წელს მოსარჩელე ზ. ა-შვილი ფაქტობრივად ცხოვრობდა ქ. გორში, ... #4 ბარაკში და მისთვის ადგილობრივ ორგანოებს არანაირი დახმარება არ გაუწევიათ.

საქმეში მოცემულია გორის მერიის კოლეგიის 1998 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება #39, რომლის თანახმად, ქ. გორში, ... ბარაკი #4, გ. ქ-ძის სამსულიან ოჯახს გამოეყო ორ ოთახიანი ბინა. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ გიორგი ქენქაძე დაზიანებულ ბარაკში ცხოვრობდა 5 სული; თვითონ, მეუღლე და სამი შვილი, მაგრამ ბინის გამოყოფა მხოლოდ სამი სულის გათვალისწინებით მოხდა და ამ გადაწყვეტილებით ზ. ა-შვილს ბინა არ მიუღია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია საკასაციო საჩივრის მოსარჩეობა იმის შესახებ, რომ გორის მერიამ ზ. ა-შვილს ოჯახთან ერთად გამოეყო ოროთახიანი ბინა და მის მიმართ ქ. გორის მერიამ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება შეასრულა.

საქმეში მოცემულია გორის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების განგის 1998 წლის 4 დეკემბრის #151 წერილი გორის მერის პირველი მოადგილის მიმართ, რომელშიც

მითითებულია, რომ ზ. ა-შვილს განემარტა, ქ. გორში ბინათმშენებლობის განახლების შემდეგ . . . ბარაკების ლიკვიდაციისას განიხილება მისი ოჯახის ბინით დაკმაყოფილების საკითხი, ასეთივე შინაარსის წერილები წარმოდგენილია საქმეში, რომლითაც გორის რაიონის გამგეობის თანამშრომლები 2000-2001 წლებში ზ. ა-შვილს განუმარტავენ, ბინათმშენებლობის განახლების შემდეგ, ან რაიმე საცხოვრებელი ფართის გამოჩენის შემთხვევაში განიხილავდნენ მისი ოჯახის ბინით დაკმაყოფილების საკითხს საბინაო კანონმდებლობის სრული დაცვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხემ იკისრა ზ. ა-შვილისათვის სა-ნაცვლო ბინის გამოყოფის ვალდებულება და როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ეს ვალდებულება არ არის შესრულებული, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხე მოვალეა ზ. ა-შვილა გადაუხადოს დაზიანებული #4 ბარაკის სანაცვლოდ ბინის შესაძენად ფულადი თანხა. მაგრამ საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ზ. ა-შვილის სასარგებლოდ საცხოვრებელი ბინის შესაძენად 6500 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდის დაკისრება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით მხოლოდ ზ. ა-შვილი იქნა აღიარებული ქ. გორში, 1997 წლის სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულად; ასევე, გორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ ზ. ა-შვილი ცხოვრობდა ქ. გორში, . . . ქუჩაზე მდებარე #4 ბარაკში; ამდენად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით მხოლოდ ზ. ა-შვილი ცნობილ იქნა სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულად და არა ოჯახთან ერთად. საქმეში წარმოდგენილი, ინდივიდუალური აუდიტორის ცნობის თანახმად ქ. გორში, . . . გზატკეცილზე, გარემონტებული ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინის საშუალო საბაზრო ფასია 5500-6000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, ხოლო ერთოთახიანი ბინის ფასი შეადგენს 2800-3000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ვინაიდან ზ. ა-შვილს, როგორც ერთ სულს ერთოთახიანი ბინა უნდა გადასცემოდა, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ზ. ა-შვილის სასარგებლოდ 3250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ზ. ა-შვილის სარჩელი;
3. დაეკისროს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ა-შვილის სასარგებლოდ 3250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.
4. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღიარებული ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების გადაცემა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ქმედებების განხორციელების დავალება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 23 დეკემბერს ე. წ-ურმა და ნ. ხ-შვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ქ. თბილისის მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიმართ, მესამე პირებად კი მიუთითეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურზე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების წინაშე იკისრა ვალდებულება, რომ მშენებლობის ღირებულების გამძვირებით გამოწვეულ ფასთა სხვაობას ანაზღაურებდა რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე, ასევე დაუმთავრებელი კოოპერატიული სახლების მშენებლობას დაასრულებდა 1993-1995 წლებში. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებმა უმოკლეს ვადაში დაფარეს საკუთარი ბინების მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. საქართველოს მთავრობის მიერ 1995 წლამდე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფომ აღნიშნული ვალდებულება "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალად აღიარა.

მოსარჩელებმა სარჩელში მიუთითეს, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონის 48-ე მუხლის "ზ" პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულებით, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, დამტკიცდა საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა. მოგვიანებით, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კოოპერატივის წევრებზე ერთჯერადი კომპენსაციის თანხების გაცემის სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა მათზე სახელმწიფო და ადგილობრივი დაქვემდებარების საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (უმრავ-მომრავი ქონება, სახელმწიფო წილი, აქციები, შენობა-ნაგებობები, დაუმთავრებელი კარკასები და სხვა) გაცემა, კერძოდ, მითითებული კანონის მე-12 მუხლში აღინიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, 2001-2005 წლების ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდა წარედგინა წინადადებები კოოპერატივის წევრებისთვის გარკვეული საპრივატიზაციო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. ანალოგიური ცვლილებები განხორციელდა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონშიც, რომლის შესაბამისად, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, 2001-2005 წლების ჩათვლით ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალებათ საქართველოს პრეზიდენტისათვის კოოპერატივების წევრებისათვის საპრივატიზაციო ქონების (მიწის ფართობი) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ წინადადებების მომზადება და წარდგენა, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულომ 2001 წლის 12 დეკემბერს #10-6 გადაწყვეტილებით დაამტკიცა დაუმთავრებელი კოოპერატიული მშენებლობის წევრებზე საკომპენსაციო თანხების მიღების ნაცვლად სახელმწიფო ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი, რომლის შესაბამისად, დეტალურად იქნა განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის, ქ. თბილისის მერიის მიერ შესასრულებე-

ლი მოქმედებები. "2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონითა და ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს დაევალით, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის სახელმწიფო ვალის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ქონებისა და მიწის ნაკვეთების გადაცემა.

მოსარჩელეთა მტკიცებით, 2003 წლის 5 ივნისს მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა #08.38.185 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, დამტკიცდა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხა, დანართის შესაბამისად. განისაზღვრა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე გასანაწილებელი მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს დაევალი მიწის ფართობების საზღვრებისა და მოცულობების დადგენა. ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების (მიწის ნაკვეთების) გადაცემის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა წინადადებებს გადასაცემი საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწა) ადგილმდებარეობის, საერთო ფართისა და მისი ღირებულების, სახელმწიფო ქონების (მიწა) მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ არსებული სახელმწიფო საბინაო ვალის (საკომპენსაციო თანხის) ოდენობის შესახებ, ასევე, საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწა) მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის რეკვიზიტებს, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტი საკითხს წყვეტდა საკუთარი მიხედვლებისამებრ, კანონით დადგენილი წესით.

მოსარჩელეთა განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტს არ წარუდგინა შესაბამისი წინადადებები მოსარჩელეთათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგვის საკითხის გადასაწყვეტად.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციამ არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის მერიასა და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილებისა და ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 30 ივნისის #624 განკარგულების შესრულების მიზნით.

მოსარჩელეებმა განმარტეს, რომ ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც ევალებოდა ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის შემუშავება. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის უმოქმედობა. ამ მოპასუხეს კანონმდებლობით ეკისრებოდა მოქმედების განხორციელების ვალდებულება. ქ. თბილისის მთავრობის მიერ მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ზღუდავდა მოსარჩელეთა უფლებას და აყენებდა მათ ზიანს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოსარჩელეები ვერ იღებდნენ კუთვნილი საკომპენსაციო თანხის შესაბამის ქონებას. ამდენად, ქ. თბილისში, ... მასივში, მე-7 კვარტალში, ყოფილი მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის წესით მიღება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა - ე. წ-ურმა, რომელიც წარმოადგენდა #627 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს და ნ. ხ-შვილმა, რომელიც იყო #624 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, მოითხოვეს: საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას დავალებოდა, მიწის ფართობების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად, ქ. თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა; ქ. თბილისის მთავრობისათვის მოსარჩელეებზე მიწის ფართობების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად წინადადებების მომზადების დავალება; საქართველოს პრეზიდენტისათვის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დავალება კანონით დადგენილ ფარგლებში და ქ. თბილისის მთავრობის მიერ მომზადებული და წარდგენილი აქტის საფუძველზე, სარჩელში მითითებული მიწის ნაკვეთების მოსარჩელეებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 თებერვლის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი ნაწილობრივ, კერ-

მოდ, მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების შესახებ, დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

2006 წლის 18 აპრილს მოსარჩელებმა ნ. ხ-შვილმა და ე. წ-ურმა კიდევ ერთი სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდების შესახებ. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილებით ქ. თბილისის მთავრობის მიერ არარა აქტად იქნა აღიარებული მის მიერვე 2003 წლის 5 ივნისს მიღებული #08.38.185 დადგენილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 ივლისის საოქმო განჩინებით მოსარჩელების - ე. წ-ურისა და ნ. ხ-შვილის გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. წ-ურისა და ნ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილება "კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების არარა აქტად აღიარების თაობაზე; მოპასუხეებს - ქ. თბილისის მთავრობასა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას დაევალათ კანონმდებლობით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელება - ქ. თბილისში, ... მასივში, მე-7 კვარტალში, ყოფილი მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეესტრაციისა და შემდგომ მათი პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებისათვის გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტთან გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის მიზნით.

საქალაქო სასამართლომ სარჩელი ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე, მიიჩნია დასაბუთებულად და განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება მიღებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოებისათვის გათვალისწინებული ნორმების უგულებელყოფით, ამასთან, არ არსებობდა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების არარა აქტად გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სადავო აქტი წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო აქტს და უშუალო და პირდაპირ ზიანს აყენებდა მოსარჩელეთა კანონიერ ინტერესებს. საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტის მიღებისას (გამოცემისას) ქ. თბილისის მთავრობის მიერ არ ჩატარებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, რაც მითითებული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს სავალდებულოდ შესასრულებელ საქმიანობას წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როცა ზემოხსენებული აქტის არარა აქტად გამოცხადება განხორციელდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მისი მომზადებისა და მიღებისას დაცული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღებისთვის დადგენილი ნებისმიერი წესი და პირობა, მათ შორის, ადმინისტრაციული წარმოების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება) ჩატარების კუთხით.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით და ამ პირთა თანხმობისას სწორედ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები იყვნენ ვალდებული, 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტისთვის წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად ჩაითვლებოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი იყვნენ, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისას გაეთვალისწინებინათ მათსავე ტერიტორიაზე კოოპერატიული ბინათმშენებლობების დაუმთავრებლობით გამოწვეული დავალიანების დასაფარად საჭირო სახსრები და განხორციელებინათ შესაბამისი ღონისძიებები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით ზემოაღნიშნული საკითხის რეგულირებისას, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების პარალელურად, დადგენილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა იურისდიქციის ფარგლები და მათ კანონით დადგენილი წესით მიეცათ შესაბამისი მოქმედებების განხორციელების უფლება, მათ შორის, კოოპერატიული ბინათმშენებლობების დაუმთავრებლობისა და "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესის დადგენის და ამ წესის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირებისათვის გადასაცემი სახელმწიფო ქონების (მიწის) ნუსხის დამტკიცების უფლება. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ აღნიშნულის შესაბამისად და შესასრულებლად, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2001 წლის 12 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული მიზნებისათვის შესაბამისი წესის დადგენის შესახებ, ხოლო ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცდა კანონით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი ქონების (მიწის) ნუსხა.

საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული აქტის მიღება წარმოადგენდა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებას, რაც, თავის მხრივ, არ გულისხმობდა მიწის რაიმე ფორმით, მათ შორის, პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვას, ვინაიდან იგი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება იყო. ქ. თბილისის მთავრობამ მხოლოდ განსაზღვრა ასეთი უფლებამოსილების წინაპირობა და დამტკიცა ზემოაღნიშნულ პირთათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხა, მათი რაიონების მიხედვით ადგილმდებარეობა, რის უფლებამოსილებასაც მას ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები ცალსახად განუსაზღვრავდა. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 პუნქტის მოთხოვნა პირდაპირი მიყიდვის წესით გადასაცემი ობიექტების ნუსხის საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დამტკიცების შესახებ, ეხებოდა არა ყოველგვარ, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვასა და განკარგვას, არამედ მხოლოდ საპრივატიზებო სახელმწიფო ქონებას, ასეთს კი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზეც განთავსებული იყო სახელმწიფო ქონება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში, არარა აქტად ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილება არ ითვალისწინებდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამით, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ნორმატიული აქტებით, დადგენილ იქნა სადავო საკითხის რეგულირების წესი, პირობები და ის ფარგლები, რა ფარგლებშიც, როგორც მმართველობის უმაღლეს, ისე ადგილობრივ ორგანოებს დაევალებათ მოქმედება, მათ შორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, რაც ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული აქტის გამოცემისას განხორციელებულ იქნა სრულიად კანონიერად, მისთვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 აქტის არარა აქტად გამოცხადების სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის, ასევე იმის გამო, რომ სადავო აქტი მიღებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ნორმების უგულვებელყოფით, სარჩელი ამ სადავო აქტის ბათილად ცნობის ნაწილში დასაბუთებული იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, რის გამოც ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი მისი გამოქვეყნებიდან, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი დასაბუთებული იყო ასევე ქ. თბილისის მთავრობისათვის მოქმედების განხორციელების დავალების ნაწილშიც, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო ქ. თბილისის მთავრობის მიერ ქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება (რეალაქტი) იყო ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართული

იყო არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისკენ.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობის შესაბამისი სხდომის ოქმის ამონაწერზე დართული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა სიისა და მოსარჩელეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობების შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია მოსარჩელების - ე. წ-ურისა და ნ. ხ-შვილის უფლებების არსებობა კოოპერატიული ბინათმშენებლობების დაუმთავრებლობით გამოწვეული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის თაობაზე, რამდენადაც მითითებული დოკუმენტებით დადასტურებული იყო მოსარჩელეთა კოოპერატივის წევრობა და მათ მიმართ სახელმწიფოს ზემოაღნიშნული ვალდებულება, ასევე მათ მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით განსაზღვრული შემხვედრი ვალდებულების შესრულება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი თანხის დაფარვის თაობაზე, საიდანაც მათ სახელმწიფოსაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წამოეშვათ. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ კოოპერატივის წევრებისათვის ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ზემოაღნიშნული თანხები აღიარებულ იქნა სახელმწიფო ვალად, რაც მოგვიანებით, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ტრანსფორმირებულ იქნა სახელმწიფოს ახალ ვალდებულებად, თანხის ნაცვლად, საპრივატიზებო ქონების (მიწის) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე, კერძოდ, მითითებული კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ იქნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობების დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად. ამდენად, მითითებულ ნორმატიულ აქტში ცალსახად განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ გამოხატული ნება, შესაბამის პირთა წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხის ნაცვლად, სახელმწიფო ვალის ამგვარი სახით გასტუმრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ იქნა მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი, რომლის მე-13 მუხლის შესაბამისად, დადგინდა ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებათა ფარგლები, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობას დაევალა საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენი წინადადებების მომზადება და მისთვის წარდგენა, რაშიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია გადასაცემი საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის) ადგილმდებარეობის, საერთო ფართის და მისი ღირებულების, ასევე, საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის) მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის რეკვიზიტებისა და საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის) მიმღები პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალის (საკომპენსაციო თანხის) ოდენობის შესახებ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2003 წლის 5 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის მიერ შესრულებული არ იქნა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადასაცემი ქონების (მიწის) ნუსხის დამტკიცება განსახორციელებელი მოქმედების (რეალაქტის) მხოლოდ პირველ ეტაპს წარმოადგენდა, რასაც საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებების წარდგენა უნდა მოჰყოლოდა. ამდენად, იმ პირობებში, როცა რეალაქტი ფაქტობრივად შედეგების დადგომისკენ მიმართული საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება იყო, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთათვის სახელმწიფო ქონების (მიწის) გადაცემა წარმოადგენდა, მისმა განუხორციელებლობამ მოსარჩელეთა სუბიექტური უფლებების დარღვევა გამოიწვია, ვინაიდან ასეთი შედეგი არ დადგა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო მოქმედების (რეალაქტის) განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების ერთობლიობა: საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისი განხორციელების კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალება, მითითებული ორგანოს მიერ ასეთის განუხორციელებლობა მისთვის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად და მითითებულის განუხორციელებლობით მოსარჩელეთა კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, რის გამოც სა-

ქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი ქმედების განხორციელების დავალე-ბის თაობაზე, უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემ-ბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იან-ვრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გაკეთებული დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ქ. თბილი-სის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილება მიღებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით და არ არსებობდა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების არარა აქტად გამოცხადების სამარ-თლებრივი საფუძველი. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მი-თითება იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-მოცემისას არ ყოფილა ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება. ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების სამართლებრივი საფუძველი იყო "სახელმწიფო სა-კუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შე-სახებ" საქართველოს კანონი და ამ კანონში შესული ცვლილებები და დამატებანი. აღნიშნული სა-კანონმდებლო აქტით კი კონკრეტულად განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღ-ლეს ორგანოთა, ისე ქ. თბილისის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგა-ნოთა უფლებამოსილებანი სადავო საკითხის რეგულირების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მიეცათ დავალემა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძლო-ლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წე-სით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაით-ვლებოდა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქარ-თველოს კანონის შესაბამისად, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება აღიარებულ იქნა სახელმწიფო საშინაო ვალად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დე-კემბრის #10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცდა "კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებ-ლობისა და "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძლოლების ბინებით დაუკმაყოფილებლო-ბით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით მიწის ნაკვეთების პირდა-პირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი". აღნიშნული წესის თანახმად, ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა წინადადებებს, რომლებშიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, ასახული უნდა ყოფილიყო მონაცემები გადასაცემი საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის) ადგილმდებარეობის, საერთო ფართისა და მისი ღირებულების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იან-ვრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასა-ჩივრებული განჩინების გაუქმება და მოქმედებების განხორციელების მისთვის დავალემაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ განჩინებაში საერთოდ არ არის გამოყენებული მატერი-ალური სამართლის ნორმები, რომლებსაც გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს. სააპელაციო სასა-მართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 389-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს. სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი დად-გენილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწი-ლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, არარა აქტად იქნა აღიარებული ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, სათანადო საფუძვლის არსებობისას, საკუთარი ან და-ინტერესებული მხარის მოთხოვნით, არარად აღიაროს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ძველი აქტის არარა აქტად აღიარებისთვის არ არის აუცილებელი კანონით

დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით. ქ. თბილისის მთავრობის მხრიდან სახეზე არ ყოფილა კანონის მოთხოვნათა დარღვევა. კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საფუძველი. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად, სწორედ აღნიშნული სამინისტრო ამტკიცებდა დაუმთავრებელი კოოპერატივის წევრებზე სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემი ობიექტების ნუსხას. ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ფართობების ნუსხა. ქ. თბილისის მთავრობას არ ჰქონდა იმ ქონების განკარგვის უფლება, რომელზეც არ არსებობდა სახელმწიფოს საკუთრება.

კასატორი განმარტავს, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს "კახეთის" სარჩელი ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, მესამე პირი - საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების - ქ. თბილისში, მე-3 მასივში, მე-7 კვარტალში, მე-14 კორპუსის ადგილზე არსებული მიწის ნაკვეთის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადაცემის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "კახეთმა". საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და კონკრეტულად ის ნაწილი, რომლითაც ქ. თბილისის მთავრობას დაევალა გარკვეული მოქმედებების განხორციელება, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 6 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 24 აპრილამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 5 ივნისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით 2008 წლის 10 ივლისს, 12.30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის სხდომაზე დადგინდა ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის განხილვა ამავე დღეს, ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმეში წარმოდგენილი საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებე-

ბის დაცვის ასოციაციის გამგეობის სხდომის #12 ოქმში მითითებული არიან ე. წ-ური და ნ. ხ- შვილი, აღნიშნული ოქმით კი დამტკიცდა ქ. თბილისში, . . . , მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებაში მონაწილე წევრთა სია. მოსარჩელეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობების შესაბამისად, დადგენილია მოსარჩელეთა უფლებები კოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით გამოწვეული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის თაობაზე, დასტურდება მოსარჩელეთა საბინაო-სამშენებლო კოპერატივების წევრობა და მათ მიმართ სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულება, ასევე მათ მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით განსაზღვრული შემხვედრი ვალდებულების შესრულება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი თანხის დაფარვის თაობაზე, საიდანაც მათ სახელმწიფოსაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ.

საკასაციო სასამართლო ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარებისთვის არ არის აუცილებელი კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, რადგან ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით, ქ. თბილისის მთავრობის მხრიდან კი სახეზე არ ყოფილა კანონის მოთხოვნათა დარღვევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება მოახდინოს მხოლოდ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს, ანუ მასზე აუცილებლად უნდა ჩატარდეს ადმინისტრაციული წარმოება, რადგან ამ ახალი აქტების მიმართ განსხვავებულ მოწესრიგებას ხსენებული კოდექსი არ ადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილება მიღებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით და არ არსებობდა ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების არარა აქტად გამოცხადების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ ყოფილა ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილებაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის თხოვნა და დამტკიცდა ქ. თბილისში კოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო საბინაო ვალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით იმავე ასოციაციისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ნუსხა, ხოლო ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს დაევალა უზრუნველყო დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად მიწის ფართობების საზღვრებისა და მოცულობების დადგენა და მათი საჯარო რეესტრში შეტანა, როგორც სახელმწიფო საკუთრებისა. ამავე დადგენილებით საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულების შესრულების მიზნით, ქ. თბილისის პრემიერის 2000 წლის 25 მაისის #295 განკარგულებით შექმნილ კომისიას საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებების დროულად წარდგენის მიზნით, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პირობების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყო საბინაო კოპერატივის თითოეულ წევრზე გადასაცემი მიწის ფართობების სრული პაკეტის მომზადება (გასაცემი მიწის

ცალკეული ნაკვეთების ფართები, საბაზრო ღირებულება, კოოპერატივის წევრთა რეკვიზიტები, მათ მიმართ სახელმწიფო ვალის მოცულობა და სხვა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონით აღნიშნული კანონის მე-12 მუხლს დაემატა მე-4 და მე-5 პუნქტები, რომელთა თანახმად, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინა წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (წილის, აქციების, შენობა-ნაგებობების და სხვა) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი.

ზემოაღნიშნული დამატებების პარალელურად, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონით, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლს დაემატა მე-6 და მე-7 პუნქტები, რომელთა თანახმად, საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას, ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული მიწის ფართობების ღირებულებად. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი.

ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილებით დამტკიცდა "კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის წესი". აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, ზემოხსენებული ვალდებულებები ადებული იყო სახელმწიფო შიდა ვალში, ხოლო იმავე გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პირდაპირი განკარგვის ფორმით გაცემა და აღნიშნული წესის გავრცელება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებზე. დასახელებული წესის მე-4 მუხლში პირდაპირ მიეთითა, რომ ქ. თბილისის მთავრობა ამტკიცებდა შესაბამისი მიწის ნაკვეთების ნუსხას, ხოლო იმავე წესის მე-13 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების (მიწის) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად, ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა წინადადებებს, რომელშიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, ასახული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია გადასაცემი საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (მიწის) ადგილმდებარეობის, საერთო ფართისა და მისი ღირებულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების სამართლებრივ საფუძვლად, სხვა აქტებთან ერთად, მიეთითა სწორედ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონსა და ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 12 დეკემბრის #10-6 გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ზემოთ მოხსენიებული ნორმატიული აქტების შეჯერებით განმარტავს, რომ საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადებების წარდგენისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთების მოძიების უფლებამოსილება ცალსახად მიენიჭა ქ. თბილისის მთავრობას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობამ 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილება გამოსცა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რის გამოც მას არ გააჩნდა ხსენებული დადგენილების არარა აქტად აღიარების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც არ არსებობს ამ ნაწილში მისი გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას ქ. თბილისის მთავრობისა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის ქ. თბილისში, . . . , ყოფილი მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეგისტრაციისა და შემდგომ მათი პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებისათვის გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტთან გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის დავალების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამავე ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს "კახეთის" სარჩელი ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, მესამე პირი - საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების - ქ. თბილისში, . . . მასივში, მე-7 კვარტალში, მე-14 კორპუსის ადგილზე არსებული მიწის ნაკვეთის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადაცემის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "კახეთმა". ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგე მხარის - ე. წ-ურისა და ნ. ხ-შვილის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 მარტის საოქმო განჩინებით სს "კახეთის" სააპელაციო საჩივრის გამო საქმის წარმოება შეჩერდა იმავე პალატის წარმოებაში არსებულ სხვა ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კერძოდ, შეჩერების საფუძველად მიეთითა ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების გასაჩივრებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ საქმეზე სს "კახეთის" სარჩელის საგანია ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების ბათილად ცნობა, რომელიც მოცემულ საქმეზე სადავო აქტით - ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილებით არარა აქტად იქნა აღიარებული, ამასთან, სს "კახეთი" მოითხოვს ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.38.185 დადგენილების სწორედ იმ ნაწილში ბათილად ცნობას, რომლითაც დამტკიცდა მოცემულ საქმეზე მოსარჩელების - ე. წ-ურისა და ნ. ხ-შვილის მიერ მოთხოვნილი, ქ. თბილისში, . . . მასივში, მე-7 კვარტალში, მე-14 კორპუსის ადგილზე არსებული მიწის ნაკვეთის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის გადაცემა. ამდენად, სს "კახეთისა" და ამ საქმეზე მოსარჩელეთა შესაბამისი სამოქალაქო უფლებების განხორციელება ერთმანეთს გამორიცხავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს "კახეთის" სააპელაციო საჩივრის გამო ადმინისტრაციულ საქმეზე და მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე სარჩელის ობიექტის იდენტურობის გამო, მოცემული საქმის განხილვა შეუძლებელია სს "კახეთის" სარჩელზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე - ქ. თბილისში, . . . , მე-14 კორპუსის ადგილზე არსებული მიწის ნაკვეთზე სს "კახეთის" სარჩელის საფუძვლიანობის გარკვევამდე, ანუ სანამ არ გადაწყდება, თუ რამდენად საფუძვლიანია სს "კახეთის" სასარჩელო მოთხოვნა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ან ერთ წარმოებად უნდა გააერთიანოს სს "კახეთისა" და ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრების გამო დასახელებული ადმინისტრაციული საქმეები და ერთობლივად განიხილოს ისინი, ან სს "კახეთის" საქმის დასრულებამდე შეაჩეროს დაბრუნებული ნაწილში ამ საქმეზე - ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარზე - წარმოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 22 ივნისის #5049 საქართველოს კანონით, ქ. თბილისის მთავრობის ვალდებულება კი, საქართველოს პრეზიდენტისთვის წარედგინა წინადადებები მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით გადაწყვეტილების მისაღებად, განსახორციელებლად დროში იყო შემოფარგლული. სააპელაციო სასამართლომ მისთვის დაბრუნებულ ნაწილში ასევე უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად გააჩნია ქ. თბილისის მთავრობას ამჟამად შესაბამისი უფლებამოსილება - პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებისათვის კონკრეტული მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერ-

თეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ” ახალი კანონის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება უცვლელად დარჩეს ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ქ. თბილისის მთავრობისა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის ქ. თბილისში, ... მასივში, მე-7 კვარტალში, ყოფილი მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეგისტრაციისა და შემდგომ მათი პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებისათვის გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტთან გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის დავალების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება უცვლელად დარჩეს ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის #05.07.124 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში;
3. ქ. თბილისის მთავრობისა და საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციისათვის ქ. თბილისში, ... მასივში, მე-7 კვარტალში, ყოფილი მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეგისტრაციისა და შემდგომ მათი პირდაპირი მიყიდვის წესით მოსარჩელებისათვის გადაცემის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტთან გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის დავალების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

#ბს-961-925(23-08) 29 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1998 წლის 12 თებერვალს ნ. თ-მე-ა-იამ და შ., ს. და ი. ა-აიებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის დიდუბის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის მიმართ, მესამე პირად კი ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაზე მიუთითეს.

სარჩელში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელები ცხოვრობდნენ ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში, სადაც 182 კვ.მეტრი საერთო ფართის ბინაში ეკავათ 4 ოთახი. საქართველოს სახელმწიფო

მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის საკრებულოს 1991 წლის 9 სექტემბრის #685 განკარგულების საფუძველზე დაანგრია მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლი, იმ საფუძველით, რომ მათი საცხოვრებელი სახლის ადგილზე აშენებდა 16-სართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელშიც მოსარჩელებს გამოუყოფდა სამოთახიან ბინას.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს შორის 1993 წლის 1 ივლისს გაფორმდა #3 საგარანტიო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვეში კი დანგრეულ იქნა მათი საცხოვრებელი ბინა, თუმცა ხსენებული სახლის სანაცვლო საცხოვრებელი სახლის აშენება ვერ მოხერხდა.

საბოლოოდ, მოსარჩელებმა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტისათვის მათ სასარგებლოდ 3-ოთახიანი ბინის ღირებულების - 37000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 8 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. თ-მე-ა-იასა და შ., ს. და ი. ა-აიების სარჩელი დაკმაყოფილდა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს" მოსარჩელეთა სასარგებლოდ 37000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდა დაეკისრა, გადახდის დღისათვის დადგენილი კურსის მიხედვით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს" გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა თავისი შინაარსით სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის იყო, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული ხელშეკრულება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სარჩელის განხილვის დროისათვის მოქმედი რედაქციით, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებას და სასარჩელო წარმოება მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სასამართლო წარმოადგენდა დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს და შესაბამისად, დავის განხილვა უნდა გაგრძელებულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 1993 წლის 1 ივნისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა "მოიჯარადა" მშენებელ ორგანიზაციასთან 1993 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აიღო ვალდებულება მშენებლობის დამთავრებისთანავე, 1995 წლის ნოემბერში დაეკმაყოფილებინა შ. ა-ია 53,6 კვ.მ-ის სამოთახიანი ბინით, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე, #40-ში. სანაცვლოდ შ. ა-იამ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში გაეთავისუფლებინა დაკავებული საცხოვრებელი ფართი და ხელი არ შეეშალა მშენებლობისათვის. ქ. თბილისის დიდუბის რაიონის საკრებულოს 1991 წლის 9 სექტემბრის განკარგულებით, მიღებულ იქნა საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის წინადადება და შ. ა-იას, ოჯახის 4 წევრზე გამოეყო 53,6 კვ.მ ფართის სამოთახიანი ბინა, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე შ. ა-იას საცხოვრებელი ბინა დანგრეულ იქნა შემდგომი მშენებლობის მიზნით, მაგრამ მშენებლობა შეჩერდა გაურკვეველი ვადით. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მშენებლობა უნდა ეწარმოებინა თბილმშენის #3 სახლმშენებელ კომბინატს, რომლის ბაზაზეც, თბილისის სახელმწიფო ქონე-

ბის მართვის მთავარი სამმართველოს კოლეგიის 1994 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, სააქციო საზოგადოებად მისი გარდაქმნის შედეგად დაფუძნდა სს "მალივშენი". ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეს კი წარმოადგენდა 1996 წელს რეგისტრირებული სს "მალივშენი".

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1988 წელს, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში არსებული ტერიტორია დაუმაგრდა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მას უნდა ეწარმოებინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და განაწილება. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 ივლისის #577 ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი" წარმოადგენდა საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს. სს "მალივშენის" მიერ გაცემული პასუხით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეს, საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის დაკვეთით ასაშენებელ ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსში უნდა მიეღო სამოთახიანი ბინა საერთო 92,4 კვ.მ, საცხოვრებელი - 58,3 კვ.მ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 1993 წელს დადებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებულ "მოიჯარადე" ორგანიზაციას წარმოადგენდა თბილისში #3 სახელმშენებელი კომბინატი, უფლებამონაცვლეს - სს "მალივშენი", ხოლო ნარდობის ხელშეკრულება მათ შორის დარღვეულ იქნა ფინანსების უქონლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ, სადავო ურთიერთობის მიმართ 1964 წლის რედაქციის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის გამოყენება და მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ხსენებული კოდექსის 154-ე და მე-4 მუხლების საფუძველზე წარმოადგენდა ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ხელშეკრულება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით დადგენილ პირობებს, იგი ვალდებულების წარმოშობის საფუძველად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების განმარტება უნდა მომხდარიყო მისი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხოლოდ მისი სახელწოდების მიხედვით. წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან დასტურდებოდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ მის არსებით პირობებზე. შესაბამისად, მათ წარმოეშვათ ხელშეკრულების პირობების შესრულების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება ხელშეკრულების დარღვევაში მოპასუხის ბრალის არარსებობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ხსენებული გარემოება მოპასუხებს ვერ გაათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, პირს ვალდებულების დარღვევის გამო ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ მისი ბრალეულობის შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებული იყო კანონით ან ხელშეკრულებით. აღნიშნული ნორმის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი პირი პასუხს არ აგებდა ვალდებულების დარღვევაში მისი ბრალის არარსებობის შემთხვევაში, რაც არ ვრცელდებოდა ქონებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევებზე, რომელთა წარმოშობის საფუძველი იყო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 221-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც მოვალე პასუხს აგებდა იმ მესამე პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვისაც, რომელსაც ეს ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული. ამდენად, ის გარემოება, რომ სახლი არ აშენდა სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, რაც საფუძველად დაედო "მოიჯარადის" მიერ მოსარჩელებსა და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების დარღვევას, ვერ გაათავისუფლებდა მოპასუხს პასუხისმგებლობისაგან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოვალე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა კრედიტორისათვის ამით მიყენებული ზარალი. ზარალად ითვლებოდა კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა თუკი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინის, გადაცემა. შესაბამისად, თუ მოვალე შეასრულებდა ხელშეკრულების პირობას, მოსარჩელე მიიღებდა ამ ნივთს. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის ამ ნივთის ღირებულება, რაც საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენდა არანაკლებ 40000 აშშ

დოლარს. აღნიშნული დოკუმენტის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება კი მხარეებს არ წარუდგენიათ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა 37000 აშშ დოლარის ანაზღაურება, სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გასცდა მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების მოსაზრება საქალაქო სასამართლოს მიერ ზიანის თანხის არასწორ გაანგარიშებაზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით, აპელანტს ნაკისრი ჰქონდა, მხოლოდ 53,6 კვ.მ-ის გადაცემის ვალდებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არა გვაროვნული ნივთი - 53,6 კვ.მ-ის უძრავი ქონება, არამედ, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინა. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ამ ნივთის და არა 53,6 კვ.მ ფართის ღირებულება, ვინაიდან, თვით მშენებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინის ფართობი შეადგენდა 92,4 კვ.მ-ს, ხოლო მისი საცხოვრებელი ფართი - 58,3 კვ.მ-ს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეუძლებელი იყო, მოსარჩელეს ხელშეკრულების ჯგეროვანი შესრულების შედეგად გადასცემოდა მხოლოდ საცხოვრებელი ფართი, ვინაიდან საცხოვრებელი ფართი დამხმარე ფართთან ერთად შეადგენდა ერთი მთლიანი უძრავი ნივთის - ბინის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომლის გამოცალკევება და ცალკე უფლების ობიექტად განხილვა დაუშვებელი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საგარანტიო ხელშეკრულება და არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე დასტურდებოდა მხარეთა ურთიერთვალდებულება.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 205-ე მუხლის შესაბამისად, გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად შეიძლება მიჩნეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაცემული იქნებოდა მოვალე ორგანიზაციის ზემდგომი ორგანოს მიერ და წარმოადგენდა ზემდგომი ორგანოს პასუხისმგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებს წარმოადგენდნენ ფიზიკური პირები. იმისათვის, რომ საგარანტიო ხელშეკრულება მიჩნეულიყო ვალდებულების წარმოშობა დოკუმენტად, საჭირო იყო იგი გაცემული ყოფილიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" ზემდგომი ორგანოს მიერ. ამასთან, გარანტია წარმოადგენდა ვალდებულების უზრუნველსაყოფ საშუალებას და დამოკიდებული იყო ძირითადი ვალდებულების არსებობაზე. საქმეში კი არ არსებობდა ძირითადი ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება მიჩნეულიყო საგარანტიო ხელშეკრულება.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ არასწორად იქნა გაანგარიშებული სადავო ბინის ღირებულება, ვინაიდან ქ. თბილისის დიდუბის რაიონის საკრებულოს შესაბამის განკარგულებასა და საგარანტიო ხელშეკრულებაში ბინის ფართი გათვალისწინებული იყო 53,6 კვ.მეტრით. ამდენად, სასამართლოს უნდა ემსჯელა არა 92,4 კვ.მ-ის, არამედ - 53,6 კვ.მ-ის მქონე ბინის ღირებულებაზე. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოსარჩელეთა საკომპენსაციო თანხაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება საკასაციო წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (1964 წ.) 227-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად ვალდებულება შეწყდებოდა წინამდებარე თავში მოყვანილი წესების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ, შესრულების შეუძლებლობის გამო, ხოლო იმავე კოდექსის 235-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება შეწყდებოდა შესრულების შეუძლებლობით, თუ ეს გამოწვეული იყო გარემოებით, რომელზედაც მოვალე პასუხს არ აგებდა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი). ხსენებული კოდექსის 219-ე მუხლში კი მითითებული იყო, რომ პირი, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი, ქონებრივად პასუხს აგებდა მხოლოდ

მამინ, თუ მას ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) მიუძღოდა იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებული იყო კანონით ან ხელშეკრულებით. ბრალის არქონა უნდა დაემტკიცებინა ვალდებულების დამრღვევ პირს.

კასატორის განმარტებით, მან ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, მაგრამ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ მომხდარა მისი ბრალეულობით, რადგან აღნიშნულის მიზეზი იყო იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა.

კასატორი მიუთითებს, რომ თავდაპირველად მშენებლობა უნდა ეწარმოებინა "თბილმშენის" #3 სახელმშენებელ კომბინატს, რომელსაც აღნიშნული მშენებლობისათვის თანხა გადაერიცხა, მაგრამ ქვეყნის მთელი სამშენებლო კომპლექსი დისლოცირებულ იქნა მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში. ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის 1993 წლის 6 აპრილის #22-გს განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს უფლება მიეცა, მშენებლობა ეწარმოებინა საკავშირო სახსრებით შეძენილი მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების სპეცანგარიშზე აკუმულირების გზით. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები და დაიწყო მშენებლობა, რომელიც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამო, წელი ტემპით მიმდინარეობდა და საბოლოოდ შეჩერდა. ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე, საკავშირო სახსრებით შეძენილ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 ივნისის #367-13 დადგენილებით აიკრძალა მშვიდობიან პერიოდში როგორც სახელმწიფო, ისე სამობილიზაციო რეზერვებიდან მატერიალური ფასეულობის გაჯავშნა (შესაბამისად რეალიზაცია). იმავე დადგენილებით დეპარტამენტს ნება დაერთო გამოეყენებინა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე 1992 წლამდე ჩაწყობილი და შენახვის ვადაგასული მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის შედეგად დაგროვილი ფულადი თანხები მხოლოდ ახალი მატერიალური ფასეულობების შესაძენად. ამდენად, კასატორის განმარტებით, ხსენებული დადგენილებით მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს ფაქტობრივად აკრძალა სამშენებლო სამუშაოების წარმოება, რის შედეგადაც მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 და 29 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, განჩინებების ჩაბარებიდან შესაბამის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 13 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 11 დეკემბერს, 13.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან კასატორებს არ წამოუყენებიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის 1993 წლის 1 ივნისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა "მოიჯარადე" მშენებელ ორგანიზაციასთან 1993 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აიღო ვალდებულება, მშენებლობის დამთავრებისთანავე, 1995 წლის ნოემბერში დაეკმაყოფილებინა შ. ა-ია 53,6 კვ.მ-ის სამოთახიანი ბინით ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე, #40-ში. სანაცვლოდ

შ. ა-იამ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში გაეთავისუფლებინა დაკავებული საცხოვრებელი ფართი და ხელი არ შეეშალა მშენებლობისათვის. ქ. თბილისის დიდუბის რაიონის საკრებულოს 1991 წლის 9 სექტემბრის განკარგულებით, მიღებულ იქნა საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის წინადადება და შ. ა-იას, ოჯახის 4 წევრზე გამოეყო 53,6 კვ.მ-ის სამოთახიანი ბინა ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე. ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ შ. ახალიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე შ. ა-იას საცხოვრებელი ბინა დანგრეულ იქნა შემდგომი მშენებლობის მიზნით, მაგრამ მშენებლობა შეჩერდა გაურკვეველი ვადით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ მშენებლობა უნდა ეწარმოებინა თბილმშენის #3 სახლმშენებელ კომბინატს, რომლის ბაზაზეც, თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს კოლეგიის 1994 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, სააკციო საზოგადოებად მისი გარდაქმნის შედეგად დაფუძნდა სს "მალივშენი". ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეს კი წარმოადგენს 1996 წელს რეგისტრირებული სს "მალივშენი". ამდენად, მხარეთა შორის 1993 წელს დადებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებულ "მოიჯარადე" ორგანიზაციას წარმოადგენს თბილმშენის #3 სახლმშენებელი კომბინატი, უფლებამონაცვლეს - სს "მალივშენი", ხოლო ნარდობის ხელშეკრულება მათ შორის დარღვეულ იქნა ფინანსების უქონლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 1988 წელს ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში არსებული ტერიტორია დაუმაგრდა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მას უნდა ეწარმოებინა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და განაწილება. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 ივლისის #577 ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი" წარმოადგენს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" მოსაზრებას, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში არსებული ტერიტორია არ იმყოფება მის ბალანსზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა" ვერ წარმოადგინა აღნიშნულის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) და ხსენებული არც საქმის მასალებით დასტურდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშვა 1997 წლის 25 ნოემბრამდე, მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე პირველი ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტაში გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ.). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სადავო ურთიერთობის მიმართ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ.). ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ხსენებული კოდექსის 154-ე და მე-4 მუხლების საფუძველზე წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით ან ამ კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული სხვა საფუძველით. იმავე კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად კი, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ცალმხრივი უარი ვალდებულების შესრულებაზე და ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ მათ შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა და ეს ურთიერთობა ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებას, მოსარჩელეთა მხრიდან ფართის დროულ გათავისუფლებას და მშენებლობისათვის ხელის არშეშლას, ხოლო მოპასუხის მხრიდან არსებული სახლის დანგრევას, მის ადგილზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ახალაშენებულ სახლში მოსარჩელეთათვის სამოთახიანი ბინის გამოყოფას. მოსარჩელებმა მათი ვალდებულებები შეასრულეს სრულად, რამაც მათ მისცა უფლება, მოეთხოვათ მოპასუხისაგან ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" მოსაზრებას, რომ მისი დაუფინანსებლობის გამო უარი უნდა ეთქვას მოსარჩელების მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დარღვევაში მოპასუხის ბრალის არარსებობა მოპასუხებს ვერ გაათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, პირს ვალდებულების დარღვევის გამო ქონებრივი პასუხისმგებლობა

ეკისრება მხოლოდ მისი ბრალეულობის შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. აღნიშნული ნორმის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი პირი პასუხს არ აგებს ვალდებულების დარღვევაში მისი ბრალის არარსებობის შემთხვევაში, რაც არ ვრცელდება ქონებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევებზე, რომელთა წარმოშობის საფუძველია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 221-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, მოვალე პასუხს აგებს იმ მესამე პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, რომელსაც ეს ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული. ამდენად, ის გარემოება, რომ სახლი არ აშენდა სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, რაც საფუძველად დაედო "მოიჯარადის" მიერ მოსარჩელებსა და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების დარღვევას, ვერ გაათავისუფლებს მოპასუხეს პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოვალე ვალდებულია, აუნაზღაუროს კრედიტორს ამით მიყენებული ზარალი. ზარალად ითვლება კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა თუკი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით დადგენილ პირობებს, იგი ვალდებულების წარმოშობის საფუძველად არ უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ხელშეკრულების განმარტება უნდა მოხდეს მისი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხოლოდ მისი სახელწოდების მიხედვით. ხსენებული ხელშეკრულებით კი დასტურდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ მის არსებით პირობებზე. შესაბამისად, მათ წარმოეშვათ ხელშეკრულების პირობების შესრულების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას საკომპენსაციო თანხის ოდენობასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინის გადაცემა. შესაბამისად, თუ მოვალე შეასრულებდა ხელშეკრულების პირობას, მოსარჩელე მიიღებდა ამ ნივთს. ამდენად, მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის ამ ნივთის ღირებულება, რაც საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს არანაკლებ 40000 აშშ დოლარს. აღნიშნული დოკუმენტის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება კი მხარეებს არ წარმოუდგენიათ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა 37000 აშშ დოლარის ანაზღაურება, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გასცდა მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორთა მოსაზრებას საკომპენსაციო თანხის ოდენობის არასწორ გაანგარიშებაზე და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არა გვაროვნული ნივთი - 53,6 კვ.მ-ის უძრავი ქონება, არამედ, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინა. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ამ ნივთის და არა საცხოვრებელი 53,6 კვ.მ-ის ღირებულება, ვინაიდან, თვით მშენებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩის #27-ში მშენებარე #1 კორპუსის მე-8 სართულზე მდებარე #40 ბინის ფართობი შეადგენს 92,4 კვ.მ-ს, ხოლო მისი საცხოვრებელი ფართი - 58,3 კვ.მ-ს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ შეუძლებელია, მოსარჩელეს ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შედეგად გადასცემოდა მხოლოდ საცხოვრებელი ფართი, ვინაიდან საცხოვრებელი ფართი დამხმარე ფართთან ერთად შეადგენს ერთი მთლიანი უძრავი ნივთის - ბინის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომლის გამოცალკევება და ცალკე უფლების ობიექტად განხილვა დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მართებულად გამოიყენა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, დასაბუთებული და შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის" საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-694-666(23-08) 10 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

სს "გერგეზის" სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სარჩელის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 12 ივლისს სს "გერგეზმა" სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2003 წლის 1 მაისს სს "გერგეზს", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა #26 ხელშეკრულება. 2003 წლის 13 მაისს კი, სს "გერგეზთან" გაფორდა მეორე #26 ხელშეკრულება, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორ კომპანიასთან. 2003 წლის 1 მაისს #26 ხელშეკრულების საგანს, ამავე ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოდგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიისათვის, ჩაის ფოთლის შესყიდვის მიზნით, სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა, ხოლო მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, 2.1 მუხლის "ა" პუნქტით დადგინდა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის", ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, ჩაის ფოთლის ჩამზარებლებზე გასანაწილებლად, სუბვენციის სახით, გამოეყო მინიმუმ 2,1 თეთრი, ფოთლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 2100 ტონისა. იმავე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ხსენებული ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, 2003 წლის 1 ნოემბრამდე მიეღო მინიმუმ 2100 ტონა ჩაის ფოთლი. ამავე ხელშეკრულების 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა, მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით, სუბვენციის გამცემს

ავანსის სახით უნდა გადაერიცხა თანხა 22050 ლარის ოდენობით, ხელშეკრულება კი, მისი მე-4 მუხლის თანახმად, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

მოსარჩელის მტკიცებით, 2003 წლის 28 ნოემბერს ზემოთ მითითებულ ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმებით, შევიდა ცვლილება და ხელშეკრულების 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ, 2003 წლის 1 ნოემბრამდე, ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (2100 ტონა) ჩაის ფოთლის 50%-ზე ნაკლების გადამამუშავების შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა 1 კგ ჩაის ფოთოლზე 2,1 თეთრის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - 1 კგ ჩაის ფოთოლზე 3,49498 თეთრის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს" არათუ 2003 წლის 1 ნოემბრამდე, არამედ 2003 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით მიღებული ჰქონდა 2100,24 ტონა ჩაის ფოთოლი. საბოლოო ჯამში, სს "გერგეზის" მიერ შესრულებულ იქნა მითითებული ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, ხოლო სუბვენციის გამცემის მიერ მისთვის გადარიცხულ იქნა მხოლოდ ავანსი 22050 ლარის ოდენობით, სუბვენციის დარჩენილი თანხა კი 51344,60 ლარის ოდენობით მისთვის არ გადაურიცხავთ. შესაბამისად, სს "გერგეზს" მისაღები ჰქონდა 51344,60 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, მასთან, როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორ კომპანიასთან, 2003 წლის 13 მაისს დადებული #26 ხელშეკრულების საგანს, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიისათვის, ექსპორტისათვის სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის "ა" პუნქტით დადგინდა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის" ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად მიღებულ 1 აშშ დოლარზე, სუბვენციის სახით, გამოეყო მინიმუმ 10 თეთრი, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 700 ტონა ექსპორტირებულ ჩაის პროდუქციაზე. ხსენებული მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. იმავე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, 2003 წლის 15 დეკემბრამდე განეხორციელებინა მინიმუმ 700 ტონა პროდუქციის ექსპორტი, ხოლო 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით, სუბვენციის გამცემს უნდა გადაერიცხა ავანსის სახით თანხა 32750 ლარის ოდენობით, ხელშეკრულება კი, მისი მე-4 მუხლის თანახმად, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

მოსარჩელის მტკიცებით, 2003 წლის 29 დეკემბერს ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმებით, ასევე შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიის მიერ 2003 წლის 15 დეკემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (700 ტონა) პროდუქციის 50%-ზე ნაკლების ექსპორტირების შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,1 ლარის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,27169 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს", ისევე, როგორც პირველი ხელშეკრულების შემთხვევაში, ამჯერადაც ვადაზე ადრე - 2003 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპორტზე გადატვირთული ჰქონდა 751,751 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, რომლის ღირებულებაც იყო 553136,76 აშშ დოლარი. ხსენებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის "ა" პუნქტიდან გამომდინარე, 700 ტონა პროდუქციის ღირებულებიდან, რაც 513288,70 აშშ დოლარს შეადგენდა, ანაზღაურებულ იქნა 482634,20 აშშ დოლარი და შესაბამისად, სს "გერგეზს" ამ თანხიდან ყოველ აშშ დოლარზე უნდა გადარიცხოდა 0,27169 ლარი, სულ - 131126 ლარი. საბოლოო ჯამში, სს "გერგეზის" მიერ შესრულებულ იქნა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, ხოლო სუბვენციის გამცემის მიერ მისთვის გადარიცხულ იქნა მხოლოდ ავანსი 32750 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სს "გერგეზს" მისაღები ჰქონდა 98376 ლარი. სს "გერგეზის" მიმართ არსებული დავალიანება სულ შეადგენდა 149720,60 ლარს.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 2 დეკემბერს მან წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ორივე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მის მიერ შესრულებულ იქნა ჯეროვნად, მაგრამ ამ სააგენტოს მხრიდან სუბვენციის თანხები არ იყო გაცემული, რის გამოც სს "გერგეზმა" მოითხოვა, მისთვის ეცნობებინათ თანხების გაცემის შეფერხების მიზეზების შესახებ და პრეტენზიის წარდგენის დღიდან ორი

კვირის ვადაში დაეფარათ დავალიანება, რაზეც 2004 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ #01/03-285 წერილით სს "გერგეზს" აცნობა, რომ, მართალია, მის მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება ჯეროვნად იქნა შესრულებული, მაგრამ თანხების გადარიცხვა შეფერხებულ იქნა სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც ამავე სააგენტომ, ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში, გაუგზავნა საგადასახადო დავალებები, თუმცა, მიუხედავად ამისა, სუბვენციის თანხის გადარიცხვა არ მომხდარა.

მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. ასეთი ხელშეკრულებები კი, მხარეთა შორის გაფორმებულ იქნა. ამავე კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა მოვალისათვის მოქმედების შესრულება, მოცემულ შემთხვევაში - თანხის ანაზღაურება. ზემოხსენებული ხელშეკრულებები ძალაში შევიდა და მოქმედებდა, რასაც არც მხარეები უარყოფდნენ, რის დასტურიც იყო ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, საავანსო თანხების გადარიცხვა. აღნიშნული კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა გარემოებას, რომელიც დამატებით მტკიცებას არ საჭიროებდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულებულიყო ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოსარჩელეს, თანხის მოთხოვნისა და მისი მიღების უფლების წარმოშობისათვის, უნდა შეესრულებინა ორივე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, მიეწოდებინა ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ და დაედასტურებინა იგი სათანადო მტკიცებულებებით. სს "გერგეზის" მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება დასტურდებოდა ჩაის ფოთლის გადამუშავებასა და ექსპორტზე გაწეული სამუშაოების შესახებ ცნობებით, საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტური მასალებითა და ამ სააგენტოს აღიარებით.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოხსენებული ხელშეკრულებების 2.1 მუხლების "გ" პუნქტების თანახმად, საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს 10 დღის ვადაში უნდა მიეცა საგადასახადო დავალება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის, სს "გერგეზისათვის" კუთვნილი თანხის გადარიცხვის თაობაზე. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს 2004 წლის 2 დეკემბრის #01/03-285 წერილის მიხედვით, ამ სააგენტოს მიერ ყველა საგადასახადო დავალება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ხოლო ეს სამსახური ვალდებული იყო, 2000 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რომელიც ხაზინის ძირითად ფუნქციად ითვალისწინებდა სახაზინო სამსახურის მიერ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულებას, მოეხდინა სს "გერგეზისათვის" კუთვნილი თანხის გადარიცხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სს "გერგეზის" კუთვნილი თანხის - 149720,60 ლარის ანაზღაურების მოპასუხეებისათვის დაკისრება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელის წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოპასუხეებისათვის დაკისრება.

2006 წლის 14 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სს "გერგეზის" მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს დაიდო #26 ხელშეკრულებები. აღნიშნულ ხელშეკრულებებში 2003 წლის 28 ნოემბერსა და 2003 წლის 29 დეკემბერს შევიდა ცვლილებები, რომლებიც წარმოადგენდა ძირითადი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილებს. 2003 წლის 1 მაისის ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა. 2003 წლის 13 მაისის ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის" 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, სახელმწიფოს მხრიდან ჩაის გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა.

მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებდა მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ხოლო ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული გარიგება არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან. იმავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეთან" დადებული ორივე ხელშეკრულება, თავისი შინაარსით, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებას. ხსენებული კოდექსის 65¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებისას გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილი იყო გარიგება, რომელიც არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდებოდა სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგებულიყო საჯარო სამართლით. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია - "ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით", რომლის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ყველა ხელშეკრულებაში უნდა არსებულიყო მუხლი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება ძალაში შედიოდა ხაზინის მიერ შესაბამისი ვალდებულების რეგისტრირების შემდეგ. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ხაზინაში ხდებოდა ვალდებულების და არა ხელშეკრულების რეგისტრირება, როგორც ეს ხელშეკრულებებში იყო მითითებული. ამდენად, 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებებით ირღვეოდა კანონით დადგენილი წესი და საჯარო პრინციპები.

მოსარჩელის განმარტებით, "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩაის წარმოების ხელშეწყობის პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხები გათვალისწინებული იყო სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლში. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლიდან ხარჯების გაწევა განხორციელდებოდა მე-15 მუხლის ანალოგიურად, მე-15 მუხლის თანახმად კი, ვალდებულების დოკუმენტი ხაზინას წარედგინებოდა მანამდე, ვიდრე შემსრულებელი შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ნორმატიული აქტის აღნიშნული მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებებში, რამაც გამოიწვია საჯარო წესრიგის დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეთან" შორის 2003 წლის 1 მაისისა და 2003 წლის 13 მაისის დადებული #26 ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 აგვისტოს საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმეები სს "გერგეთანს" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სარჩელების გამო, გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ამ საქმის განხილვისას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა თავის სასარჩელო განცხადებაში მეორე მოპასუხედ მიუთითა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს "გერგეთანს" სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს სს "გერგეთანს" სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 149720 ლარის გადახდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს უარი ეთქვა 2003 წლის 1 მაისის #26 და 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე; სს "გერგეთანს" დაუბრუნდა მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1000 ლარის ოდენობით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტზე, 65¹ მუხლზე და აღნიშნა, რომ ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოს მთავრობის მიერ მიჩნეულ იქნა პრიორიტეტულ დარგად, რომლის ხელშეწყობისათვის, "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის #336 განკარგულებით საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო

სააგენტოს დაევალა პროგრამის მონაწილე სუბიექტების გამოვლენა და ჩაის დარგში მომუშავე კერძო სტრუქტურებთან შეთანხმებული წესის დამტკიცება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებები წარმოადგენდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 20 დეკემბრის დავალება, "მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმების ხელშეწყობი პირობების შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის #336 განკარგულების შესაბამისად განხორციელებული "2003 წლის ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამამუშავების და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამის" ფარგლებში წარმოქმნილი დავალებების თაობაზე" და მანვე, პროგრამის ფარგლებში, გამოაცხადა კონკურსი, რომლის შედეგადაც გამარჯვებულად გამოვლინდა 59 საწარმო, მათ შორის, სს "გერგეზი", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, კერძოდ, 2003 წლის 1 მაისს სს "გერგეზსა", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა #26 ხელშეკრულება, 2003 წლის 13 მაისს კი სს "გერგეზთან" გაფორმდა მეორე #26 ხელშეკრულება, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორ კომპანიასთან. 2003 წლის 1 მაისის ხელშეკრულების საგანს, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიისათვის, ჩაის ფოთლის შესყიდვის მიზნით, სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა, მე-2 მუხლით კი განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, "ა" პუნქტით დადგინდა, რომ შესაბამისი მოპასუხე ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის", ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, ჩაის ფოთლის ჩამზარებლებზე გასანაწილებლად, სუბვენციის სახით, გამოეყო მინიმუმ 2,1 თეთრი, ფოთლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 2100 ტონისა. იმავე მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, 2003 წლის 1 ნოემბრამდე მიეღო მინიმუმ 2100 ტონა ჩაის ფოთლი. ამავე ხელშეკრულების 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის მიხედვით, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სუბვენციის გამცემს, ავანსის სახით, უნდა გადაერიცხა თანხა 22050 ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. მითითებულ ხელშეკრულებაში 2003 წლის 28 ნოემბერს, მხარეთა შეთანხმებით, შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ 2003 წლის 1 ნოემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (2100 ტონა) ჩაის ფოთლის 50%-ზე ნაკლების გადამამუშავების შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განხორციელებდა 1 კგ ჩაის ფოთოლზე 2,1 თეთრის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - 1 კგ ჩაის ფოთოლზე 3,49498 თეთრის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ, სასარჩელო განცხადების მიხედვით, ასევე დადგინდა მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს" არათუ 2003 წლის 1 ნოემბრამდე, არამედ უკვე 2003 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, მიღებული ჰქონდა 2100,24 ტონა ჩაის ფოთლი, საბოლოო ჯამში კი, სს "გერგეზის" მიერ შესრულებულ იქნა მითითებული ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, ხოლო სუბვენციის გამცემის მიერ მისთვის გადარიცხულ იქნა მხოლოდ ავანსი - 22050 ლარის, სუბვენციის დარჩენილი თანხა კი - 51344,60 ლარი - მისთვის არ გადაურიცხავთ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003 წლის 13 მაისის ხელშეკრულების საგანს, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიისათვის, ექსპორტისათვის სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, 2.1 მუხლის "ა" პუნქტით დადგინდა, რომ შესაბამისი მოპასუხე ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის", ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად მიღებულ 1 აშშ დოლარზე, სუბვენციის სახით, გამოეყო მინიმუმ 10 თეთრი, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 700 ტონა ექსპორტირებულ ჩაის პროდუქციაზე. ხსენებული მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარ-

მოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამავე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულია იღებდა, 2003 წლის 15 დეკემბრამდე განხორციელებინა მინიმუმ 700 ტონა პროდუქციის ექსპორტი, 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად კი, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით, სუბვენციის გამცემს უნდა გადაერიცხა ავანსის სახით თანხა 32750 ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის თანახმად, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 29 დეკემბერს ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმებით, ასევე შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიის მიერ 2003 წლის 15 დეკემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (700 ტონა) პროდუქციის 50%-ზე ნაკლების ექსპორტირების შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,1 ლარის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,27169 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს", ისევე, როგორც პირველი ხელშეკრულების შემთხვევაში, ამჯერადაც ვადაზე ადრე - 2003 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპორტზე გადატვირთული ჰქონდა 751,751 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, რომლის ღირებულებაც იყო 553136,76 აშშ დოლარი. ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის "ა" პუნქტიდან გამომდინარე, 700 ტონა პროდუქციის ღირებულებიდან, რაც 513288,70 აშშ დოლარს შეადგენდა, ანაზღაურებულ იქნა 482634,20 აშშ დოლარი. სს "გერგეზს" კი, შესაბამისად, უნდა გადარიცხოდა ამ თანხიდან ყოველ აშშ დოლარზე 0,27169 ლარი, სულ - 131126 ლარი. საბოლოო ჯამში, სს "გერგეზის" მიერ შესრულებულ იქნა ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, ხოლო სუბვენციის გამცემის მიერ მისთვის გადარიცხულ იქნა მხოლოდ ავანსი 32750 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სს "გერგეზს" მისაღები ჰქონდა 98376 ლარი. საერთო ჯამში, სს "გერგეზის" მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა 149720,60 ლარს.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, როგორც სასარჩელო განცხადებიდან, აგრეთვე, ირკვეოდა, 2004 წლის 2 დეკემბერს სს "გერგეზმა" წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ორივე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მის მიერ შესრულებულ იქნა ჯეროვნად, მაგრამ სააგენტოს მიერ სუბვენციის თანხები არ იყო გაცემული, რის გამოც მან ითხოვა, მისთვის ეცნობებინათ თანხის გაცემის შეფერხების მიზეზების შესახებ და პრეტენზიის წარდგენის დღიდან ორი კვირის ვადაში დაეფარათ დავალიანება, რაზეც საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ #01/03-285 წერილით სს "გერგეზს" განუმარტა, რომ, მართალია, მის მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება ჯეროვნად იქნა შესრულებული, მაგრამ თანხების გადარიცხვა შეფერხებულ იქნა სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც საინვესტიციო სააგენტომ ხელშეკრულებებით დადგინდულ ვადებში, გაუზღავნა საგადასახადო დავალებები, თუმცა, მიუხედავად ამისა, სუბვენციის თანხის გადარიცხვა არ მომხდარა.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებები ძალაში შევიდა და მოქმედებდა, რასაც ადასტურებდა ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, საავანსო თანხების გადარიცხვა. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილ იქნა საგადასახადო დავალებები - 2003 წლის 1 მაისის #26 ხელშეკრულების საფუძველზე, სუბვენციის სახით, 22050 ლარზე და 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულების საფუძველზე, 22267 ლარსა და 4033 ლარზე, ასევე 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულებაში 2003 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, წარდგენილ იქნა ვალდებულების დოკუმენტი 78633,70 ლარზე და ვალდებულების დოკუმენტი 2003 წლის 1 მაისის #26 ხელშეკრულებაში 2003 წლის 28 ნოემბერს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 29294,60 ლარზე. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს 2004 წლის 2 დეკემბრის #01/03-285 წერილით დგინდებოდა, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო "2003 წლის ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამის" ფარგლებში, ჩაის დარგში მომუშავე კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ხელშეკრულებებით დადგინდულ ვადებში, ახორციელებდა ჩაის ფოთლის გადამამუშავებისა და პროდუქციის ექსპორტის სუბვენციის თანხების გადარიცხვის თაობაზე სათანადო დოკუმენტაციის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, კერძოდ, სს "გერგეზს" 2003 წლის 30 მაისს გადაერიცხა საავანსო თანხა ფოთლის გადამამუშავებაზე - 22050 ლარი და ექსპორტზე - 26200 ლარი (#47 და #48 საგადასახადო დავალებები). ამასთან, სახაზინო სამსახურმა აიღო ვალდებულება სს "გერგეზისათვის" ფოთლის გადამამუშავებაზე 22050 ლარისა (#141 საგადასახადო დავალება) და პროდუქციის ექსპორტზე 26300 ლარის (#142

და #198 საგადასახადო დავალებები) გადარიცხვის თაობაზე, ხოლო დარჩენილ თანხაზე, ფოთლის გადამუშავებისთვის - 22294,60 ლარსა და ექსპორტისათვის 78633,70 ლარზე, სახაზინო სამსახურს არ აუღია ვალდებულება. ასევე დგინდებოდა, რომ, მიუხედავად არაერთი შეხსენებისა, 2003 წლის 25 ივნისის შემდეგ, სახაზინო სამსახურს არ განუხორციელებია ჩაის კომპანიებისათვის კუთვნილი სუბვენციის თანხების გადარიცხვა. ამავე წერილით დგინდებოდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად გამოყოფილ ასიგნებებში არ იყო გათვალისწინებული ზემოაღნიშნული პროგრამით აუნაზღაურებელი ხარჯების დაფინანსება.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდი, მათ შორის, წარმოების ხელშეწყობის პროგრამებისათვის. ამავე კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, 2003 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტულ ღონისძიებებად და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების დაცულ მუხლებად განისაზღვრა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის წარმოების განვითარების საინვესტიციო ფონდისათვის გათვალისწინებული ხარჯები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 463-464-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კრედიტორთან - სს "გერგეთან" მიმართებაში, წარმოადგენდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სოლიდარულ მოვალეებს. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოპასუხეებსა და მოსარჩელეს შორის 2003 წლის 1 და 13 მაისს გაფორმდა #26 ხელშეკრულებები, რომლებშიც შემდგომ შევიდა ცვლილებები. სადავო ხელშეკრულებების თანახმად, სუბვენციის გამცემს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც ვალდებული იყო, ჩაის გადამამუშავებელი კომპანიისათვის სუბვენციის თანხა აენაზღაურებინა საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, რომლებიც მას გააჩნდა "2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2003 წლის 14 აპრილის #5 სხდომის ოქმის შესაბამისად. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ეკისრებოდა, როგორც საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს. დადგენილი იყო, რომ სს "გერგეთის" მიერ ჯეროვნად და დროულად შესრულდა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მოვალეების მიერ ვალდებულება არ შესრულებულა ჯეროვნად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობდა ვალდებულების არსებობას. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილი იყო, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის არსებობდა ვალდებულება. "სუბვენციის გამცემის" მიერ "სუბვენციის მიმღებისათვის" 2003 წლის 1 მაისის #26 ხელშეკრულების საფუძველზე, ავანსის სახით, გადარიცხულ იქნა 22050 ლარი, ხოლო 13 მაისის #26 ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ავანსის სახით, გადარიცხულ იქნა 32750 ლარი, ორივე ხელშეკრულებით შეუსრულებელი ვალდებულება კი, შეადგენდა 149720 ლარს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მოსაზრება 2003 წლის 1 მაისის #26 და 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ ეს ხელშეკრულებები არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობებზე შეთანხმდებოდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულებები დაიდო საამისოდ გათვალისწინებული ფორმით და ისინი შეთანხმდნენ მათ ყველა არსებით პირობებზე, შემდგომ კი, ასევე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ამ ხელშეკრულებებში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც, აგრეთვე, შეთანხმებულ იქნა მხარეთა შორის.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის - "ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს ინსტრუქცია განსაზღვრავდა ბიუჯეტით დამტკიცებული კლასიფიკაციით გათვალისწინებული ყველა მუხლის მიხედვით, ხარჯების გაწევის პროცედურებს, რომლებიც ხორციელდებოდა სახინის მეშვეობით და გაიცემოდა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელი იყო ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო თანხების გაცემა ვალდებულება-დამოწმების გარეშე. საქმის მასალებით

დადგენილი იყო, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარადგენდა შესაბამის საგადასახადო დავალებებს, რისი დამოწმებაც უნდა უზრუნველყო სახაზინო სამსახურს. ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად, ხაზინაში "დაცულ მუხლებზე" წარმოდგენილ ვალდებულებებს არეგისტრირებდა ცენტრალური ხაზინა. ამ ხარჯებზე სახსრების მოსალოდნელი სიმცირის შემთხვევაში, არ ხდებოდა ვალდებულების ოდენობის შემცირება. "2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, საინვესტიციო ფონდისათვის გათვალისწინებული ხარჯები განისაზღვრა დაცულ მუხლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინვესტიციო სააგენტოს მიერ წარდგენილი ვალდებულებების რეგისტრაცია უნდა უზრუნველყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ ხაზინას, რაც არ განხორციელებულა მისივე ბრალეულობით. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა ნაწილობრივ აიღო ვალდებულება, სს "გერგეზისათვის" ფოთლის გადამუშავებაზე 22050 ლარისა და პროდუქციის ექსპორტზე 26300 ლარის გადარიცხვის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებების დადება საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის სავალდებულო იყო "2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისად, ზემოთ მითითებული ხელშეკრულებებისა და ინსტრუქციის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს უნდა უზრუნველყო ვალდებულებების რეგისტრირება "დაცულ მუხლებზე" წარმოდგენილ ვალდებულებებში, რაც მისი მხრიდან გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები. "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მოპასუხეები გათავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, მისი სარჩელის დაკმაყოფილება და სს "გერგეზის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და მის მიმართ 149720 ლარის სოლიდარულად გადახდევინების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს "გერგეზის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზის" სასარგებლოდ დაეკისრა 48350 ლარის გადახდა; სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს სს "გერგეზის" სასარგებლოდ დაეკისრა 101370,60 ლარის გადახდა; სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა 4065 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები მოპასუხეთა ვალდებულების არსებობის თაობაზე, მაგრამ მიიჩნია, რომ, როგორც საქმის მასალებით დგინდებოდა, მოპასუხეების ვალდებულება არ იყო სოლიდარული და ისინი პასუხისმგებელი იყვნენ კონკრეტული თანხის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებდა საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძველებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო: ფონდის სახსრების რაციონალური მართვა და განაწილება თავდებობის, სუბვენციისა და სუბსიდიის სახით, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების ან მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად; პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოება საწარმოო-საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვის მიზნით. ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელების სახელმწიფო ხელშეწყობის ერთ-ერთი ფორმა იყო სუბვენცია, ამავე კანონის განმარტებით, განსაზღვრული ოდენობის მიზნობრივი ფულადი დახმარება, რომელსაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გამოყოფდა შესაბამისი ღონისძიების ან/და ობიექტის დასაფინანსებლად.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში დაცული იყო საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის გაფორმებული 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებები (შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით), რომლებიც ადგენდა გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს ხელშემკვერილი მხარეებისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებების მე-2 მუხლებით ცალსახად დგინდებოდა სუბვენციის გამცემის ვალდებულება, რომ ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად, სუბვენციის მიმღებისთვის გამოეყო გარკვეული თანხა, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შესაბამისად. ხსენებული მუხლების "გ" პუნქტების თანახმად, სუბვენციის გამცემი ვალდებული იყო, სუბვენციის მიმღების - ჩაის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის მიეცა საგადასახადო დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიღებულ ჩაის ფოთოლზე გასაწევი სუბვენციის თანხის კომპენსაციისათვის გადარიცხვის თაობაზე.

საპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმის მასალებითა და მხარეების მიერ სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებებით დადგენილი იყო, რომ სს "გერგეზის" მიერ საქსპორტოდ გატანილი ჩაის რაოდენობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება ეჭვს არ იწვევდა. საქმეში დაცული იყო სასამართლოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გამოთხოვილი ცნობა სახაზინო ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული ცნობიდან ირკვეოდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზთან" მიმართებაში აღებული ჰქონდა #14 ვალდებულება, საერთო თანხით - 22050 ლარი, რომელიც დამოწმებული და გადახდილი იყო ავანსის სახით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს ასევე აღებული ჰქონდა #15 ვალდებულება, საერთო თანხით - 26200 ლარი, რომელიც დამოწმებული და გადახდილი იყო ავანსის სახით. ამ ცნობიდან ირკვეოდა, რომ სს "გერგეზთან" მიმართებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ აღებული იყო #88 ვალდებულება, საერთო თანხით - 22050 ლარი, რომელიც იყო დამოწმებული, არ იყო დაფარული და არსებობდა დავალიანების სახით, ასევე - #89 ვალდებულება, საერთო თანხით - 22267 ლარი, რომელიც დამოწმებული იყო და არ იყო გადახდილი, აგრეთვე - #145 ვალდებულება, თანხით - 4033 ლარი, რომელიც ასევე დამოწმებული იყო და არ იყო გადახდილი.

საპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებულ ინსტრუქციაზე - "ცენტრალური ბიუჯეტის კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით", რომლის პირველი მუხლის თანახმად, ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელი იყო ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებიდან თანხების გაცემა ვალდებულება-დამოწმების გარეშე, ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, სახელმწიფო არ იღებდა პასუხისმგებლობას ინსტრუქციის ძალაში შესვლის თარიღიდან ვალდებულებისა და დამოწმების პროცესის გარეშე დაგროვებული დავალიანების დაფარვაზე. ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლით განმარტებული იყო ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა, კერძოდ, ვალდებულება იყო სახელმწიფოს პირობა, მომავალში დაეფარა მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულება, გადახდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ვალდებულება იძლეოდა ინფორმაციას მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. დამოწმება იყო სახელმწიფოს მიერ გადახდის ვადის დადგომის აღიარება, იმ დროისათვის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უკვე მიწოდებული საქონელი, გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაოები. დამოწმება იძლეოდა ინფორმაციას სახელმწიფოს დავალიანებების შესახებ, ხოლო წინასწარი გადახდა განიმარტებოდა, როგორც დამოწმების დოკუმენტის საფუძვლის წარდგენამდე, სახსრების გადახდა ავანსით.

საპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს არ აუღია ვალდებულება და არ დაუმოწმებია რაიმე ვალდებულება, გარდა ზემოაღნიშნული #14, #15, #88, #89 და #145 ვალდებულებებისა. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ რა მიზეზით არ განხორციელებულა შესაბამისი საგადასახადო დავალების მიცემა სახაზინო სამსახურისათვის, არ იყო ასევე დასაბუთებული, ვალდებულებების მიცემის შემდეგ, ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ განახორციელა თუ არა რაიმე ქმედება ვალდებულების რეგისტრირებისა და დამოწმების უზრუნველსაყოფად.

საპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდა მიიჩნია, რომ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ იყო დამოწმებული და არ იყო შესრულებული, უნდა დაკისრებოდა სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ვინაიდან ვალდებულების აღება და დამოწმება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ

აღებული ვალდებულების დამადასტურებელ გარემოებას. ამიტომ, აღნიშნულ ვალდებულებებზე მოპასუხე იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

რაც შეეხებოდა დანარჩენ თანხებს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი უნდა დაკისრებოდა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, ვინაიდან მის ვალდებულებას წარმოადგენდა, სუბვენციის მიღების მიერ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 დღეში მიეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის საგადასახადო დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიღებულ ჩაის ფოთოლზე გასაწევი სუბვენციის თანხის კომპენსაციისათვის გადარიცხვის თაობაზე. საქმის მასალებში დაცული იყო ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის 2003 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი #234 ვალდებულების დოკუმენტი, სს "გერგეზის" სასარგებლოდ 78633,7 ლარის სუბვენციის თანხის თაობაზე. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ აღნიშნული ვალდებულება არ აუღია ვალდებულებად და შესაბამისად, არ დაურეგისტრირებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის - "ცენტრალური ბიუჯეტის კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულების შესახებ წარდგენილი ინფორმაცია გადაეცემოდა ფინანსთა მინისტრს, რომელიც ვალდებულების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, უფლებამოსილი იყო, დაეწესებინა ყოველთვიური შეზღუდვები თანხების მოხმარებაზე ან გამოეყენებინა სხვა საჭირო შეზღუდვები. მინისტრი უფლებამოსილი იყო, ასეთი მიზეზით უარი ეთქვა ვალდებულების დარეგისტრირებაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული "ცენტრალური ბიუჯეტის კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" ინსტრუქციის ანალიზი ცხადყოფდა, ვალდებულების აღება, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს (ფინანსთა მინისტრი) დისკრეციულ უფლებამოსილებას. მინისტრი, ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებლების გათვალისწინებით ადგენდა, ვალდებულება ყოფილიყო აღებული ან უარი ეთქმოდა ვალდებულების აღებაზე. მინისტრის კომპეტენციაში ასევე შედიოდა ვალდებულების ნაწილობრივ აღება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა, თუ რამდენად კვალიფიციურად ეთქვა უარი ვალდებულების აღებასა და შესაბამისად, მის დამოწმებას. გარდა ამისა, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ ვალდებულების დოკუმენტი გაგზავნილ იქნა 2003 წლის 30 დეკემბერს. სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2005 წლის 12 ივლისს. ამ პერიოდში, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ არ მომხდარა ფინანსთა მინისტრის მიმართ ქმედების (#234, ასევე სხვა ვალდებულებების რეგისტრირების) განხორციელების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეეფასებინა ვალდებულების დაურეგისტრირებლობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ვალდებული იყო, უზრუნველყო სს "გერგეზის" მიერ შესრულებული სამუშაოსათვის სუბვენციის თანხის სახაზინო სამსახურის მიერ რეგისტრირება, რაც მოიცავდა ასევე სასამართლო კონტროლის მექანიზმის გამოყენებას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სარჩელი დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხში გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთვის სს "გერგეზის" სასარგებლოდ 101370,60 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 4065 ლარის გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული.

კასატორის მოსაზრებით, სს "გერგეზის" სარჩელი ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელის მიერ გაშვებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული 6-თვიანი ვადა. სს "გერგეზის" სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულებების მე-6 მუხლე-

ბის ("დავების გადაწყვეტა") თანახმად, თავდაპირველად უნდა მიემართა სააგენტოსათვის და ამის შემდეგ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი პრეტენზიის უფლება სს "გერგეზს" წარმოუშობოდა იმ შემთხვევაშიც, თუ სააგენტო ვერ შეასრულებდა ხელშეკრულების 2.1 მუხლით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, კერძოდ, თუ სააგენტო მისთვის სს "გერგეზის" მიერ დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენიდან 10 დღეში ვერ გასცემდა შესაბამის საგადასახადო დავალებას. სააგენტომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შესაბამისი თანხა არ გადაუხდია. ამდენად, 2004 წლის 1 იანვრიდან სს "გერგეზისათვის" ცნობილი იყო სასარჩელო წესით თანხის მოთხოვნის უფლების წარმოშობის შესახებ, მაგრამ 2004 წლის განმავლობაში სს "გერგეზს" არ მიუმართავს სარჩელით სასამართლოსთვის, მით უმეტეს, რომ სააგენტოს 2004 წლის 2 დეკემბრის #01/03-285 წერილით სს "გერგეზს" ეცნობა, რომ შესაბამისი მიზეზების გამო, სააგენტო მოკლებული იყო სუბვენციის თანხების დაფარვის შესაძლებლობას. სს "გერგეზმა" მხოლოდ 2005 წლის 11 ივლისის სარჩელით, ანუ 6-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ მოითხოვა მისთვის თანხების ანაზღაურება.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-9 მუხლები, ასევე არ გამოიყენა "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მე-10 მუხლის თანახმად, ბიუჯეტის ყველა ხარჯი უნდა აისახოს ეროვნულ ბანკში გახსნილ სახაზინო ანგარიშებზე, ხოლო მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება ცენტრალური სახაზინო სამსახურის მეშვეობით. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის - "ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" პირველი მუხლის შესაბამისად, ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს ბიუჯეტით დამტკიცებული კლასიფიკაციით გათვალისწინებული ყველა მუხლის მიხედვით, ხარჯების გაწევის პროცედურებს, რომლებიც ხორციელდება ხაზინის მეშვეობით (სახელმწიფო გადასახდელები) და გაიცემა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებიდან. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელია ცენტრალური საბიუჯეტო სახსრებიდან თანხების გაცემა ვალდებულება-დამოწმების გარეშე, ხოლო მე-3 მუხლში განმარტებულია, რომ სახაზინო სამსახურის მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა ხორციელდება 4 ეტაპად: ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბვენციის თანხების სს "გერგეზისთვის" გადახდამდე, უპირველეს ყოვლისა, სახაზინო სამსახურის მიერ უნდა მომხდარიყო ამ თანხების ვალდებულებად აღიარება, რაც წარმოადგენს სს "გერგეზისთვის" თანხის გაცემის აუცილებელ წინაპირობას. ვალდებულების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა კი, სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა, რაც სააგენტოს სრულად და დროულად აქვს შესრულებული. ხსენებული ინსტრუქცია ცალსახად მიუთითებს, რომ სახაზინო სამსახურის მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის პროცესს არეგულირებს მხოლოდ სახაზინო სამსახური და ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დგინდება, საინვესტიციო სააგენტოს მიერ რა მიზეზით არ განხორციელებულა შესაბამისი საგადასახადო დავალებების მიცემა სახაზინო სამსახურისათვის.

კასატორის განმარტებით, ვალდებულების რეგისტრირებისა და დამოწმების უზრუნველსაყოფად, სააგენტოს არანაირი ღონისძიების გატარების უფლებამოსილება არ გააჩნია, რადგან აღნიშნული მხოლოდ სახაზინო სამსახურის პრეროგატივაა. თავის მხრივ, სახაზინო სამსახურისთვის სააგენტოს სს "გერგეზისთვის" გადასახდელი სუბვენციის თანხების შესახებ ვალდებულებების დამოწმებისათვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია წარდგენილი აქვს. აქედან გამომდინარე, სააგენტო არ წარმოადგენს იმ სუბიექტს, ვისგანაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სუბვენციის თანხების ანაზღაურება. ხელშეკრულებებით მკაცრად არის რეგლამენტირებული სააგენტოს ვალდებულება, ასევე სს "გერგეზის" უფლება-მოვალეობები, კერძოდ, ხელშეკრულების 2.1 მუხლების თანახმად, სუბვენციის გამცემი - სააგენტო ვალდებულია, სუბვენციის თანხა აანაზღაუროს იმ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, რომელიც მას გააჩნია "2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონისა და სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2003 წლის 14 აპრილის #5 სხდომის ოქმის შესაბამისად. ამასთან, ამ მუხლების "გ" ქვეპუნქტებით, სააგენტოს ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისადმი სუბვენციის თანხის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო დავალების მიცემით. ამდენად, სააგენტოს ვალდებულებები სუბვენციის თანხის გაცემის საკითხში შეზღუდულია და მისი ფარგლები განისაზღვრება მისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობით, ანუ იმ ოდენობით, რომელსაც სახაზინო სამსახური დაარეგისტრირებს, როგორც ვალდებულებას. სააგენტო ვალდებული იყო, მხოლოდ მის ხელთ არსებული საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში აენაზღაურებინა სს "გერგეზისათვის" სუბვენ-

ციის თანხები და ამის მექანიზმს წარმოადგენდა სახაზინო სამსახურისათვის შესაბამისი საგადასახადო დავალების მიცემა. სააგენტოს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები არ დაურღვევია და მისთვის სს "გერგეზის" მიერ სუბვენციის თანხის დაკისრების მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, უკანონოა. სააგენტოს მიერ ვალდებულებები საავანსო თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით, შესრულებულ იქნა. რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებას მოსარჩელისათვის დანარჩენი სუბვენციის თანხის ანაზღაურების თაობაზე, იგი წარდგენილ იქნა სახაზინო სამსახურში, თუმცა მასზე ვალდებულების აღება ხაზინის მიერ არ განხორციელებულა. სააგენტომ არაერთგზის მიმართა სახაზინო სამსახურს, რათა მომხდარიყო წარდგენილი ხელშეკრულებებისა და საგადასახადო ვალდებულებების რეგისტრაცია, თუმცა უშედეგოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს დაეკისრა 48350 ლარის ანაზღაურება და არ დაკმაყოფილდა ამ სამსახურის სარჩელი, ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სს "გერგეზის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც სახაზინო სამსახურის მიერ იყო დამოწმებული და არ იყო შესრულებული, უნდა დაკისრებოდა სახაზინო სამსახურს, ვინაიდან ვალდებულების აღება და დამოწმება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების დამადასტურებელ გარემოებას და ამიტომ, აღნიშნულ ვალდებულებებზე მოპასუხე იყო სახაზინო სამსახური. სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულების განმარტებით, რომლითაც დამტკიცდა ინსტრუქცია - "ცენტრალური ბიუჯეტის კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით".

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები. ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა არის ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ვალდებულების აღება არ გულისხმობს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს წარმოეშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიმართ. ხსენებული ინსტრუქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სამუშაო დოკუმენტია. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს საშუალებას აძლევს, კონტროლი გაუწიოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას. ვალდებულების დამოწმებით სახელმწიფო იღებს ინფორმაციას ხარჯების შესახებ. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო იღებს თანხის მიმღების მიმართ ვალდებულებას, რომ გადაუხადოს თანხა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის გაფორმებული 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებებით გარკვეული უფლებები და ვალდებულებები წარმოეშვათ ხელშემკვერელ მხარეებს, კერძოდ, სს "გერგეზსა" და სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს. სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - სუბვენციის გამცემი ვალდებული იყო, პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობისათვის, ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად და ჩაის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, ჩაის ფოთლის ჩამზარებლებზე გადასანაწილებლად, სუბვენციის მიმღებისათვის - სს "გერგეზისათვის" გამოეყო თანხა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ვალდებულების დამოწმებით, არ წარმოშობია სს "გერგეზის" მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება. თანხის გადახდაზე პასუხისმგებელი კვლავ რჩებოდა ის პირი, რომელსაც ხელშეკრულებით დაევალა თანხის გადახდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორი განმარტების შედეგად, არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზის" სასარგებლოდ დააკისრა 48350 ლარის გადახდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზის" მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა, მით უმეტეს, რომ სასამართლომ გამორიცხა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სოლიდარული პასუხისმგებლობა სს "გერგეზის" მიმართ. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, არც ხელშეკრულებიდან გამომდინარე

და არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან არ წარმოშობია სს "გერგეზის" მიმართ ვალდებულება.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილშიც დაუსაბუთებელია. სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის 2003 წლის 1 მაისს დადებული ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად, ეს ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებაც შეიცავდა ამგვარ დათქმას, კერძოდ, მისი მე-4 მუხლი ადგენდა, რომ ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ხელშეკრულებების დადების დროს მოქმედი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი კი ადგენს, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებულ ინსტრუქციას, რომელიც ეხება ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლს ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით. აღნიშნული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ადგენს, რომ ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს მუხლი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება ძალაში შედის ხაზინის მიერ შესაბამისი ვალდებულების რეგისტრირების შემდეგ. ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ხდება ვალდებულების და არა ხელშეკრულების რეგისტრირება, როგორც ეს ხელშეკრულებებშია მითითებული. აქედან გამომდინარე, 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებები არღვევს კანონით დადგენილ წესს, იწვევს ამ ხელშეკრულებებისა და მათში შესული ცვლილებების ბათილობას, ვინაიდან 2003 წლის 28 ნოემბრისა და 29 დეკემბრის #26 ცვლილებები წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 4 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაიწყო 2009 წლის 20 იანვარს, 16.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 1 მაისს სს "გერგეზსა", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა #26 ხელშეკრულება, რომლის საგანს, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიისათვის, ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, ჩაის ფოთლის ჩამბარებლებზე გასანაწილებლად, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა,

მე-2 მუხლით კი განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით დადგინდა, რომ "სუბვენციის გამცემი" ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის", ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, ჩაის ფოთლის ჩამზარებლებზე გასანაწილებლად, სუბვენციის სახით, გამოეყო მინიმუმ 2,1 თეთრი, ფოთლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 2100 ტონისა. იმავე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელისთვის თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, 2003 წლის 1 ნოემბრამდე, გადამამუშავების მიზნით, მიეღო მინიმუმ 2100 ტონა ჩაის ფოთოლი. ამავე ხელშეკრულების 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის მიხედვით, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა სააგენტოსაგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სააგენტოს, ავანსის სახით, მისთვის უნდა გადაერიცხა თანხა 22050 ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. მითითებულ ხელშეკრულებაში 2003 წლის 28 ნოემბერს, მხარეთა შეთანხმებით, შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ 2003 წლის 1 ნოემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (2100 ტონა) ჩაის ფოთლის 50%-ზე ნაკლების გადამამუშავების შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა 1 კგ ჩაის ფოთოლზე 2,1 თეთრის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - 1 კგ ჩაის ფოთოლზე 3,49498 თეთრის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2003 წლის 13 მაისს სს "გერგეზსა" და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა მეორე #26 ხელშეკრულება, ამჯერად, როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორ კომპანიასთან. 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულების საგანს, ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ სს "გერგეზისათვის", როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიისათვის, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, ექსპორტისათვის სუბვენციის სახით, თანხის გამოყოფა. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, 2.1 მუხლის "ა" პუნქტით დადგინდა, რომ "სუბვენციის გამცემი" ვალდებული იყო, სს "გერგეზისათვის", ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად მიღებულ 1 აშშ დოლარზე სუბვენციის სახით გამოეყო მინიმუმ 10 თეთრი, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 700 ტონა ექსპორტირებულ ჩაის პროდუქციაზე. ხსენებული მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამავე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით, ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, 2003 წლის 15 დეკემბრამდე განეხორციელებინა მინიმუმ 700 ტონა ჩაის პროდუქციის ექსპორტი, 2.4 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად კი, სს "გერგეზს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით, სუბვენციის გამცემს უნდა გადაერიცხა მისთვის ავანსის სახით თანხა 26200 ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის თანახმად, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 29 დეკემბერს ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმებით, ასევე შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიის მიერ 2003 წლის 15 დეკემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული რაოდენობის (700 ტონა) პროდუქციის 50%-ზე ნაკლების ექსპორტის შემთხვევაში, სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,1 ლარის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში - ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,27169 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, აგრეთვე, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსადმი სს "გერგეზის" 2003 წლის #35 და 2003 წლის 12 დეკემბრის #39 წერილების მიხედვით, 2003 წლის 1 მაისის #26 ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს" 2003 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, უკვე მიღებული ჰქონდა 2100,24 ტონა ჩაის ფოთოლი, რაზედაც გადახდილი იყო ჩაის ფოთლის ღი-

რეზულტატი - 315031,80 ლარი, ხოლო 2003 წლის 13 მაისის #26 ხელშეკრულების თანახმად, სს "გერგეზს", ისევე, როგორც პირველი ხელშეკრულების შემთხვევაში, ამჯერადაც ვადაზე ადრე - 2003 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპორტზე გადატვირთული ჰქონდა 751,751 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, რომლის ღირებულებაც იყო 553136,76 აშშ დოლარი. ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, 700 ტონა პროდუქციის ღირებულებიდან, რაც 513288,70 აშშ დოლარს შეადგენდა, ანაზღაურებულ იქნა 482634,20 აშშ დოლარი. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსადმი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2003 წლის 13 ნოემბრის წერილის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა განიხილა ხსენებული სააგენტოს წერილები #26 ხელშეკრულებების რეგისტრირების შესახებ, ხოლო "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, მის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების რეგისტრაცია დროებით იქნა შეჩერებული.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა სააპელაციო სასამართლოს მიერ ამავე სააგენტოსათვის სახელმწიფო ბაჟის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 4065 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ყველა საქმეზე. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის 2002 წლის 16 აგვისტოს #01/01-01/113 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დებულების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შექმნილია სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით. ამ დებულების მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ფინანსური სახსრების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. ამავე მუხლში მითითებულია სხვა წყაროებზეც. "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, სუბვენცია არის განსაზღვრული ოდენობის მიზნობრივი ფულადი დახმარება, რომელსაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გამოყოფს შესაბამისი ღონისძიების ან/და ობიექტის დასაფინანსებლად. ხსენებული კანონის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამავე პუნქტში მოცემულია სააგენტოს დაფინანსების სხვა წყაროებიც. მართალია, დასახელებული დებულება და კანონი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დაფინანსების სხვა წყაროებსაც, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დაფინანსების წყაროს წარმოდგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნული დასტურდება და ნათლად ჩანს სს "გერგეზსა" და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს გაფორმებული #26 ხელშეკრულებებიდან, რომლებშიც პირდაპირ არის მითითებული 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით, სს "გერგეზისათვის" თანხების გამოყოფაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს სახელმწიფო ბაჟის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უკანონოდ დააკისრა 4065 ლარის გადახდა, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის სს "გერგეზის" სასარგებლოდ 48350 ლარისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთვის სს "გერგეზის" სასარგებლოდ 101370,60 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხოლო კასატორებმა ამავე ნაწილში ვერ დაასაბუთეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სს "გერგეზის" სარჩელი ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელის მიერ გაშვებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული 6-თვიანი ვადა, ხოლო სს "გერგეზს" სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულებების მე-6 მუხლების ("დავების გადაწყვეტა") თანახმად, თავდაპირველად უნდა მიემართა სააგენტოსათვის და ამის შემდეგ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2004 წლის 1 იანვრიდან კი, სს "გერგეზისათვის" ცნობილი იყო სასარჩელო წესით თანხის მოთხოვნის უფლების წარმოშობის შესახებ, მაგრამ 2004 წლის განმავლობაში სს "გერგეზს" არ მიუმართავს სარჩელით სასამართლოსთვის, მით უმეტეს, რომ სააგენტოს 2004 წლის 2 დეკემბრის #01/03-285 წერილით სს "გერგეზს" ეცნობა, რომ შესაბამისი მიზეზების გამო, სააგენტო მოკლებული იყო სუბვენციის თანხების დაფარვის შესაძლებლობას და სს "გერგეზმა" მხოლოდ 2005 წლის 11 ივლისის სარჩელით, ანუ 6-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ მოითხოვა მისთვის თანხების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა კასატორის - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მხრიდან სს "გერგეზის" სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული 6-თვიანი ვადის მოშველიებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარდგენოდა შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ექვსი თვის ვადაში. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის 2004 წლის 1 იანვრისათვის, კერძოდ, 2005 წლის 24 ივნისის დამატებებამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებდა, ცვლიდა, წყვეტდა ან ადასტურებდა პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. "საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის #1801-რს კანონით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ამდენად, სწორედ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის #1801-რს კანონის ძალაში შესვლიდან - 2005 წლის 15 ივლისიდან ითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. აქედან გამომდინარე, საერთოდ არ იყო სახეზე რაიმე შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სს "გერგეზის" სარჩელის საგანსაც წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, არამედ - სახელშეკრულებო, ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით, მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ 2004 წლის 2 დეკემბერს სს "გერგეზმა" წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ორივე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მის მიერ შესრულებულ იქნა ჯეროვნად, ხოლო სააგენტოს მიერ სუბვენციის თანხების გაცემა იმ დრომდე არ მომხდარა, რის გამოც მან ითხოვა, მისთვის ეცნობებინათ თანხის გაცემის შეფერხების მიზეზების შესახებ და პრეტენზიის წარდგენის დღიდან ორი კვირის ვადაში დაეფარათ დავალიანება, რაზეც საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ 2004 წლის 2 დეკემბრის #01/03-285 წერილით სს "გერგეზს" განუმარტა, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო "2003 წლის ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამის" ფარგლებში, ჩაის დარგში მომუშავე კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში, ახორციელებდა ჩაის ფოთლის გადამუშავებისა და პროდუქციის ექსპორტის სუბვენციის თანხების გადარიცხვის თაობაზე სათანადო დოკუმენტაციის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, კერძოდ, სს "გერგეზს" 2003 წლის 30 მაისს გადაერიცხა საავანსო თანხა ფოთლის გადამუშავებაზე - 22050 ლარი და ექსპორ-

ტზე - 26200 ლარი (#47 და #48 საგადასახადო დავალებები). ამასთან, სახაზინო სამსახურმა აიღო ვალდებულება სს "გერგევისათვის" ფოთლის გადამუშავებაზე 22050 ლარისა (#141 საგადასახადო დავალება) და პროდუქციის ექსპორტზე 26300 ლარის (#142 და #198 საგადასახადო დავალებები) გადარიცხვის თაობაზე, ხოლო დარჩენილ თანხაზე: ფოთლის გადამუშავებისთვის - 29294,60 ლარსა და ექსპორტისათვის - 78633,70 ლარზე, სახაზინო სამსახურს არ აუღია ვალდებულება. ასევე დგინდებოდა, რომ მიუხედავად არაერთი შეხსენებისა, 2003 წლის 25 ივნისის შემდეგ, სახაზინო სამსახურს არ განუხორციელებია ჩაის კომპანიებისათვის კუთვნილი სუბვენციის თანხების გადარიცხვა. ამავე წერილით დგინდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად გამოყოფილ ასიგნებებში არ იყო გათვალისწინებული ზემოაღნიშნული პროგრამით აუნაზღაურებელი ხარჯების დაფინანსება. ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო მოკლებული იყო "2003 წლის ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამის" ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხსენებული სააგენტო არ წარმოადგენს იმ სუბიექტს, ვისგანაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სუბვენციის თანხების ანაზღაურება და მისთვის სს "გერგევის" მიერ სუბვენციის თანხის დაკისრების მოთხოვნა უკანონოა. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კასაციის მიზეზად იმაზე მითითებას, რომ, რადგან სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგევის" შორის გაფორმებული 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებებით გარკვეული უფლებები და ვალდებულებები წარმოეშვათ ხელშემკვრელ მხარეებს, კერძოდ, სს "გერგევისა" და სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ვალდებულებების დამოწმებით, არ წარმოშობია სს "გერგევის" მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებები დადებულ იქნა სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგევის" შორის, რომელთაც გარკვეული უფლებები და ვალდებულებები წარმოეშვათ, კერძოდ, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - სუბვენციის გამცემი ვალდებული იყო, პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობისათვის, ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად და ჩაის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, ჩაის ფოთლის ჩამზარებლებზე გადასანაწილებლად, სუბვენციის მიმღებისათვის - სს "გერგევისათვის" გამოეყო თანხა, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შესაბამისი ვალდებულებების დამოწმებით, ამავე ვალდებულებების ფარგლებში, არ წარმოშობია სს "გერგევის" მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება. ხსენებული ხელშეკრულებების 2.1 მუხლის "გ" ქვეპუნქტებში პირდაპირ იყო მითითებული სს "გერგევისათვის" თანხის გადარიცხვაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადასახადო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული "ცენტრალური ბიუჯეტის კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რადგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ვალდებულების აღება არ გულისხმობს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს წარმოეშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიმართ, ხოლო ვალდებულების დამოწმებით სახელმწიფო იღებს ინფორმაციას ხარჯების შესახებ, რაც არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო იღებს თანხის მიმღების მიმართ ვალდებულებას, რომ გადაუხადოს თანხა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 დეკემბრის #1070 განკარგულებით) დამტკიცებული ინსტრუქციის - "ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, ეს ინსტრუქცია განსაზღვრავდა ბიუჯეტით დამტკიცებული კლასიფიკაციით გათვალისწინებული ყველა მუხლის მიხედვით, ხარჯების გაწევის პროცედურებს, რომლებიც ხორციელდებოდა ხაზინის მეშვეობით (სახელმწიფო გადასახდელები) და გაიცემოდა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებიდან. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელი იყო ცენტრალური საბიუჯეტო სახსრებიდან თანხების გაცემა ვალდებულება-

დამოწმების გარეშე. ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლი ეხებოდა ხარჯების განხორციელების ეტაპებს, კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო სამსახურის მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა ხორციელდებოდა 4 ეტაპად: ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარჯების განხორციელების ზემოხსენებული ეტაპები - ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა იყო ხარჯების გაწევის ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილები, ხოლო ვალდებულების დამოწმებით სახელმწიფო იღებდა, როგორც ინფორმაციას ხარჯების შესახებ, ასევე - თანხის მიმღების მიმართ ვალდებულებას, რომ გადაეხადა მისთვის თანხა, რაზეც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის - "ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით" მე-11 მუხლი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში დარეგისტრირებული შეუსრულებელი დამოწმება წარმოადგენდა დავალიანებას, გადადიოდა მომდევნო წელს და დაიფარებოდა დავალიანებათა დაფარვისათვის დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა კასატორის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებები არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ასევე - საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის #1307 განკარგულებით დამტკიცებულ ინსტრუქციას, რომლის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ადგენს, რომ ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს მუხლი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება ძალაში შედის ხაზინის მიერ შესაბამისი ვალდებულების რეგისტრირების შემდეგ, ხოლო ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ხდება ვალდებულების და არა ხელშეკრულების რეგისტრირება, როგორც ეს ხელშეკრულებებშია მითითებული, აქედან გამომდინარე კი, 2003 წლის 1 მაისისა და 13 მაისის ხელშეკრულებები არღვევს კანონით დადგენილ წესს, იწვევს ამ ხელშეკრულებებისა და მათში შესული ცვლილებების ბათილობას, ვინაიდან 2003 წლის 28 ნოემბრისა და 29 დეკემბრის #26 ცვლილებები წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილებს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებების 4.1 მუხლები შეიცავდა დათქმას, რომ ეს ხელშეკრულებები ძალაში შედიოდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ამავე ხელშეკრულებების რეგისტრაცია მოიცავდა შესაბამისი ვალდებულებების რეგისტრაციასაც, რადგან ხსენებული ვალდებულებები სწორედ დასახელებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, არ არსებობს სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და სს "გერგეზს" შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები ძალაში შევიდა, მოქმედებდა და წარმოშვა სს "გერგეზის" სარჩელზე მოპასუხეთა შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები სს "გერგეზის" მიმართ, რომლებიც ხსენებულმა მოპასუხეებმა ჯეროვნად არ შეასრულეს. სააპელაციო სასამართლომ კი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (მათ შორის, ვალდებულების (დამოწმების) დოკუმენტები), მართებულად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორად დააკისრა მოპასუხეებს სს "გერგეზის" სასარგებლოდ კონკრეტული თანხების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს - 48350 ლარისა და სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს - 101370,60 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთვის სახელმწიფო ბაჟის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 4065 ლარის დაკისრების შესახებ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად, სს "გერგეზის" მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1000 ლარის გადახდა კი პროპორციულად დაეკისროთ კასატორებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო აქ-

ვე განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზის" სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 320 ლარის, ხოლო სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს - 680 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთვის სახელმწიფო ბაჟის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 4065 ლარის დაკისრების შესახებ;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. სს "გერგეზის" მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1000 ლარის გადახდა პროპორციულად დაეკისროთ კასატორებს, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს სს "გერგეზის" სასარგებლოდ დაეკისროს 320 ლარის, ხოლო სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს - 680 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იჯარის ხელშეკრულება

განჩინება

#ბს-1564-1519(კ-08) 5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ნ. სხირტლაძე

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "კალასმა" სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 6 ივნისს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულება შპს "კალასმა" ფოსტის მეშვეობით მიიღო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული აქტის შესაბამისად, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოიჯარე შპს "კალასთან" დადებული 2005 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური საიჯარო ქირა - 2400 ლარი, მოიჯარესთან შეუთანხმებლად, ცალმხრივად, ყოველგვარი განმარტებებისა და გაფრთხილების გარეშე, მეიჯარე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ გაიზარდა 10000 აშშ დოლარამდე. ამასთან, ხსენებულ აქტში აღინიშნა, რომ ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე მოიჯარის მხრიდან უარის თქმის ან ერთი

წლის განმავლობაში თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, 2005 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების მოქმედება წყდება.

მოსარჩელის მტკიცებით, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ 2005 წლის 6 აგვისტოს გაზეთ "მესაკუთრის" #26 ნომერში გამოაქვეყნა ინფორმაცია უძრავი ქონებისა და შესაბამისი წილობრივი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსის შესახებ. კონკურსის პირობების შესაბამისად, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 2400 ლარით. კონკურსის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის, რომ ხელშეკრულება უნდა დადებულიყო მხოლოდ 6 წლის ვადით და ამ პერიოდში მოიჯარე ვალდებული იყო, ეწარმოებინა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობა. კონკურსში შპს "კალასის" გამარჯვების შედეგად, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის #1-4/194 ბრძანებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხსენებულ სამმართველოსა და შპს "კალასს" შორის, 2011 წლის 20 სექტემბრამდე, წლიური საიჯარო ქირით - 2400 ლარის ოდენობით, გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რაც დამოწმდა ნოტარიულად და რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყო თვით ამ აქტში მითითებული იმ ერთადერთი საკანონმდებლო აქტის ნორმა, რომლის საფუძველზედაც იქნა იგი გამოცემული, კერძოდ, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნის გამოყენება არანაირად არ შეიძლებოდა 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი ვადა ითვლებოდა დარღვეულად, რადგან ამ კანონის ამოქმედებიდან გასული იყო 6 თვეზე მეტი.

მოსარჩელის მტკიცებით, შპს "კალასმა" 2007 წლის 13 ივნისის #59 განაცხადით მიმართა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსს, ამავე სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაზედაც მისი 2007 წლის 26 ივნისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს "კალასს" უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "კალასმა" 2007 წლის 2 ივლისის #61 საჩივრით მიმართა ზემდგომ ორგანოს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო ამ სამინისტრომ 2007 წლის 16 ივლისის #21/1696/6-7 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიიჩნია, რომ შპს "კალასის" მიერ საჩივარში მითითებული პრეტენზიები მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. 2007 წლის 14 აგვისტოს შპს "კალასმა" #62 საჩივრით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. 2007 წლის 19 ნოემბერს შპს "კალასმა" ფოსტის მეშვეობით მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის #212 ბრძანება, რომლითაც შპს "კალასს" უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება (გაუქმება).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "კალასის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-2/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ძალაში შესვლის დღიდან; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს შპს "კალასის" სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგებოდა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3

პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რადგან მითითებული ნორმით ცალსახად იყო განსაზღვრული, რომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო, უზრუნველყო ახალი პირობების შეთავაზება იმ კონტრაგენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებსაც გადაცემული ჰქონდათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლედ) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით პირდაპირ განისაზღვრა ამ კანონის მოქმედების გავრცელება მანამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების გზით. სასამართლომ არასწორად განმარტა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, მიიჩნია რა, რომ ამ მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა კანონის მიღების შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 მარტის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 24 მარტს, 14.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში შპს "კალასის" გამარჯვების შედეგად ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 16 სექტემბრის #1-4/194 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული 160-ე ბაგა-ბალის შენობაში არსებულ 550,77 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართობზე, შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და შპს "კალასს" შორის 2005 წლის 20 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 6 წლის ვადით - 2011 წლის 20 სექტემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 2400 ლარის ოდენობით, აღნიშნული ხელშეკრულება კი დამოწმდა ნოტარიულად და რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურში. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს "კალასს" ეცნობა, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს "კალასის" სარგებლობაში 2005 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 10000 აშშ დოლარის ოდენობით, ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე მოიჯარე შპს "კალასის" მხრიდან უარის თქმის ან ერთი წლის განმავლობაში თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, ადრე დადებული ხელშეკრულების მოქმედება წყდება. შპს "კალასმა" 2007 წლის 13 ივნისის #59 განაცხადით მიმართა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსს და მოითხოვა ამავე სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 26 ივნისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს "კალასს" უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შპს "კალასმა" 2007 წლის 2 ივლისის #61 საჩივრით მიმართა ზემდგომ ორგანოს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 16 ივლისის #21/1696/6-7 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს "კალასის" საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2007 წლის 14 აგვისტოს შპს "კალასმა" #62 საჩივრით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის #212 ბრძანებით შპს "კალასს" უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს "კალასს" ეცნობა 2005 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური საიჯარო ქირის ოდენობის - 2400 ლარის გაზრდისა და მისი 10000 აშშ დოლარით განსაზღვრის თაობაზე, ხოლო, თუ მოიჯარე შპს "კალასი" უარს განაცხადებდა ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე, ან ერთი წლის განმავლობაში არ განაცხადებდა მასზე თანხმობას, მხარეებს შორის მანამდე დადებული - 2005 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდებოდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონზე, რომელიც მიღებულ იქნა 2006 წლის 14 აპრილს. ამ კანონის მე-5 მუხლის (გარდამავალი დებულებანი) მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უნდა უზრუნველყო ახალი პირობების შეთავაზება იმ კონტრაგენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებსაც გადაცემული ჰქონდათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვალდებულება, უზრუნველყო კონტრაგენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ახალი პირობების შეთავაზება ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, ანუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების შესაბამისი მოქმედების - შეთავაზების განხორციელება შეზღუდული იყო ხსენებული კანონის ამოქმედების მომენტიდან 6-თვიანი ვადით. "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის ამოქმედება,

ამავე კანონის მე-6 მუხლით (დასკვნითი დებულება) განისაზღვრა მისი გამოქვეყნებისთანავე. "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონი გამოქვეყნდა საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" 2006 წლის 1 მაისს (#11). მოცემულ საქმეზე კი უდავოდ დადგენილია, რომ გაზრდილი საიჯარო ქირის ოდენობაში გამოხატული ახალი პირობის შეთავაზება შპს "კალასს" წარედგინა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ანუ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით რეგლამენტირებული 6-თვიანი ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის წარმომადგენლის მიერ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის სხდომაზე გაკეთებულ განმარტებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული 6-თვიანი ვადა აითვლება არა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის ამოქმედებიდან, არამედ ამ კანონით განსაზღვრული, ამავე კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, შემდგომში მიღებას დაქვემდებარებული აქტების, მათ შორის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 12 ივნისის #110 დადგენილების მიღებიდან.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ ჯერ ერთი, თვითონ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული აღნიშნული 6-თვიანი ვადის ათვლა რაიმე კანონქვემდებარე აქტის მიღებიდან. მეორეც, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 12 ივნისის #110 დადგენილებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობებს. მესამეც, ვინაიდან "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონი გამოქვეყნდა 2006 წლის 1 მაისს, ხოლო "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #110 დადგენილება მიღებულ იქნა 2006 წლის 12 ივნისს და ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ანუ - ხსენებული კანონის ამოქმედებიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, შესაბამისად, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული 6-თვიანი ვადის ათვლის დაკავშირებას დასახელებული კანონქვემდებარე აქტის - საქართველოს მთავრობის 2006 წლის 12 ივნისის #110 დადგენილების ამოქმედების მომენტთან, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და უფრო მეტიც - ზემოთ მითითებული კანონისა და დადგენილების ამოქმედების მომენტების გათვალისწინებით, ასევე - რაიმე იურიდიული საჭიროება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 14 მაისის #2-22/1086 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს - "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტს, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წამოუყენებია რაიმე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საფუძვლად შეიძლება დასდებოდა მისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმეზე მიიღო არსებითად სწორი, კანონიერი განჩინება (იმის გათვალისწინებით, რომ ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილს არ გააჩნია ზოგად-პრაქტიკული მნიშვნელობა), რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ, კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულების მისადაგება
შეცვლილი გარემოებებისადმი;
თანხის დაკისრება**

განჩინება

#ბს-1360-1318(კ-08) 6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის გადახდის დაკისრება და ხელშეკრულების დამატების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "იბერკომპანი ჯგუფმა" 2005 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისა და მესამე პირის ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისაგან ძირითადი დავალიანების - 137574 ლარის ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდა.

ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა 2006 წლის მაისში შეგებულ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებაში 2004 წლის 16 ნოემბერს შეტანილი დამატების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს "იბერკომპანი ჯგუფის" სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს შპს "იბერკომპანი ჯგუფის" სასარგებლოდ დაეკისრა 137 574 ლარის გადახდა; მოსარჩელე შპს "იბერკომპანი ჯგუფის" უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში 2,5%-ის გათვალისწინებით და ადვოკატის ხარჯების 4%-ის გათვალისწინებით დაკისრებაზე; მოპასუხე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 25 ოქტომბერს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის თანახმად დაიდო ხელშეკრულება მოსარჩელე შპს "იბერკომპანი ჯგუფსა" და მოპასუხე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს შორის თხევადი საღუმელე საწვავის მიწოდებაზე. განისაზღვრა ხელშეკრულების პირო-

ბები და ანგარიშსწორების წესი; ხელშეკრულების 11.3 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდას, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესებას, დაუშვებელია, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობების ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად; ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-5 მუხლის თანახმად, ანგარიშსწორების ვადაა საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 45 დღე. ანგარიშსწორებისას მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ანგარიშ-ფაქტურა; მე-7 მუხლის თანახმად, ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, საგარეო და საშინაო ბაზარზე საწვავზეE ფასების 5%-ით ცვალბადობის შემთხვევაში, რისთვისაც გამოყენებული იქნება საერთაშორისო სავაჭრო ინდიკატორი.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 16 ნოემბერს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულების დამატება, რომლის თანახმად, 2004 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ერთი ლიტრი თხევადი საღუმელე საწვავის ფასი გაიზარდა 0.98 ლარიდან 1.09 ლარამდე. მოცემული ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, 2004 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების ყველა პირობა ძალაში რჩება, დამატებითი ხელშეკრულების თანახმად, ეს დამატება წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის (მიმწოდებლის) მიერ მოპასუხეზე (შემსყიდველზე) 2004 წლის 25 ოქტომბრიდან მიწოდებულია 1407133 ლიტრი საწვავი, ღირებული 1516382 ლარად; მოპასუხემ მოსარჩელეს აუნაზღაურა მიწოდებული საღუმელე საწვავის ნაწილის ღირებულება, კერძოდ, 1378808 ლარი, ხოლო 137574 ლარი მოპასუხეს არ აუნაზღაურებია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლები და ჩათვალა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ აუნაზღაურებია რა მიწოდებული საღუმელე საწვავის ღირებულების ნაწილი, 137574 ლარი, ამიტომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია.

სასამართლომ სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ვადაგადაცილებული, თვეში 2.5%-ს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების, ასევე ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა პროცენტის დაკისრებას ითვალისწინებს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, არც ხელშეკრულებით და არც კანონით აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევის გამო პროცენტის დაკისრება გათვალისწინებული არ არის; სსსკ 47-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო სალაროდან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსის 44-ე მუხლის "ვ" პუნქტით გათვალისწინებული, ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები სახელმწიფოს სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მოსარჩელისათვის არ დაუნიშნავს ადვოკატი, რომლისთვისაც გადახდილი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხეს დაეკისრებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შეგებებული სარჩელი 2004 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულების დამატების ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ საქმეს ერთეის 2004 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულების დამატება, რომლის თანახმად ქვეყნის შიდა ბაზარზე საწვავის ფასების ცვლილების გამო მხარეები შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე, რომლის თანახმად თხევადი საღუმელე საწვავის ფასი გაიზარდა 0.98 ლარიდან 1.09 ლარამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, გარიგების მონაწილე მხარისათვის, კერძოდ, მოპასუხისათვის, იმთავითვე ცნობილი იყო 2004 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულების დამატების შინაარსი და საგანი, რაზედაც მან გამოთქვა თანხმობა და რაც მოპასუხის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება. ამდენად, მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხესთან 2004 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო, პირველი ინსტანციის სასამართლოს აზრით, საფუძველს მოკლებულია, რადგან მოპასუხეს ხელშეკრულებაზე ხელი აქვს მოწერილი, რაც მიაწინებს იმ გარემოებაზე, რომ იგი თანახმა იყო, მიეღო მიწოდებული საღუმელე საწვავი 1.09 ლარად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსა-

ხურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორის მოსაზრებით, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2004 წლის 25 ნოემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, ანაზღაურებულ იქნა 1378808 ლარი, რაც წარმოადგენს 1407133 ლიტრი თხევადი საღუმელე საწვავის L-40-ს ღირებულებას; კასატორი თვლის, რომ დამატებით თანხის გადახდის ვალდებულება წარმოშვა 2004 წლის 16 ნოემბრის დამატებამ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე, რომელიც დაიდო 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.1. მუხლის შესაბამისად; ეს მუხლი კი ითვალისწინებდა ფასების ცვლილებას მხოლოდ საგარეო და შიდა ბაზარზე საწვავზე ფასების 5%-ით ცვალებადობის შემთხვევაში, (როგორც ზრდის, ასევე შემცირების), რისთვისაც გამოყენებული იქნებოდა საერთაშორისო სავაჭრო ინდიკატორის PLAთთმ EUღOPEAN MAღKEთშწAN-ის ფობ მედ (იტალე) RIF მედ გენოვა/ლავერა) მონაცემები (კოტირებები) შესაბამისი საწვავის სახეობაზე ამ ხელშეკრულების დადების თარიღსა და მოწოდების მომენტისათვის არსებული კოტირების, განსხვავების შედარებით. კასატორის განმარტებით, შპს "იბერკომპანის" ჯგუფმა თავის დროზე მერიის შესაბამის სამსახურს მართლაც წარუდგინა დოკუმენტი, სადაც 2004 წლის ნოემბრის თვეში ფასების ცვალებადობა აშკარა იყო, მაგრამ კასატორის მოსაზრებით, ეს დოკუმენტი წარმოადგენდა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თხევადი საღუმელე საწვავის L-40-ის ფასების ზრდის დამადასტურებელ დოკუმენტს, არამედ უფრო მაღალი ხარისხის საავტომობილო დიზელზე - L-62-ზე ფასების მატების დამადასტურებელ დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, მერიის უწყების ხელმძღვანელმა ნინო ჩაჩავამ ხელი მოაწერა ხელშეკრულების დამატებას, სადაც ლიტრ საწვავზე 0.98 ლარის ნაცვლად განსაზღვრული იყო 1.09 ლარი. კასატორი მიუთითებს, რომ ნინო ჩაჩავამ არ იცოდა, რომ ფასების მატების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგინა შპს "იბერკომპანი"-ს ჯგუფმა და რომელიც გახდა ხელშეკრულების დამატების ერთადერთი საფუძველი, წარმოადგენდა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თხევადი საღუმელე საწვავის L-40-ის ფასების დამადასტურებელ დოკუმენტს, არამედ უფრო მაღალი ხარისხის საავტომობილო დიზელზე L-62-ზე ფასების მატების დამადასტურებელ დოკუმენტს.

კასატორი თვლის, რომ ნ. ჩაჩავა გარიგების დადების მიზნით შეცდომაში შეიყვანეს, რადგან იმთავითვე ცხადია გარიგება არ შედგებოდა, ზუსტად რომ ყოფილიყო გარკვეული რომელი ტიპის საწვავზე იყო საუბარი, ხოლო სამსახურის ხელმძღვანელი ამის გამჟღავნებას კეთილსინდისიერად ელოდებოდა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე-82-ე მუხლების თანახმად ამგვარი გარიგება ბათილად გარიგებათა რიცხვს განეკუთვნება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ რა მტკიცებულებები იქნა გამოყენებული იმის დამადასტურებლად, რომ მოპასუხეს არ აუნაზღაურებია 137574 ლარი.

კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საერთო პირობების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად კრძალავს ნებისმიერ ცვლილებას, რასაც მოჰყვება ხელშეკრულებაში ფასის ზრდა ან შესყიდველისათვის პირობების გაუარესება, თუკი ადგილი არ ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას. კასატორი აღნიშნავს, რომ მომწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობის მიხედვით L-40 ხარისხის დიზელის საწვავის მიღება ხდებოდა ქართული ნავთობის ადგილზე გადამუშავებით, რაც ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა არ წარმოადგენდა პროდუქციის ღირებულების გაზრდის ობიექტურ გარემოებას, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულს არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ფასზე და შესაბამისად იგი არ უნდა გამხდარიყო ხელშეკრულების დამატების გაფორმების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურსა (შემდგომში "შემსყიდველი") და შპს "იბერკომპანი ჯგუფს" (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის 2004 წლის 25 ოქტომბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება; ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი 2004-2005 წლების ზამთრის სეზონისათვის

სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო თხევადი სალუმელე საწვავის შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება თხევადი სალუმელე საწვავის მიწოდებაზე; ერთი ლიტრი თხევადი სალუმელე საწვავის ღირებულება განისაზღვრა 0,98 ლარი, ნედლეულის ღირებულების, დასაწყობების, ტრანსპორტირებისა და შესაბამისი თანმდევი მომსახურების გათვალისწინებით. მოცემული ხელშეკრულების საერთო პირობების 11.3 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო 11.4 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

სგ.-15-ზე წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურსა და შპს "იბერკომპანი ჯგუფს" შორის თხევადი სალუმელე საწვავის შესყიდვაზე 2004 წლის 25 ოქტომბერს ხელმოწერილი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დამატება, რომელიც გაფორმდა 2004 წლის 16 ნოემბერს. ხელშეკრულების 2004 წლის 16 ნოემბრის დამატებაში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურსა და შპს "იბერკომპანი ჯგუფს" შორის თხევადი სალუმელე საწვავის შესყიდვაზე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული იქნა 1 ლიტრი თხევადი სალუმელე საწვავის ფასი 0,98 ლარი. ქვეყნის შიდა ბაზარზე საწვავის ფასის 12-15%-ით გაზრდის გამო წარმოიშვა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საწვავის ფასის ცვლილებების აუცილებლობა; მხარეები შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შემდეგ დამატებაზე: ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურსა და შპს "იბერკომპანი ჯგუფს" შორის 2004 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში 1 ლიტრი თხევადი სალუმელე საწვავის ფასი გაიზარდა 0.98 ლარიდან 1,09 ლარამდე. 2004 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა ძალაში დარჩა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა - 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 2004 წლის 16 ნოემბრის დამატების ბათილად ცნობის შესახებ - ძირითადად დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ აღნიშნული დამატება გაფორმდა 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური პირობების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებას მხოლოდ საგარეო და შიდა ბაზარზე საწვავზე ფასების 5%-ით ცვალებადობის შემთხვევაში. შეგებებულ სარჩელში მითითებულია, რომ შპს "იბერკომპანი ჯგუფის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ნოემბერში ფასების ცვალებადობა აშკარა იყო, თუმცა ეს დოკუმენტი წარმოადგენდა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თხევადი სალუმელე საწვავის L-40-ის ფასების დამადასტურებელ დოკუმენტს, არამედ მაღალი ხარისხის საავტომობილო დიზელზე - L-62-ზე ფასების მატების დამადასტურებელ დოკუმენტს; იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ უწყების იმჟამინდელი ხელმძღვანელი გარიგების დადების მიზნით შეცდომაში იქნა შეყვანილი, რადგან იმთავითვე ცხადია, გარიგება არ შედგებოდა, თუ ზუსტად იქნებოდა გარკვეული რომელი ტიპის საწვავზე იყო საუბარი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა იმის თაობაზე, მოცემულ შემთხვევაში შეიცვალა თუ არა ხელშეკრულების საგანი და შეთანხმდნენ თუ არა მხარეები აღნიშნული პირობის შეცვლაზე, ვინაიდან ხელშეკრულების არსებითი პირობა შეთანხმებულად რომ ჩაითვალოს აუცილებელია მხარეთა ნების გამოვლენა ამ პირობაზე ემთხვეოდეს ერთმანეთს. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, ფასების ზრდა შეეხო თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თხევადი სალუმელე საწვავს - L-40-ს; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებაზე, რომ მათ მიერ წარდგენილი იქნა დოკუმენტი იმის შესახებ, საერთაშორისო ბაზარზე დიზელის ფასი როგორ გაიზარდა და არა კონკრეტულად L-40-ზე ან L-62 საწვავზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის 2006 წლის 23 ივნისის #23 წერილი შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობას ვერ ადასტურებს; თუმცა არ დაასაბუთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის დიზელის საწვავი მიიღებოდა თუ არა ადგილობრივ ბაზარზე, რამაც განაპი-

რობა ხელშეკრულების საგნის შეცვლის აუცილებლობა; საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს 2006 წლის 14 ივნისს სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაზე იმის შესახებ, რომ ტენდერზე წარდგენილი იქნა L-40 საწვავი, რომელიც არის მხოლოდ ადგილობრივი წარმოების საწვავი, ხოლო იმის გამო, რომ ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში ადგილობრივი საწვავი აღარ არსებობდა, ამიტომ იქნა წინადადება მიწოდებული მოპასუხისათვის L-62 საწვავზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს საქმეში წარდგენილ საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის მოადგილის 2006 წლის 23 ივნისის #7-10-4/044 წერილზე ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მიმართ; ამ წერილში აღნიშნულია, რომ საწარმოებიდან მიღებული ანგარიშების მიხედვით 2004 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეში დიზელის საწვავი L-40 მიღებულ იქნა შემდეგ ლიცენზირებულ საწარმოებში: შპს "გერო" 218,51 ტონა, შპს "ვივა"-2219 ტ, შპს "განოილი-573ტ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები არ შეაფასა საქმის მასალებთან ერთობლიობაში და არ მისცა მათ სათანადო შეფასება, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულების შესრულება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

განჩინება

#ბს-1354-1312(კ-08) 27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. წ-ანმა, შ. წ-ანმა და გ. წ-ანმა 2008 წლის იანვარში სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების ლ. წ-ანის, შ. წ-ანის და გ. წ-ანის სასარჩელო განცხადება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა შ. წ-ანის სასარგებლოდ სახელ-

ფასო დავალიანებების - 1921,47 ლარის, გ. წ-ანის სასარგებლოდ - 638,26 ლარისა და ლ. წ-ანის სასარგებლოდ - 1984,16 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: საქმეში წარმოდგენილი მასალებით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოსარჩელები ნამდვილად მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სასამართლომ ასევე უდავოდ დადგინა, რომ მათ მიმართ გაუცემელი სახელფასო დავალიანება შეადგენს გ. წ-ანის მიმართ 638,36 ლარს, ლ. წ-ანის მიმართ 1984,16 ლარს და შ. წ-ანის მიმართ 1921,47 ლარს, რაც დასტურდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #297, #298 და #299 ცნობებით.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი, ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 11 დეკემბრის #1844, #1845 ცნობები, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 27 დეკემბრის #2068 ცნობა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #297, #298 და #299 ცნობები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის წერილებია.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ დავალიანება მოსარჩელების მიმართ არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, მოთხოვნა დააკმაყოფილოს და შესაბამისი წყაროების არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ხანდაზმულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომელმაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება შ. წ-ანის სასარგებლოდ 1921,47 ლარის, გ. წ-ანის სასარგებლოდ 638,36 ლარის ანაზღაურების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მათ მიმართ გაუცემელი სახელფასო დავალიანება შეადგენს გ. წ-ანის მიმართ 638.36 ლარს, ხოლო შ. წ-ანის მიმართ - 1921.47 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ

დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 11 დეკემბრის #1845 ცნობა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 27 დეკემბრის #2068 ცნობა; ასევე შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების 2008 წლის 22 თებერვლის #297 და #299 წერილები, რომლითაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელების მიმართ საფინანსო სამსახურში არსებული გასაცემი დავალიანება შეადგენს გ. წ-ანის მიმართ 638,36 ლარს, ხოლო შ. წ-ანის მიმართ - 1921,47 ლარს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მართვის დეპარტამენტის 2005 წლის 1 თებერვლის #9/195 წერილი წარმოადგენს აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ მოსარჩელების მიმართ დავალიანებები არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისი წყაროების არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება მათ მიმართ დავალიანებების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ რომ საქმეში წარმოდგენილი ცნობები და წერილები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით აღიარა შ. წ-ანისა და გ. წ-ანის მიმართ არსებული დავალიანებების არსებობა, რის გამოც საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებულებების აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომელმაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება შ. წ-ანის სასარგებლოდ 1921,47 ლარის, გ. წ-ანის სასარგებლოდ 638,36 ლარის ანაზღაურების ნაწილში.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.